

ISSN 1987-6890

ეკონომიკისა და
სტატისტიკის ეროვნული
სერვისების ცენტრი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific-Analytical Journal

4

2 0 1 5

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი

4

2015

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:

ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე.

საქ. მეც. პროფესორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლევო ჩიტავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, როზა ასათიანი, ბივი ბელიანაშვილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერუღა-ვა, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბველესიანი, რევაზ ბოგოხიანი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მუსხია, ელგუჯა მემკვიბეილი, სოლომონ კაგლიაშვილი, შამანბი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მინეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:

ნანული არევაძე, თამილა არნანი-კეკელიძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი ბეჩხაია, მირაზ ბველესიანი, შალვა ბოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დავი სოლოღაშვილი, ნოდარ ხაღური, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანაუსკინე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მინეილ როკატლიშვილი (აშშ), ბალინა სავინა (უკრაინა), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).

თავარ ღარიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili
Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

October
December
November

4

2015

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Vladimer Papava, Avtandil Silagadze

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava,

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:

Nanuli Arevadze, Tamila Arnanian-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMBERS:

Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Galina Savina (Ukraine), Dmitri Sorokin (Russia).

Tamar Dadiani (executive secretary)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ექვეყნება
არჩილ თეთრაულის
დაბადებიდან მე-80
და
ზურაბ სოსელიას
დაბადებიდან მე-60
წლისთავს

რედაქტორისაგან

არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით და ადამიანური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვეს მეგობრებისა და საერთოდ საზოგადოების მესხიერებაში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი არჩილ თეთრაული და ეკონომიკის დოქტორი ზურაბ სოსელია.

ამ ორი შესანიშნავი პიროვნების ერთდროული გახსენება განაპირობა იმან, რომ ორივეს წელს შეუსრულდა დაბადებიდან საიუბილეო თარიღი და ორივემ ჩვენს ინსტიტუტში გაიარა ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე.

ბატონი არჩილი გამოირჩეოდა ეკონომიკის სიდრმისეული ცოდნით, კვლევის ფართო დიაპაზონითა და ნაშრომთა სიუხვით. მან სტუდენტობის წლებიდანვე გამოავლინა მეცნიერისათვის დამახასიათებელი თვისებები: ნიჭიერება, დიდი ნებისყოფა, შრომისუნარიანობა და მეცნიერებისადმი სიყვარული.

ბატონმა არჩილმა განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა საგანმანათლებლო სფეროში, როდესაც მან დააარსა უმაღლესი სასწავლებელი, რითაც ხელიშეუწყო საბაზრო ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების აღზრდას და პროფესორ-მასწავლებელთა დასაქმებას, რომელთაც იმ დროისათვის ქვეყანაში არსებულ ყველაზე მაღალ ხელფასს უხდიდა. ამ პერიოდში კიდევ უფრო გამოვლინდა ბატონი არჩილის შესანიშნავი პედაგოგიური უნარი.

ბატონი არჩილი იყო გამორჩეული აღმზრდელი და მეგობარი ახალგაზრდებისა. ამიტომ, სწორედ მის განყოფილებაში მოიყარა თავი ინსტიტუტის ყველაზე მოწინავე ახალგაზრდობამ, რომელთაც სამეცნიერო ხარისხებიც დაიცვეს და მაღალ თანამდებობებზეც მოღვაწეობენ.

ბატონი ზურაბი გამორჩეული პიროვნება იყო თავისი განათლების დონით, კულტურით, წესიერებითა და პიროვნული სითბოთი, რომელსაც იგი გულუხვად აფრქვევდა ყოველთვის, რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ბატონი ზურაბი იყო ერთ-ერთი ღირსეული მკვლევარი ეკონომიკისა, განსაკუთრებით, სამრეწველო წარმოების, მიკროეკონომიკისა და სამეურნეო რეფორმების სფეროში. მაღალ თანამდებობებზე მოღვაწეობის დროს მას ყოველთვის მოჰქონდა სიახლეები მიმართული პროგრესისაკენ. უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში მისი როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი ზურაბის პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი შესანიშნავად ფლობდა აუდიტორიას საკითხის ღრმა ცოდნის, ერუდიციის, ორატორული უნარისა და სტუდენტებისადმი გამოჩენილი სითბოსა და სიყვარულის მეშვეობით.

ჩვენი ინსტიტუტი ქართულ საზოგადოებრიობასთან ერთად საიუბილეო სხდომით აღნიშნავს ბატონ არჩილ თეთრაულისა და ბატონ ზურაბ სოსელიას დაბადებიდან საიუბილეო თარიღებს, რაც მათი ღვაწლის არდავიწყებისა და მათდამი პატივისცემის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

სამარადისო ნათელი მათ ხსოვნას!

რამაზ აბესაძე



პროფესორი არჩილ თეთრაული
(1935-2009)

პროფესორ
არჩილ თეთრაულის
ცხოვრება
და
მოდვაწეობა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ იოსების ძე თეთრაული დაიბადა 1935 წელს თიანეთის რაიონის სოფელ არტანში. პირველი დაწყებითი განათლება მიიღო არტანის ოთხწლიან სკოლაში და სწავლა გააგრძელა თიანეთის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს.

ამავე წელს წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1958 წელს. შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტია პოლიტეკონომიის განხრით. როგორც უნივერსიტეტში, ისე ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა და აქტიურმა მკვლევარმა. იგი ღრმად ეუფლება მეცნიერებას და პარალელურად იწყებს მუშაობას ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქციაში ფინანსების, ვაჭრობის ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილების გამგის რანგში.

პროფესორი არჩილ თეთრაული 1959 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია და ამავე დროს ამთავრებს ასპირანტურას. 1971 წელს იგი წარმატებით იცავს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს და ღირსეულად იკავებს ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობას. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1977 წელს მას აწინაურებენ ინსტიტუტის აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილების გამგედ, ხოლო 2006 წლიდან ხდება ამავე ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე და საბაზრო ეკონომიკის მეცნიერული მიმართულების ხელმძღვანელი.

ბატონი არჩილ თეთრაული საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1994 წელს, იცავს დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

პროფესორ არჩილ თეთრაულმა განვლო ცხოვრების შინაარსიანი და სახელოვანი გზა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ეკონომისტთა ახალგაზრდა თაობების აღზრდაში. ამ საქმეში ღრმა განსწავლულობისა და ერუდიციის გარდა მას ესმარებოდა ის ადამიანური თვისებები, რითაც უხვად იყო დაჯილდოვებული. იგი დიდ დახმარებას უწევდა მის განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებს. მის განყოფილებაში მუშაობდნენ დღეს აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები: თემურ ბერიძე, მურმან კვარაცხელია, მეცნიერებათა კანდიდატები - ილია ზაქარიაძე, გია თოფურია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ზურაბ სოსელია, ნოდარ დარისპანაშილი.

პროფესორ არჩილ თეთრაულს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 12 მონოგრაფიული გამოკვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ არჩილ თეთრაულის ამ ნაშრომებს საქართველოს ეკონომიკური აზრის ისტორიაში დღესაც გააჩნიათ მეცნიერული ღირებულება.

პროფესორ არჩილ თეთრაულის მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი მეტად ფართოა. იგი მოიცავს როგორც ეკონომიკური თეორიის, ისე მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის პრობლემებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება ეროვნული ეკონომიკის კვლავწარმოებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებათა როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის საკითხების დამუშავებაში.

პროფესორ არჩილ თეთრაულის მონოგრაფიული ნაშრომები თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური მეცნიერების შენაძენად. მის შრომებში მოცემულია თავისებური მეცნიერული ხედვა პოსტკომუნისტური გარდამავალი

პერიოდის მაკროეკონომიკურ პრობლემებზე. მათში გადმოცემულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებები და გაკეთებული დასკვნები და წინადადებები გამოირჩევა ორიგინალური და კონცეპტუალური მიდგომებით.

ფრიად საყურადღებოა პროფესორ არჩილ თეთრაულის მიერ 1991 წელს თანაავტორობით გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო - „ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკონომიის) საფუძვლები“.

პროფესორი არჩილ თეთრაულის მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1976 წელს გამოცემული გამოკვლევა „გაფართოებული აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები საბჭოთა საქართველოში“. მასში ავტორმა გამოიკვლია გაფართოებული აღწარმოების თავისებურებანი ცალკეულ რესპუბლიკებში, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის ანალიზი. 1981 წელს კი მან გამოსცა გამოკვლევა „გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ძირითადი კანონზომიერებანი საბჭოთა საქართველოში“, სადაც გამოიკვლია გაფართოებული კვლავწარმოების რეგიონალური თავისებურებები და ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოების კანონზომიერებანი.

ასევე აღსანიშნავია მისი ნაშრომი „გაფართოებული კვლავწარმოების ტემპები და მისი ინტენსიფიკაცია საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც გამოცემულია 1987 წელს. აქ მეცნიერის მიერ განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია და ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებისა და პროპორციების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები პერსპექტივაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოსტკომუნისტურ პერიოდში, 1993 წელს ა.თეთრაულის მიერ გამოცემული მონოგრაფიული გამოკვლევა ორ წიგნად „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში“. მასში ავტორმა გადმოგვცა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა და მისი თავისებურებანი, პრივატიზაციის ფორმები, ბიზნესის სპეციფიკა და მეწარმეობის ფორმები და სხვა. აქვე მეცნიერმა მოგვცა საკუთარი ხედვა საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისა და მისი პერსპექტიული აღმავალი განვითარების შესახებ. მის ამ შრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

აღნიშვნის ღირსია პროფესორ არჩილ თეთრაულის მოღვაწეობა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 9 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 მაძიებელი, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ ქვეყნის სხვადასხვა უბნებზე და ეწევიან სასარგებლო საქმეებს. სწორედ ამ სფეროში წარმოინდა არჩილ თეთრაულის უდავოდ დიდი ნიჭი და ალღო, გზა გაეკაფა პერსპექტიული და მომავლის იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდებისათვის მეცნიერების რთულ და წინააღმდეგობებით სავსე მწვერვალებისაკენ. ამ მხრივ გამოვეყოფდი 1982 და 1986 წლებში პროფესორ არჩილ თეთრაულის რედაქტორობით გამოცემულ კოლექტიურ მონოგრაფიებს, სადაც ცალკეული თავების ავტორები არიან დღეს უკვე სახელგანთქმული მეცნიერები. ესენია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა. ასევე ცნობილი მეცნიერები თეიმურაზ ბერიძე, ბონდო ზარნაძე, აზიკო სისვაძე, ილია ზაქარიაძე, მურმან კვარაცხელია და სხვები.

იმ ახალგაზრდა მეცნიერებიდან, რომლებიც არჩილ თეთრაულის განყოფილებაში უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ მეცნიერული აზროვნების ხელოვნებას, მაგრამ დღეს აღარ არიან ჩვენ გვერდით, გამოვეყოფდი საუკეთესო მეგობარსა და პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერს ნოდარ დარის-

პანაშვილს, უნიჭიერეს პიროვნებას, საქართველოს ეროვნული ბანკის პირველ პრეზიდენტს გია თოფურიას, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელ მეცნიერსა და უკეთილშობილეს ადამიანს, იური კაპანაძეს და გამორჩეულ კოლორიტულ ფიგურას, ნოდარ ულუმბერაშვილს.

პროფესორი არჩილ თეთრაული დიდი წარმატებით კითხულობდა ლექციების კურსს თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სწორედ საბჭოთა სისტემის დანგრევის გარიჟრაჟზე მან ერთ-ერთმა პირველმა დააარსა საქართველოში კერძო სამართლის იურიდიული პირი-„თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა“. აქაც გამოჩნდა მისი, როგორც მენეჯერის, საქმიანი თვისებები და ეს სკოლა გახდა ახალი რეალიების მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული კადრების აღზრდის სამჭედლო. იგი წლების განმავლობაში იყო ამ უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელი და უცვლელი რექტორი.

პროფესორი არჩილ თეთრაული ფართო სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო მრავალი სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს წევრი, მათ შორის 2001-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს წევრი. ამასთან ერთად იყო არაერთი ჟურნალის რედაქციის წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში.

პროფესორი არჩილ თეთრაული დაჯილდოებული იყო მრავალი საპატიო სიგელითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. მას მიღებული ჰქონდა „ღირსების მედალი“.

იგი განსაკუთრებული თვისებების მატარებელი პიროვნება იყო, რაც გამოვლინდა მის ნიჭიერებაში, ჰუმანურობაში, მეგობრებისადმი თანადგომაში, პრინციპულობასა და ერთგულებაში.

მან დატოვა თავისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და კარგი ოჯახი, მისი ქალიშვილი, ქალბატონი ციცილო თეთრაული ღირსეულად აგრძელებს მამის მიერ დაწყებულ საქმეებს.

დასანანია, რომ პროფესორი არჩილ თეთრაული 74 წლის ასაკში, 2009 წლის 6 მარტს წავიდა ამ ქვეყნიდან. თუმცა მას ჯერ კიდევ შეეძლო ბევრი ღირებული სიტყვის თქმა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მურმან კვარაცხელია

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანია პროფესორ არჩილ თეთრაულის დამსახურება.

პროფ. არჩილ თეთრაული თავის თაობაში გამოირჩეოდა ეკონომიკური მეცნიერების სიღრმისეული კვლევებით. ძალიან ფართო იყო მისი კვლევის არეალი. იგი ერთნაირად ფლობდა პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკურ მოძ-

ღვრებათა ისტორიის, სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს.

პროფესორმა არჩილ თეთრაულმა 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 1994 წლის 22 დეკემბერს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

პროფ. არჩილ თეთრაულის ნაშრომები უპირატესად ეკონომიური მეცნიერების დაუმუშავებელ პრობლემებს ეხებოდა. ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის საკითხების კვლევა ბატონი არჩილის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო. სწავლის პერიოდში იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობას.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ბატონი არჩილის უადრესად ღრმა ეკონომიკური ცოდნა, სამეცნიერო საქმიანობაში პრინციპული და მტკიცე ხასიათი, მას აშკარად გამოარჩევდა არა მარტო თავისი ტოლემისაგან, არამედ წინა თაობის მეცნიერ-ეკონომისტებისაგანაც. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი ერთგულება მაღალი მოქალაქეობრივი მორალისა და პრინციპებისადმი. მას შეეძლო მთელი თავისი მომავალიც გაეწირა, ოღონდ კი მეცნიერებაში ეხეიმა ჭეშმარიტებასა და ადამიანის შესაძლებლობათა სრულყოფილ გამოვლინებას.

არჩილ თეთრაული ახალგაზრდა სწავლულ ეკონომისტთა შორის გამოირჩეოდა საოცარი შრომისმოყვარეობით, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის არსში ღრმად წვდომითა და მეცნიერული გაანალიზება-განზოგადების შესაშური უნარით.

პროფესორ არჩილ თეთრაულის ეკონომიკურ პრობლემებზე შექმნილ ნაშრომებზე არსებითი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალისტური სისტემის ნგრევისა და ორ ათეულზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ფაქტებმა. იგი თავის ნაწერებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნდა. მას შეეძლო შეექმნა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ისეთი საბაზრო წინაპირობები, როგორც იყო: თავისუფალი ბაზარი, საკუთრება კერძო და დაცული, ინფლაცია – დაბალი, ქვეყნებს შორის ვაჭრობა – განუსაზღვრელი. ეს მომენტები კი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ეხეიმა ფასების ლიბერალიზაციას, მთავრობა არ უნდა ჩარეულიყო კერძო კომპანიათა მართვაში, შეეწყვიტა მათი სუბსიდირება, უზრუნველყო კონტრაქტების შესრულება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, ადმინისტრაციული რეგულირების ოპტიმალური მინიმიზაცია, ბიუჯეტის დაბალანსება და ეკონომიკაში სავაჭრო ბარიერების მოხსნა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ბატონი არჩილი, თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, სადაც კი მას უმოღვაწია, ყველგან ქმნიდა ამინდს საინტერესო შემოქმედებითი მეცნიერული შედეგების მისაღწევად. იგი გამოირჩეოდა ცოდნის მრავალმხრივობით, თეორიული აზროვნების დონით, მეცნიერული სიღრმით და კვლევის განსაკუთრებული უნარით.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა მისი გამოკვლევა მაღალ მეცნიერულ-თეორიულ დონეზეა შესრულებული.

პროფესორი არჩილ თეთრაული ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე გააკეთოს წარმატებული

გათვლები. თუმცა, პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა დასახული დონისძიებების რეალიზაცია მთლიანად ვერ შეძლო. მისი აზრით, სასურველი რეფორმების განხორციელებლად აუცილებელია არა მარტო საბაზრო ეკონომიკის ელემენტებში გათვითცნობიერება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება.

გარდამავალი ეკონომიკის უკლებლივ ყველა ქვეყანაში წარმოიშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, რომელთა დროული გადაწყვეტა მეტად საშური საქმე იყო. „კომუნიზმიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლა ფრენის პროცესში თვითმფრინავის ძრავის შეცვლის ტოლფასია“. ასე დაახასიათა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თანამედროვეობის ცნობილმა ეკონომისტმა – კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჟერარ ლორანმა.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარი პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, კაპიტალისტური სისტემისაკენ მოძრაობა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძვლების გაუთვალისწინებლად ნაკლებად ეფექტიანი იყო, ხშირად კი – უშედეგო.

ბატონი არჩილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მეცნიერ ეკონომისტთა რიცხოვნობა სიჭარბის მიუხედავად, ეკონომიკური აზროვნების მწვავე დეფიციტია. რა თქმა უნდა, დეფიციტია გარდამავალი ეკონომიკის მშენებლობის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების გამოკვლევაშიც, რის გამოც ეფექტიანი სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება გაძნელებულია.

იმის გამო, რომ საქართველოში რეფორმების სტრატეგია საწყის ეტაპზე ეკონომიკური თეორიის ჭეშმარიტი დებულებების გაუთვალისწინებლად შემუშავდა, გახანგრძლივდა წარმოების დაცემის პროცესი მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით. არადა, რეფორმების სტრატეგია შემუშავებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში მომხდარი ფუძემდებლური მიმართულებებით განხორციელებული გამოკვლევების ბაზაზე საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაში წამოჭრილი პრობლემების შესწავლისა და ანალიზის გზით.

ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერება და შესაბამისი ინსტიტუტები ვალდებული იყვნენ, შეესწავლათ და პასუხი გაეცათ კითხვებზე, თუ რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ რეფორმების განხორციელებაში წარმატებების მიღწევა და რატომ ვერ ჩამოაყალიბა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ოპტიმალური მოდელი.

სწორად მიუთითებდა ბატონი არჩილი, რომ მხოლოდ თეორიაზე დაფუძნებული ცოდნით შეიარაღებულ რეფორმატორებს შეუძლიათ შეისწავლონ ბაზარზე გადასვლის პროცესში მიმდინარე მოვლენები, გააანალიზონ ეროვნული ეკონომიკის სუსტი წერტილები და მიღწევები და შეამოწმონ საბაზრო კოორდინატების გარდაქმნის ვექტორი.

მკვლევარის აზრით, ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ანალიზი და შეჯერება უნდა მოხდეს ეკონომიკური მეცნიერების ყველა სფეროსთან, განსაკუთრებით: მაკროეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, სახელმწიფო რეგულირების, ფინანსების, შრომითი რესურსებისა და სხვა პრობლემების განხილვისას.

ხაზგასმულია, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სამეურნეო რეფორმების პროცესი დაიწყო მოუმზადებლად, ყოველგვარი თეორიული საფუძვლის გარეშე. უფრო მეტიც, ქვეყანაში დაბალ დონეზე იდგა ეკონომიკური თეორიის პრობლემების კვლევა. ამას ისიც დაემატა, რომ

მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებმა ხელი შეუშალა ეკონომიკური სისტემის ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ათეული წლების მანძილზე მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია გვასაზრდოებდა უპირატესად დრომოჭმული იდეებით. ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტ თეორიულ ანალიზს ეჩვენებინა, თუ რას წარმოადგენდა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება რეალურად, იგი იძლეოდა დასკვნებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალში. სწორედ „მომავლის წინასწარ განჭვრეტა“ იყო მიჩნეული პოლიტიკური ეკონომიკის დიდ მონაპოვრად.

რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზის საფუძველზე ბატონი არჩილი მართებულად ასკვნიდა, რომ ეკონომიკური თეორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე დილექტანტის დონეზე ათვისებული მონეტარისტული თეორიის პოსტულატებით განხორციელდა „შოკური თერაპიის“ დოგმების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია რეფორმების ამოსავალ მომენტად იქნა მიჩნეული.

თანამედროვე ეკონომიკურმა მეცნიერებამ მარქსიზმის კრიზისიდან შესაბამისი დასკვნები ვერ გააკეთა და დღესაც უშვებს შეცდომებს, როდესაც ასაბუთებს, რომ ყველაზე ჭეშმარიტია ნეოკლასიკური თეორია და მხოლოდ მისი ცოდნა შეგვიწყობს ხელს, რომ ავაშენოთ საბაზრო ეკონომიკა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბაზრო ეკონომიკური სისტემის გარდა, თითქოს არასოდეს არ იყო და არც მომავალში იქნება სხვა ეკონომიკური სისტემა.

საესებითმართებულია პროფესორ არჩილ თეთრაულის დასკვნა მასზე, რომ არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია წარმატებით ფუნქციონირება ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის ათვისების გარეშე. მაგრამ დღეს ცალკეული განვითარებადი ქვეყნებისათვის მორგებული თეორია არ არსებობს. დასავლეთის მოწინავე ეკონომისტების მიერ შექმნილი „ეკონომიკსად“ წოდებული ეკონომიკური თეორია ოპტიმალურად ესადაგება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემას და ნაკლებად გამოსაყენებელია პოსტსოციალისტური ქვეყნების საბაზრო ურთიერთობათა თეორიულ საფუძველად.

ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, მიუთითებდა მკვლევარი – დიდად არის დამოკიდებული ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის სრულყოფილ განვითარებაზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებიდან, ფინანსების როლის კოლოსალურმა გაძლიერებამ თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია ფინანსურ ურთიერთობებში. წარმოიშვა ეკონომიკის ვირტუალური სტრუქტურირება: მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავისი შემოსავლებით და ისეთ დონეზე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე უფრო დიდი როლი დაეკისრა, ე.ი. წარმოიშვა ეკონომიკა პირობითი, ანუ სიმბოლური, ფულის მექანიზმის დონეზე – სიმბოლური ეკონომიკა, ანუ გიგანტური სიმბოლური კაპიტალის ეკონომიკა. ამრიგად, მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა – ფინანსური ეკონომიკა.

მართებული იყო მკვლევარის მოსაზრება მასზე, რომ ფინანსური ეკონომიკის საფუძველია ის ღრმა ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო მეურნეობის წიაღში, კერძოდ, ტრანსფორმაცია ეროვნულ მეურნეობებში, ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ამ ასპექტში მისახედი იყო გლობალიზაციის პრობლემებიც.

საესებით მიზანშეწონილია ავტორის აზრი მასზე, რომ ფართო კვლევა-ძიებას ექვემდებარება ინდიკატური დაგეგმვის აქტუალური პრობლემები, რომელთა შორის საყურადღებოა: პროგნოზირებისა და დაგეგმვის, ინდიკატური გეგმის იაპონური, ფრანგული და ჩინური მოდელები, მათი ფუნქციები და

ინსტრუმენტარიები და ინდიკატური დაგეგმვის ფორმირების საფუძვლები საქართველოში.

პროფესორმა არჩილ თეთრაულმა საგნობრივად აითვისა და შეისწავლა სოციალისტურ ურთიერთობათა პრაქტიკა, რომელიც გააჩნდა საბჭოთა კავშირს და ევროპის ქვეყნების გარკვეულ ნაწილს. არადა ცნობილია, რომ ისტორიაში პრეცედენტი არ გააჩნია აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულგეგმიანი მეურნეობრიობის გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკად, რომელიც უპირატესად კერძო საკუთრებას ემყარება.

ცნება „გარდამავალი ეკონომიკა“ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და ფორმირებად მაკროსისტემებში განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებებსა და ხარისხს. გარდამავალი ეკონომიკის ცნების გამოყენება განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში: ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის და მართვის ცენტრალიზაციის ლიკვიდაცია და კერძო საკუთრების განვითარებულ ინსტიტუტზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება.

საყურადღებოა, რომ პროფესორ არჩილ თეთრაულის მეცნიერულ კვლევებში საგნობრივი ადგილი პოვა იმ ცვლილებებმა, რომლებიც სოციალიზმის ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

1985-1990 წლებში თანდათან გამოიკვეთა ეროვნულ მეურნეობათა განვითარების შენელების ტენდენციები: შემცირდა წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები, გამწვავდა სოციალური სფეროს პრობლემები, გაუარესდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. ამასთან, არსებითად დაირღვა სამეურნეო ცხოვრების რიტმი, დაიწყო ტრადიციული ეკონომიკური კავშირების რღვევის პროცესი, გაძლიერდა ნაკლებწარმოების ეკონომიკური კრიზისი, გაღრმავდა შიდადარგობრივი და დარგთაშორისი დისპროპორციები, ჩამოყალიბდა და გაგრძელდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების დაცემის ტენდენცია.

1990 წლისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ არსებული სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკის გაჯანსაღება შეუძლებელი იყო. სოციალისტურმა დირექტიულმა დაგეგმვამ ეკონომიკური სისტემა ამოაგდო თავისი ბუნებრივი განვითარების ჩარჩოებიდან.

იმისათვის, რომ გაიუმჯობესონ პოტენციური ზრდის შანსი მომავალში, გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნები თამამად უნდა წავიდნენ საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, რაც მოითხოვს მათი ეკონომიკის ფუნდამენტურ გარდაქმნას და წარმოებით ურთიერთობათა ახალი ტიპის განვითარებას.

მართებულია პროფესორ არჩილ თეთრაულის მოსაზრება მასზე, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი ხანის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა, უხარისხო პროდუქციის წარმოება და დაბალი შრომის ნაყოფიერება. ცენტრალური ხელისუფლებისათვის რთული იყო გადაწყვეტილების მიღება რესურსების და საქონლის, განსაკუთრებით კი სამომხმარებლო საქონლის ეფექტიან გადანაწილებაზე, ერთი მხრივ, იზრდებოდა დეფიციტი იმ პროდუქციაზე, რომელზედაც არსებობდა მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ, იმატა ჩაწოლილი საქონლის მარაგებმა, რაც, საბოლოო ანგარიშით, დანაკარგი იყო საზოგადოებისათვის. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა.

სწორია ავტორის დასკვნა მასზე, რომ არ არსებობს რეფორმების ერთიანი პაკეტი, რომელიც ვარგისი იქნებოდა გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის, რამდენადაც მათი პირობები ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავდებოდა. უფრო მეტიც, არსებობს უთანხმოება იმაში, თუ რა ტიპის საბაზრო ეკონომიკის შექმნა არის შესაძლებელი ამა თუ იმ ქვეყანაში. მით უფრო ვაღიბდება საერთო აზრი, რომ გარდაქმნის პროცესში აუცილებელია რეფორმის მთავარი ელემენტების გათვალისწინება.

მეტად საინტერესოა ავტორის აზრი მასზე, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და კონტროლი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და არსებული რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გულისხმობს:

– ისეთი გადაუდებელი და მიმდინარე პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას, როგორცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ჭარბი ფულადი მასა (ჭარბი ლიკვიდობა) და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგარეო ვალი და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვები.

– სოციალური დაცვის სისტემის შექმნას და სოციალური დაცვის უფლების უზრუნველყოფას.

– გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც საშუალებას იძლევა, განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი. ამისათვის საჭირო იყო სპეციალური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შექმნა, აგრეთვე ეკონომიკაში მკაცრი ფინანსური რეჟიმის შემოღება.

ფასებისა და საბაზრო რეფორმის განხორციელება გულისხმობს:

– შიდა ფასების ლიბერალიზაციას პროდუქტებსა და მომსახურებაზე;

– საპროცენტო განაკვეთისა და ხელფასების ლიბერალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის გარდაქმნას;

– საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სავალუტო კურსის მდგრადობას და ეროვნული ვალუტის ნორმალურ მიმოქცევას, საგარეო ვაჭრობის სფეროში კვოტების გაუქმებას და საბაჟო ტარიფების დაწევას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ტემპები და წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ქვეყნებში პოლიტიკური სტაბილურობის დონეზე.

ავტორის ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს არასტაბილურობის ფაქტორებს. პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც გარკვეული ზომით არსებობს ყველა გარდამავალ ეკონომიკაში, წარმოადგენს მრავალი ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგს, რომლებიც ავსებენ ეკონომიკურ პრობლემებს. კერძოდ, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს:

1. ჯგუფური ინტერესებით. ყოფილ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის ქვეყნებში ბევრი ეწინააღმდეგება რეფორმებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არყვეს მათ ძალაუფლებას და მდგომარეობას;

2. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არცოდნით;

3. საერთო-ეროვნული და რეგიონული არასტაბილურობით. კომუნისტური რეჟიმის დაცემისა და პოლიტიკური ლიბერალიზაციის დამკვიდრების შედეგად თავი იჩინა ათწლეულების და ასწლეულების მანძილზე არსებულმა ეროვნებათაშორისმა პრობლემებმა;

4. ყურადსაღებია რაციონალური ფასების როლი;

5. აუცილებელია საკუთრების უფლების როლის ზრდა. ბევრს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირველდაწყებითი

მცდელობა საკუთრების უფლების სფეროში რეფორმის გარეშე წარმატებით დამთავრდება. საბაზრო სისტემებს შეუძლია ფუნქციონირება საკუთრების სხვადასხვა ფორმების პირობებში, კერძოდ – სახელმწიფო, კოლექტიური და კოოპერატიული საკუთრების ჩათვლით.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ არჩილ თეთრაულის მოსაზრებას მასზე, რომ, მოკლევადიანი სტაბილური პოლიტიკის გატარებასთან ერთად, აუცილებელია სტრუქტურული რეფორმების დაწყება საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკურ სფეროებში. აგრეთვე სისტემური რეფორმები საკუთრებითი ურთიერთობის, საწარმოთა, ფასებისა და შრომის ბაზრის მართვის სფეროში.

გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, კერძოდ, იმასთან, რომ საზოგადოების სოციალური მოთხოვნები იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ მთავარი ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას და საგადასახადო სისტემის სრულყოფას.

შეუძლებელია არ დაეთანხმოთ პროფესორ არჩილ თეთრაულის მოსაზრებას მასზე, რომ საკუთრების რეფორმის წარმატებისთვის, რამდენადაც კერძო საკუთრება ამცირებს პოლიტიკურ ჩარევას საწარმოს მართვაში და ქმნის ალტერნატიულ შესაძლებლობას პიროვნებისთვის, უნდა შეიქმნას ნორმალური სამართლებრივი გარემო, რომელიც დაიცავს მესაკუთრეთა უფლებებს და დაარეგულირებს კომერციულ ურთიერთობებს, რაც აუცილებელია ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისთვის; საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეფექტიანი სისტემის შექმნა ინფორმაციის ადეკვატური ანალიზისთვის. გარდა ამისა, საჭიროა განხორციელდეს ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, რომ შესაძლებელი იყოს სამართლებრივი და მმართველობითი რეფორმების რეალიზება. დასავლეთის ქვეყნებში ამგვარი საბაზრო ინსტიტუტები, სისტემები, გამოცდილება და შესაძლებლობები ჩამოყალიბდა, დაგროვდა და განვითარდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ, სასარგებლოა მათი გონივრული გამოყენება ჩვენში რეფორმების განხორციელებისას.

რევაზ კაკულია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოგონებები

მე მისი დიდი მადლობელი ვარ

უნივერსიტეტი დაფუძნდა 1977 წელს და შრომის წიგნაკი გავხსენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ, რომელიც ამ დროს ინსტიტუტის დირექტორი იყო, ასარჩევად შემომთავაზა რამდენიმე განყოფილება, სადაც შემიძლო მუშაობის დაწყება. ამ განყოფილებათა შორის ახლადგახსნილი იყო ერთი, რომელიც აღწარმოების საკითხებზე მუშაობდა. რადგანაც ჩემი იმდროინდელი სამეცნიერო ინტერესები დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების საკითხებით შემოიფარგლებოდა, მეც სწორედ ის განყოფილება ავირჩიე, რომელსაც სათავეში ბ-ნი არჩილ თეთრაული ედგა.

ბ-ნი არჩილის განყოფილება იმთავითვე გამოირჩეოდა ინსტიტუტში, რადგან, ბ-ნი იური კაპანაძის გარდა, მთელი განყოფილება მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერებით იყო დაკომპლექტებული. საყურადღებოა, რომ თავადაც ახალგაზრდებს ყველაზე მეტად, სწორედ ბ-ნი არჩილის განყოფილებაში უნდოდათ ემუშავათ, რადგან მან შეძლო უნიკალური შემოქმედებითი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნა.

არჩილ თეთრაული იყო საქართველოს ეკონომიკის, მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების მკვლევარი, და ნებისმიერი ეკონომისტი, რომელიც დაინტერესდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის კვლევით, გვერდს ვერ აუვლის პროფ. თეთრაულის ნაშრომებს.

ბ-ნი არჩილი იყო ინიციატორი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების. მისი ინიციატივითა და სამეცნიერო რედაქტორობით განყოფილება პრაქტიკულად ყოველწლიურად აქვეყნებდა კოლექტიურ მონოგრაფიებს.

პირადად ჩემ მიმართ ბ-ნი არჩილს დიდი წვლილი მიუძღვის. ინსტიტუტში იმ დროს მიღებული იყო, რომ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდაზე დასაშვებად საჭირო იყო ხელმძღვანელის თანხმობა, რომ მას ასპირანტისგან ყველა თემა ჰქონდა მოსმენილი. სინამდვილეში, ზოგიერთი ხელმძღვანელი ფორმალურად უწერდა ხელს ასპირანტს. მე ხელმძღვანელი არ მყავდა და ბ-ნი არჩილს, როგორც განყოფილების გამგეს, ვთხოვე, მოესმინა ჩემთვის თუ რამდენად ვიყავი მზად თითოეული თემის მიხედვით პოლიტიკურ ეკონომიაში. ის არ დამზარდა და თითქმის ერთი წლის განმავლობაში მითმობდა მისთვის ძვირფას დროს.

როცა 1992 წელს ინსტიტუტის დირექტორის არჩევნები დაინიშნა, ის იყო ჩემი გულწრფელი და ღია მხარდამჭერი.

იმ პერიოდში საქართველოში იქმნებოდა კერძო უმაღლესი სასწავლებლები და ამ საქმის ერთ-ერთი პიონერი სწორედ ბ-ნი არჩილი იყო. მან ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე, ჩვენი თანამშრომლების ჩართულობით შექმნა ასეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა.

სამწუხაროდ, პროფ. არჩილ თეთრაული ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, თუმცა მაინც მოასწრო, მნიშვნელოვანი კვალი დაეტოვებინა საქართველოს ეკონომიკის კვლევასა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში. მე მისი დიდი მადლობელი ვარ...

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა,

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

არჩილ თეთრაულის გახსენება!

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობით, ადამიანების მიმართ სიყვარულით წაუშლელ კვალს ტოვებენ ქვეყნის, საზოგადოების და ახლობლების მესხირებაში, ასეთ ადამიანთა რიცხვს სრულიად დამსახურებულად მიეკუთვნება ბატონი არჩილ თეთრაული. ბატონი არჩილ თეთრაული გაცივანი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც დავიწყე მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებაში. მისი ცხოვრების მთავარი კრედიო გახლდათ ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებზე ზრუნვა, ხელშეწყობა სამეცნიერო ნაშრომების, დისერტაციების მომზადების საქმეში. შემთხვევითი არ არის, რომ მისი ხელმძღვანელობით ბევრი სამაგალითო მეცნიერი მოეგვინა ქვეყანას, სამეცნიერო საზოგადოებას.

არ იქნება სწორი, თუ არ გავიხსენებ მის ინიციატივას - არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის შექმნას. ეს იყო პირველი ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. სასწავლებელში შემოღებული იქნა ახალი სასწავლო პროგრამები, რომლებიც ეფუძნებოდა სრულიად ახალ ეკონომიკურ მოდელს - საბაზრო ეკონომიკას.

ჩვენ მისი მოწაფეები ამაყი ვართ, რომ ერთ დროს გვიწვედა ბატონ არჩილ თეთრაულთან ყოფნა, ურთიერთობა და ნაფიქრალის გაზიარება.

თემურაზ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

თვალსაჩინო მეცნიერი და მოღვაწე

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი არჩილ თეთრაული ჩვენი უფროსი თაობის ერთ-ერთი ღირსეული თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი გაცივანი 1979 წელს, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. იმ დროს იგი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ყველაზე მრავალრიცხოვან და წამყვან განყოფილებას.

ყველაზე მთავარი, რაც ბატონ არჩილთან დაკავშირებით მახსენდება, არის მისი უაღრესად მზრუნველი და ჭეშმარიტად მამობრივი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ. იგი ყველაფერს აკეთებდა მათი მეცნიერული ღონის ამღვლელებისა და საკარიერო წინსვლის მიზნით. ალბათ, არც ის არის შემთხვევითობა, რომ ბატონი არჩილის განყოფილება მხოლოდ ახალგაზრდა მკვლევარებისგან შედგებოდა.

ბატონი არჩილი საოცარი შრომისმოყვარეობით და სამეცნიერო პროდუქტიულობით გამოირჩეოდა. მის კალამს ეკუთვნის ათეულობით მონოგრაფია და სამეცნიერო ბროშურა, მრავალი სამეცნიერო სტატია და სამეცნიერო მოხსენება. იგი იყო უბადლო ორატორი და სრულყოფილად ფლობდა დისკუსიისა და პოლემიკის ბევრ საიდუმლოს. უაღრესად რთული და თითქმის შეუძლებელიც კი იყო მასთან მეცნიერულ დავაში ჩართვა.

ბატონი არჩილ თეთრაულის არა მხოლოდ წმინდა მეცნიერულმა, არამედ ორგანიზატორულ-პედაგოგიურმა ტალანტმა განსაკუთრებით მაშინ გაიბრწყინა, როცა მან დააარსა ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. აღსანიშნავია, რომ იმ დროს არსებული უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე, ბევრი ჩვენი კოლეგისთვის ამ ინსტიტუტში გაწეული სამუშაოსათვის მიღებული ანაზღაურება მათი ფიზიკური არსებობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ბატონი არჩილი პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი იყო. მისი ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, რომლებმაც მოგვიანებით განათლების სფერო სარფიანი და მომგებიანი ბიზნესის წყაროდ აქციეს, მისი სტრატეგიული ჩანაფიქრი ორ მიზანს ემსახურებოდა: ახალგაზრდებისათვის მიეცა საჭირო პროფესიული ცოდნა, კოლეგებისათვის კი „სოციალური უსაფრთხოების“ ელემენტარული პირობები უზრუნველყო.

ბატონი არჩილი იყო ჭეშმარიტი მეცნიერი, პედაგოგი, პატრიოტი მოღვაწე. სამწუხაროდ, იგი ადრე წავიდა ცხოვრებიდან და ვერ მოასწრო ბევრი ჩანაფიქრის რეალიზება, რაც უდავოა, დიდად წაადგებოდა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საქართველოს ეკონომიკას. ამასთანავე, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმის საუკეთესო მაგალითია თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი საქმე, რა გარჯით, რუდუნებით და თავდადებათ უნდა ემსახუროს იგი საკუთარ ხალხს და ქვეყანას.

პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი

ბატონი არჩილ თეთრაული დაუსწრებლად გავიცანი ქალაქ მოსკოვში. ასპირანტურაში სწავლისას ე.წ. „ლენინკაში“ წავაწყდი მის ქართულენოვან ნაშრომს, რომლიც შეეხებოდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ფაქტორებისა და სტრუქტურის საკითხების შესწავლას. ამავე მანქვებლების პროგნოზირების საკითხებს შეეხებოდა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია, და, ბუნებრივია, ამ წიგნისადმი ჩემი ინტერესი მაღალი იყო. ნაშრომი დავამუშავე, გადავიღე მისი ქსეროასლი (მაშინ ბიბლიოთეკაში კოპირება დიდ რიგებთან და ტექნიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული). ძალიან ბევრი კითხვა დამიგროვდა და შეკვებებისას გადავწყვიტე თბილისში ბატონ არჩილთან საკონსულტაციოდ შეხვედრა. დავაზუსტე მისი სამსახური და მივედი მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. პირველ მისვლაზე ვერ ვნახე, მომცეს მისი ბინის ტელეფონი, თუმცა, ვერ გავბედე დარეკვა, ვიფიქრე, უცხო კაცი ვარ და არ თქვას რა უფლებით მირეკავსო. ჩემი გასაჭირი ვუამბე ღვთისნიერ კაცს გურამ ყუფუნისას, რომელმაც თავისივე კაბინეტიდან დაურეკა მას, ესაუბრა ჩემს შესახებ და მეორე დღესვე შევხვდი ბატონ არჩილს. გავეცანი, ძალიან უბრალო და ყურადღებიანი მეჩვენა. მან მოკლედ მომაყოლა ჩემი დისერტაციის მიზანი და ამოცანები, მომიწონა თემატიკა, შემდეგ

მკაფიოდ გამარკვია ჩემთვის საინტერესო საკითხებში. ამისხნა, როგორ უნდა მომეპოვებინა ახალი ინფორმაცია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, მისი ახლად გამოცემული წიგნიც მაჩუქა და წარმატებები მისურვა. ვიგრძენი, რომ ძალიან უყვარდა ახალგაზრდა მეცნიერები და დიდი პატივისცემით განვეწყვე მის მიმართ.

შემდეგ ბატონ არჩილს ხშირად ვხვდებოდი სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებსა და სხვა ღონისძიებებზე. იგი ყოველთვის სიყვარულით და მეგობრულად მხვდებოდა. დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა ეკონომისტთა საზოგადოებაში. ძალიან მიკვირდა, რომ ასეთი სახელოვანი მეცნიერი რატომღაც არ ჩქარობდა და არ იცავდა სადოქტორო დისერტაციას. ერთხელ სუფრაზე გვერდიგვევრდ მოვხვდით და მე უკვე შეთამამებულმა ვკითხე ბატონ არჩილს, თუ რატომ აგვიანებდა სადოქტორო დისერტაციის დაცვას. მან მოჭრით მითხრა, არ მინდა, რომ ჩემი ნაშრომი რუსებმა აბურთაონო. ეს იყო ტრაგიკულ 9 აპრილამდე ცოტა ადრე. შემდეგ მოკლე დროში ამას მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ბატონი არჩილის ნათქვამი სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა.

მინდა მოვიგონო ბატონ არჩილთან დაკავშირებული ერთი დაუვიწყარი ეპიზოდი. ქვეყანაში ურთულესი პერიოდია, კუპონის ეპოქა, პური ტალღებით. სამსახურში ფეხით დავდივართ. მოკლედ მძიმე სურათია. მირეკავს ჩემი ძვირფასი მეგობარი პროფესორი ნუგზარ სანთელაძე და მთხოვს უჩვეულო რამეს. საქმე ეხებოდა ბატონი არჩილის სადოქტორო დისერტაციას, რომლის ერთ-ერთ ოპონენტად დანიშნული იყო ბატონი ნუგზარი. მან მითხრა, რომ დისერტაციის თემატიკა ჩემთვის არ იყო ახალი და მენახა თუ რამდენად პასუხობდა იგი მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ბატონ ნუგზარს ოპონირებას ბევრი ჩვენი კოლეგა უფრთხობდა, რადგან მისი სახელი განთქმული იყო როგორც მომთხოვნი და უკომპომისო მეცნიერის. კარგად მახსოვს, ერთ კვირაში, სანთელის შუქზე (დენი მაშინ იშვიათობა იყო) გადავიკითხე სადისერტაციო ნაშრომი. ნამდვილად მომეწონა, რადგან მასში მეცნიერული სიღრმისეულობით იყო შესწავლილი საქართველოში საბჭოური პერიოდის გაფართოებული კვლავწარმოების ძირითადი კანონზომიერებები და ის ძირითადი გამოწვევები, რომელიც დადგა ქვეყნის წინაშე საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. როგორც ჩანს, ბატონმა არჩილმა მოკლე დროში შეძლო ახალი ეკონომიკური პარადიგმის ძირითადი თავისებურებების შესწავლა, გააზრება და საკმაოდ საინტერესო მეცნიერული მიგნებების ფორმირება. აქედან გამომდინარე, ბატონ ნუგზარს თამამად და ცალსახად ვუთხარი – ბრწყინვალე ნაშრომია და თუ დროის პრობლემა ქონდა მე დავუწერდი რეცენზიის შავ ვარიანტს. უარი მითხრა, მე თვითონ დავწერო. არ მახსოვს რა მიზეზით არ ვესწრებოდი ბატონი არჩილის დისერტაციის დაცვას, მაგრამ ჩემი კოლეგების გადმოცემით ვიცი, რომ მან ბრწყინვალედ ჩაიარა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში.

უფაღმა, ეს ღვთისნიერი კაცი, ენერგიული, მოსიყვარულე, განათლებული, მეგობრული, გამორჩეული მეკლევარი და პედაგოგი მოულოდნელად მუდმივ სასუფეველში გაამწესა. დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ, ახლობლებმა და მეგობრებმა. ნათელში ამყოფოს მისი სული უფაღმა.

იაშა მესხია

პროფესორი

არჩილ თეთრაულის დღესაც მისაბაძი მაგალითი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ისტორიაში გამორჩეულია იმ ადამიანთა წვლილი, ვინც მთელი თავისი შრომითი საქმიანობა ამ ინსტიტუტს დაუთმო. აქ ორი კატეგორია გამოიყოფა: ერთი, „დამფუძნებელი მამები“, ვინც ინსტიტუტის დაფუძნების დროს (1944 წლის 29 ივნისი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს №734 დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ) უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერები იყვნენ და სათავე დაუდეს ინსტიტუტის ფუნქციონირებას (პაატა გუგუშვილი, ნიკოლოზ იაშვილი, იოსებ ბაჯაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი ...), ან შეადგინეს ინსტიტუტის მუშაკთა პირველი ტალღა (ფილიპე გოგინაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მეღვინე, სერგი ბერაძე...). ესენი იყვნენ ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარეთ (და გვერდიგვერდ) მძლავრი სამეცნიერო ცენტრის შექმნის ავტორები. მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან ისინი, ვინც ამ ახალი ეკონომიკური ცენტრის წიაღში მოვიდნენ, ჩამოყალიბდნენ მეცნიერ-მკვლევარებად და მთელი სიცოცხლის მანძილზე დარჩნენ ინსტიტუტის თანამშრომლებად. ეკონომიკის ინსტიტუტმა პირველი „საკუთარი წარმოების“ კადრების „გამოშვება“ დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ინსტიტუტის პირველი მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. ამ თაობის თანამშრომელთა უმეტესობის მთელი შრომითი ბიოგრაფია მთლიანად ეკონომიკის ინსტიტუტს დაუკავშირდა. ამ თაობის წარმომადგენელი იყო ბატონი არჩილ თეთრაული. ის ინსტიტუტში მოვიდა 1959 წელს, 24 წლის ასაკში, და იყო მისი თანამშრომელი 49 წლის განმავლობაში – სიცოცხლის ბოლომდე (1998). ჩემი თაობა ინსტიტუტში მივიდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში. ეს იყო ინსტიტუტის რაოდენობრივი ზრდის ყველაზე დიდი ბოლო ტალღა. ამ თაობის სამეცნიერო კარიერის დასაწყის პერიოდს დაემთხვა „პერესტროიკა“, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდი, 1978 წლის 14 აპრილისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საბჭოთა კავშირის დაშლა... ინსტიტუტში ამ პერიოდში ერდროულად მოღვაწეობდნენ ინსტიტუტის დამფუძნებლები, ინსტიტუტის კედლებში ჩამოყალიბებული საშუალო ასაკის, ინსტიტუტის სტრუქტურული და სამეცნიერო პოტენციალის ხეხრხემალი მუშაკები და კარიერის საწყის საფეხურზე მდგომი ახალგაზრდობა. ახალ გარდაქმნებთან ადაპტირებას ადვილად ახდენდა ეს უკანასკნელი ჯგუფი. უფროს თაობას უჭირდა მოვლენების დინამიკისა და რეალობებისადმი შეგუება. საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის იმპერიის ნანგრევებში მოჰყვა მეცნიერება და მათ შორის – ეკონომიკის ინსტიტუტი. დაიწყო მეცნიერების დეგრადაციის პერიოდი. მეცნიერ მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა საზოგადოების ყველა სხვა სოციალურ ჯგუფზე უფრო სწრაფად გაუარესდა. ამ სიტუაციაში, ბატონმა არჩილმა გადადგა დროისათვის წინმსწრები ნაბიჯი და ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა კომერციული სასწავლებელი. ის ყველაზე სწრაფად „გათავისუფლდა“ კომპლექსებისაგან და მიიღო საბაზრო ეკონომიკის გამოწვევა. მე არ ვიცნობ ამ სასწავლებლის არც შექმნის, არც არსებობის კომერციულ დეტალებს, მაგრამ ვიცი ერთი, რომ ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელს, მათ შორის მეც (1993 წელს ინსტიტუტიდან წასვლამდე), ამ სასწავლებელში ლექციებისათვის გაუჩნდათ არსებობისათვის წყარო. ბატონი არჩილის ეს ნაბიჯი ძალიან გასაკვირი იყო თავის დროზე და აღმაფრთოვანებელია დღეს. ამიტომაც გამახსენდა ალბათ ეს მომენტი ბატონ არჩილის ცხოვრებიდან. თანაც, თვალწინ

მიდგას, თუ როგორ მტკიცე იყო ის ამ საკითხების გატანის დროს, როგორ აწარმოებდა კამათს: ახლო დისტანციაზე პირდაპირ თვალეზოში ყურებითა და მტკიცე, უცვლელი ტონალობის კარგი ქართულით... ბატონმა არჩილმა აღნიშნული გადაწყვეტილებით საშუალება მისცა იმ ადამიანთა „გმირული“ ცხოვრების გაგრძელებას, ვინც დღემდე ინსტიტუტში მოღვაწეობენ. ამასთან, ბატონმა არჩილმა მეცნიერების თვითდაფინანსების წყაროების ძიების მისაბაძი მაგალითი დატოვა.

მიხეილ ჯიბუტი

პროფესორი

არჩილ თეთრაულის ხსოვნას

ქართული მეცნიერება არასდროს განიცდიდა ეკონომიკაში გამორჩეული კადრების სიმცირეს. მარტო პ. გუგუშვილის, ფ. გოგინაიშვილის, ა. გუნიას, ვ. ჩანტლაძის, ნ. იაშვილის, ა. კაკაბაძის, ლ. კარბელაშვილის, ა. ნუცუბიძის, გრ. ქარჩავას, კ. დოლობერიძის სახელების ხსენება საკმარისია იმის აღსანიშნავად, რაოდენ მაღალ დონეზე იყო აყვანილი მეცნიერული კვლევები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში აქტიურ სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩნდა ახალგაზრდა თაობა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა ბატონმა არჩილ თეთრაულმა. მან ღირსეულად განვლო გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე. წლების განმავლობაში ეწეოდა რა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას, პირველივე შესაძლებლობის გაჩენისთანავე დააარსა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, რომლის რექტორიც იყო სიცოცხლის ბოლომდე.

აღნიშნული ქმედებით, რთულ 90-იან წლებში, იგი არა მარტო ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას უწყობდა ხელს, არამედ სხვა ორგანიზაციებიდან მოწვეული თუ ინსტიტუტის თანამშრომელთა დასაქმებით აუმჯობესებდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობასაც. ამასთანავე, იყო პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი როგორც ლექტორების, ასევე სტუდენტების მიმართაც.

განყოფილება, რომელსაც ბატონი არჩილი ხელმძღვანელობდა, გარკვეული თვალსაზრისით არა მარტო მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების, არამედ მომავალი საზოგადო და პოლიტიკური თანამდებობის პირთა სამკუდლოც აღმოჩნდა. მაგალითისთვის თუნდაც ვლ. პაპავას, ზ. სოსელიას, ნ. ულუმბერაშვილის, ი. ზაქარიაძის და სხვათა ჩამოთვლაც კმარა.

ვისაც კი ბატონი არჩილთან ურთიერთობა ჰქონია, არ შეიძლება არ გაიხსენოს მისი თბილი, პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულება უფროსი თაობის წარმომადგენლებთან. საინტერესო იყო ა. თეთრაულის და პაატა გუგუშვილის დამოკიდებულება – მუდამ ცნობისმოყვარე არჩილ თეთრაული და აკადემიკოსი ბატონი პაატა. ეს იყო ნიმუში ორი, მუდამ მეცნიერულ ძიებაში ჩაფლული პიროვნების ურთიერთობისა.

ბატონი არჩილი შესანიშნავი მეოჯახე გახლდათ. მას გვერდში ედგა როგორც საოჯახო, ისე სამეცნიერო მუშაობაში ერთგული მეუღლე ქალბატონი ლია ჯალიაშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტის სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის კათედრის უ/მასწავლებელი.

მის მემკვიდრეობას წარმატებით აგრძელებს ქალიშვილი ციციხო თეთრაული, რომელიც დღესაც ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში.

ავთანდილ სულაბერიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

მეცნიერული კვლევის, სიკეთის ქმნისა და სხვებზე მზრუნველობის პროფესიონალი

ბატონ არჩილ თეთრაულთან ჩემი ურთიერთობა დაიწყო 1992 წლიდან, როცა მისი თაოსნობით დაარსებულ ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მან მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელად მიმიწვია. ეს უმაღლესი სკოლა ერთ-ერთი პირველი და ძალიან პრესტიჟული გახლდათ იმ პერიოდში. ბატონ არჩილს დიდი სურვილი ჰქონდა, სამეცნიერო კავშირები დაემყარებინა უცხოეთის უნივერსიტეტებთან. მე აქტიურად ჩავეერთე ამ პროცესში და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიეთ ოფიციალურ თანხმობას სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების შესახებ გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტთან და მასთან არსებულ ევროპის ინსტიტუტთან, საერთაშორისო მენეჯმენტის ინსტიტუტთან და ევროპის ბიზნესის უმაღლეს სკოლასთან.

ბატონმა არჩილ თეთრაულმა ჩემზე წარუშლელი შტაბეჭდილება მოახდინა, როგორც შესანიშნავმა მეცნიერმა და ხელმძღვანელმა, უაღრესად პატიოსანმა და წესიერმა პიროვნებამ. ის ყოველთვის ნიჭიერი, მართალი და პატიოსანი ადამიანების მხარდამჭერი იყო და ამის გამო როგორ რთულ მდგომარეობაშიც უნდა მოხვედრილიყო, არ დალატობდა საუკეთესო ადამიანურ თვისებას – სამართლიანობას.

ბატონი არჩილ თეთრაული ახალგაზრდებს არა მხოლოდ მეცნიერებას აზიარებდა, არამედ სიკეთის ქმნისა და სხვებზე მზრუნველობის ხელოვნებითაც მოძღვრავდა, მას გულწრფელად ახარებდა მომავალი თაობის წარმატებები.

რევაზ გველესიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

მეცნიერად დაბადებული

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის 1953 წლის პირველკურსელთა 125 სტუდენტთან ნაკადში, პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთი გამორჩეული, საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო არჩილ თეთრაული. მან თავისი წარჩინებული სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით იმთავითვე მოიპოვა პროფესორ-მასწავლებელთა და თანაკურსელების ყურადღება. იგი ყველა სემინარზე სერიოზულად მომზადებული მოდიოდა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში სისტემატურად მონაწილეობდა საყურადღებო მოხსენებებითა თუ დისკუსია-დებატებში. ამისათვის ჩვენ, თანაკურსელებმა მას „პატარა მარქსიც“ კი შევარქვით, რასაც ის უდავოდ, ყოველგვარი ირონიის გარეშე იმსახურებდა. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერად, მას უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ რეკომენდაცია მისცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად სამუშაოდ. ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ცნობილმა მეცნიერმა და ახალგაზრდობის დიდმა მოამბაგემ პროფესორმა პაატა გუგუშვილმა მცირე გასაუბრების შემდეგ, მას გულიანად დაულოცა მეცნიერების დიდი და რთული გზის დასაწყისი. ეს გზა თეთრაულისათვის დიდად წარმატებული აღმოჩნდა, მოკლე პერიოდში მან შესანიშნავად აულო ალლო შემოქმედებით მეცნიერულ საქმიანობას, ღრმად დაეუფლა მეცნიერული მსჯელობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დისკუსიის მაღალ ხელოვნებას, იგი მისთვის დაკისრებულ ყველა ფუნქციას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა. შედეგმაც არ დააყოვნა – დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის ხარისხი და გახდა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ კი განყოფილების გამგე. მთელი თავისი შემოქმედებითა და ყოველდღიური საქმიანობით, ბატონი არჩილ თეთრაული იყო ინსტიტუტის უერთგულესი პიროვნება, სამართლიანობისათვის მებრძოლი, ინსტიტუტის პრესტეჯის მედგარი დამცველი და დიდი მეცნიერის აკად. პაატა გუგუშვილის უშუალო თანამებრძოლი. როგორც პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მან არაერთხელ დაიცვა ჭორიკანა და მეცნიერებაში ხელმოცარული დამბეზღებლების ვერაგული შეტევებისაგან ეს დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ამის უშუალო მომსწრე და მონაწილე მე თვითონ გახლავართ.

არჩილ თეთრაული მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთა უმეტესობა ეკონომიკური თეორიის ურთულესი პრობლემებისადმი მიძღვნილი. მათ შორისაა: „კვლავწარმოების კანონზომიერებანი საქართველოში“(1981), „კვლავწარმოების ტემპები და პროპორციები“(1986), „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი“(1992) და სხვა.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, პროფ. ა. თეთრაული წარმატებულ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. იგი იყო შესანიშნავი ორატორი, ობიექტურობით გამორჩეული სტუდენტთა საყვარელი ლექტორი.

პროფესორი არჩილ თეთრაული, ყოველივე აღნიშნულთან ერთად, იყო მეცნიერების ჩინებული ორგანიზატორი. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, რომლის რექტორიც იგი იყო სიცოცხლის ბოლომდე. მან ამ სკოლაში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერ-პედაგოგები საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. მოკლე პერიოდში სკოლა საკმაოდ პოპულარული გახდა და იგი ღირსეულ კონკურენციას უწევდა სხვა ბევრ კერძო სასწავლებელს.

ბატონი არჩილ თეთრაული, ერთი შეხედვით, პირქუშისა და უკარებას შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ თუ პიროვნებაში ადამიანობას ამოიკითხავდა, დიდილით გაუწოდებდა ხელს და გულთბილად გაეხსნებოდა. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავმდაბლობით, კეთილშობილებით, გულწრფელობით, შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი საქმიანობისადმი ნოვატორული მიდგომით. იგი ორგანიზებულობის საყოველთაო ეკვივალენტი იყო. არჩილ თეთრაული ის პიროვნება იყო, რომელიც, ასე ვთქვათ, „ჩუმი“ ცხოვრობდა – უხმაუროდ აკეთებდა კეთილშობილურ და ეროვნულ საქმეს. იგი ამით ერთგულად იცავდა ბიბლიურ აღთქმას – „კაცს თავისი ქედმაღლობა დაამდაბლებს, თავმდაბალი კი დიდებას მოიხვეჭს“. იგი ჩემი ძვირფასი მეგობარი იყო სიცოცხლის ბოლომდე, ამიტომაც დიდად დამამწუხრა მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ. მას დარჩა ღირსეული ქალიშვილი, რომელიც მამის კვალზე დგას და მის სახელს სათუთად უფრთხილდება.

რევაზ გოგოხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივ. ჯაფახიშვილის თსუ-ის ჟურნალ „ეკონომიკა და
ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი

პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან მე-80 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით

ეკონომიკური მეცნიერების სფეროში და საზოგადოებაში ცნობილი პიროვნების, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან ბავშვობიდან 80 წელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის თავის საიუბილეო თარიღს ვერ მოესწრო, რადგან ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

მიუხედავად ამისა, ვინც პროფესორ არჩილ თეთრაულს და მის მოღვაწეობას იცნობდა და იცნობს, როგორც მეცნიერების სფეროში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეჭვგარეშეა, რომ მუდამ დარჩება მათ ხსოვნაში, როგორც ღირსეული პიროვნება.

პროფესორ არჩილ თეთრაულის ცხოვრებიდან გაეხსენებოდა ორი მომენტი, რაც მას ახასიათებს როგორც სიმართლისათვის მებრძოლ და პრინციპულ პიროვნებას.

მაშინ პროფესორი არჩილ თეთრაული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და თბილისის ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამაარსებელი და რექტორი, ხოლო მე გახლდით საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის, ანუ 1991 წლიდან გარკვეული პერიოდის (3-4 წლის) გასვლის შემდეგ, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაიწყო აქტიური შეტევა, რაც გამოხატებოდა კანონსაწინააღმდეგო შემოწმებებში, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლებს შორის კონსტიტუციური თანასწორობის უგულებელყოფაში და ა. შ., რაც პრინციპულ ბრძოლას მოითხოვდა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მისი სტუდენტებისა და პროფესორების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

სწორედ აქ გამოიჩინა განსაკუთრებული ბრძოლის უნარი პროფესორმა არჩილ თეთრაულმა, როგორც რექტორმა და როგორც რექტორთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, რომელმაც მაშინ დიდი წვლილი შეიტანა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მისი სტუდენტებისა და პროფესორების უფლებათა დაცვის საქმეში.

არ დამავიწყდება აგრეთვე პროფესორ არჩილ თეთრაულის გააფთრებუ-ლი, ვაჟკაცური და სამართლიანი ბრძოლა მეცნიერების სფეროს იმ წარმო-მადგენელთა წინააღმდეგ, რომლებიც მარქსიზმის მონობიდან ვერ გამოდიოდ-ნენ და 1982-1984 წლებში მე მებრძოდნენ, როგორც ანტიმარქსისტს, ჩემს მიერ გამოცემული ერთ-ერთი მონოგრაფიის გამო, რომელშიც ასახული იყო ჩემს მიერვე შექმნილი ახალი მეცნიერული თეორიები, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ აღიარეს, რომ ცდებოდნენ, როდესაც გამოდიოდნენ ჩემს წინააღმდეგ.

ამრიგად, პროფესორ არჩილ თეთრაულის მეცნიერების სფეროში მოღვა-წეობასთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე მისი შეუპოვარი ბრძოლა სამართლიანობის დაცვისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ დაუვიწყარი იქნება პროფესორ არჩილ თეთრაულის ხსოვნა მათთვის, ვინც იცნობდა ბატონ არჩილ თეთრაულს და მის მოღვაწეობას.

ალფრედ კურატაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სახელოვანი მეცნიერი, ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ცნობილი მოღვაწე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ თეთრაული ქართული ეკონომიკური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იყო.

ბატონი არჩილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები საკუთარი შთამომავლობის, სტუდენტებისა და ასპირანტების, ნებისმიერი ახალგაზრდა მეცნიერისთვის ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას შეიძლება მიადწიოს შრომისმოყვარე, ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში დაბადებულმა პიროვნებამ მიზან-დასახული, მუყაითი, თავდაუზოგავი შრომით.

არჩილ თეთრაულთან მაკავშირებდა დიდი ხნის მეგობრობა და შემოქმე-დებითი თანამშრომლობა. სტუდენტობა ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ ჯგუფში სწავლაში გავატარეთ. შემდეგში, მისი ცხოვრების ბოლო პერიოდამდე გრძელდებოდა ერთმანეთის მიმართ ყურადღებიანი, მეგობ-რული დამოკიდებულება, ერთმანეთის გვერდში დგომა.

ბატონი არჩილის ნათელი მომავალი და ღირსეული წარმატებები ეჭვს არ იწვევდა მის მეგობრებში სტუდენტების პირველი დღეებიდან. პირველ კურსზე უნივერსიტეტში ჩვენ ჩავირიცხეთ ეკონომიკის ფაკულტეტზე „პოლიტიკური ეკონომიის“, სპეციალობაზე, მეორე კურსიდან სპეციალობა შეგვიცვალეს და სწავლა გავაგრძელეთ საქონელმცოდნეობისა და ეკონომიკის სპეციალობით.

ბატონი არჩილი ყველას გვაოცებდა ეკონომიკის პრობლემების თავისი ხედვითა და ცოდნით. შემდგომში გავიგეთ, რომ იგი სკოლაში სწავლის პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებით.

თიანეთიდან ჩამოსული ეს ნიჭიერი ახალგაზრდა მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებში კარგად გარკვეული იყო. უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ისტორიის მასწავლებლებს აკვირვებდა თავისი სიღრმისეული ცოდნით და მის მიერ დასმული საკითხები სემინარებზე ჩვენი აქტიური სჯა-ბაასის საგანი ხდებოდა.

შემდეგში მან მთელი სერიოზულობით გააგრძელა მეცნიერული მუშაობა ამ მიმართულებით და დამსახურებლად მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის წოდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ასპირანტობიდან დაწყებული, სიცოცხლის ბოლო პერიოდამდე, თავდაუზოგავი შრომით შესძლო არაერთი, უაღრესად სერიოზული მეცნიერული ნაშრომების მომზადება.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ყურადღებას არ აკლებდა განათლების სფეროსაც, სხვადსხვა უმაღლეს სასწავლებლებში ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. მან ერთერთმა პირველმა საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ მარკეტინგის კერძო უმაღლეს სასწავლებელს, რომლის მნიშვნელობა მარკეტინგის სპეციალობით პირველი თაობის აღზრდაში უაღრესად დიდია.

პროფესორ არჩილ თეთრაულის დვაწლი ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში უაღრესად დიდია, მისი სტუდენტობის მეგობრები ყოველთვის პატივს მიაგებენ მას, როგორც დვაწლმოსილ პედაგოგსა და მეცნიერს, სამშობლოს პატრიოტს, პრინციპულ და მიზანსწრაფულ პიროვნებას, სახელოვან მოღვაწეს.

გაიოზ ნადირაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
დამსახურებული გამომგონებელი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ჩვენ მეგობრები ვიყავით...

ბატონი არჩილის გახსენება ყოველთვის დიდ სითბოს მანიჭებს, იგი ხომ პირველი იყო იმ ადამიანთა შორის, ვინც გულთბილად მიმიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იკეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში“ (იმ დროს ჩვენი ინსტიტუტი გამოჩენილ ეკონომისტთა და იურისტთა დიდ კოპორტას აერთიანებდა).

ინსტიტუტში მუშაობა ბატონი არჩილის განყოფილებაში დავიწყებულა გამოვიტყდეთ, სანამ მასთან შევიდოდი და გავეცნობოდი ცოტა ვფელავდი, რადგან ინფორმაცია მქონდა, “როგორც ძალიან მკაცრ, მაგრამ სამართლიან პიროვნებაზე“.

ჩვენი შეხვედრა პირდაპირ “კვლავწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებთა ეფექტიანობის“ განყოფილების სხდომაზე დაიწყო. სხდომას ესწრებოდნენ: ბატონები იური კაპანაძე, ბონდო ზარნაძე და მურმან კვარაცხელია. მივხვდი რომ რა ინფორმაციაც მქონდა ბატონ არჩილზე სრულად შეეფერებოდა სიმართლეს, თუმცა როდესაც სათვალის ზევიდან გამომხედა და მომმართა, “ნუ ღელავ ახალგაზრდა დაბრძანდით და მოგვიყვი თქვენ შესახებო“ მივხვდი რომ ყველაფერი ცოტა სხვანაირად იყო.

ბატონ არჩილთან მუშაობა ერთგვარ სიამოვნებასაც წარმოადგენდა, პირადად ჩემთვის იგი იყო, დიდი მეცნიერი, ხელმძღვანელი, მეგობარი და გვერდში მდგომი პიროვნება. ერთი ასეთი ნიუანსი ქონდა როცა რაღაცას ისე არ

გავაკეთებდი, როგორც მას უნდოდა, ცალკე არასოდეს საყვედურს არ მეტყოდა, განყოფილების სხდომაზე კი ძალიან მკაცრად მეტყოდა „ბატონო ილია“ეს კი ნიშნავდა რომ საქმე ცუდად იყო რა თქმა უნდა პირობითათ „ცუდად.“ სხვა შემთხვევაში ნუკრის მეძახდა. მე ჩემი ინსტიტუტი ძალიან მიყვარს, ადრე სულ ვფიქრობდი, რომ ამ ინსტიტუტში უნდა ემუშავა ჩემი შვილებს, შვილიშვილებს, მეგობრის შვილებს და ყველას ვისაც სიტბო სიყვარული და გვერდში დგომა შეუძლია. ამ ყველაფერში კი ლომის წილი ბატონ არჩილსაც მიუძღვის, მის მიერ ჩატარებული ნებისმიერი განყოფილების სხდომა, ასევე იწვევდა ადამიანების ურთიერთშეკავშირებას დამეგობრებას. თუ გავიხსენებთ ჩვენ განყოფილებას ძალიან დიდი ძალა ვიყავით, ბატონები: იურა კაპანაძე, ლადო პაპავა, ბონდო ზარნაძე, თემურ ბერიძე, მურმან კვარაცხელია, ნოდარ დარისპანაშვილი, გია თოფურია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ვაჟა ხორავა, გულნაზი ერქომაიშვილი, ზაზა შეყილაძე. ისე მე ჩემს განყოფილებაში ვთლიდი ზურაბ სოსელიას, ვახტანგ მუჯირიშვილს, გურამ ხასიას, რამაზ აბესაძეს, თამაზ აქუბარდიას, დავით პაქსაშვილს.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ბატონმა არჩილმა, პირველმა აულო აღლო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი უმაღლესი სკოლა, რომელიც შემდგომ ინსტიტუტად გადაკეთდა. აქ დასაქმებული იყო ჩვენი ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელი. მე დღესაც მხედება ის მადლიერი ახალგაზრდობა ვინც ამ ინსტიტუტში განათლება მიიღო. აქედან, ზოგიერთები მაღალ ანაზღაურებად სამსახურებშიც არიან დასაქმებულები.

ამჟამად მისი ოჯახი წარმატებულად აგრძელებს, ბატონი არჩილის ტრადიციებს.

ილია ზაქარიაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი

არჩილ თეთრაული. ეს სახელი და გვარი, მისი გაცნობის პირველი დღეებიდანვე, ჩემთვის ძვირფასი, სამაგალითო და საამაყო გახდა.

ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა განათლების მიღებისკენ, მეცნიერების დაუფლებისკენ სწრაფვამ. ის, როგორც მეორე კურსის და მე, როგორც პირველი კურსის სტუდენტი, 1955 წელს ერთმანეთს გავეცანით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე პოლიტიკურ ეკონომიაში სტუდენტთა სამეცნიერო წრის ჩამოყალიბებისას. თსუ-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ, ცნობილმა მეცნიერ-თეორეტიკოსმა იოსებ ბაჯაძემ, ფაკულტეტის დეკანატის რეკომენდაციით, ბატონ არჩილ თეთრაულს დაავალა სათავეში ჩასდგომოდა პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, რომელიც იყო არა მხოლოდ საფაკულტეტო, არამედ საუნივერსიტეტო, რამდენადაც პოლიტიკური ეკონომია მაშინ უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა. ამიტომ, ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტის, პირველ რიგში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემსწავლელი ფაკულტეტების: ეკონომიკის, ფილოსოფიის, ისტორიის იურიდიული ფაკულტეტების წარჩინებული სტუდენტები.

წრის მეცადინეობები მართლა ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა, მით-
უმეტეს, რომ სხვადასხვა სპეციალობების სტუდენტებს ნებისმიერ თეორიულ
პრობლემაზე საკამათო და კრიტიკულად განსახილველი პრობლემა ჭარბად
ჰქონდათ.

ბატონ არჩილს წრის მეცადინეობა უაღრესად საინტერესოდ მიჰყავდა.
როგორც ხელმძღვანელი, ყოველთვის ის ხსნიდა მეცადინეობას და თემის გარ-
შემო აკეთებდა შესავალი ხასიათის მოხსენებას, სვამდა საინტერესო საკით-
ხებს, გამოთქვამდა ამ საკითხებისადმი თავის დამოკიდებულებას, მიმოიხილავ-
და მათზე არსებულ მოსაზრებებს, შეხედულებებს და ყველა მსმენელს განაწ-
ყობდა კრიტიკული აზროვნებისადმი. შემდეგ იმართებოდა ცხარე კამათი. ბო-
ლოს თვითონ აჯამებდა მეცადინეობას, აკეთებდა შეფასებებს და ასახელებდა
მომავალი მეცადინეობის თემას. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა
იმავე დღეს კამათის დასრულება და ამიტომ, მეცადინეობა გადაიტანებოდა
მომდევნო დღეზე იმავე თემის ფარგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეცადინეობა
ახალგაზრდობის შემოქმედებითი სიმწიფის მოსამზადებელ ნამდვილ სკოლას
წარმოადგენდა და ეს, ძირითადად, სწორედ ბატონი არჩილის დამსახურება
იყო.

სტუდენტობის დროს, როგორც შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრ-
დამ, ბატონმა არჩილმა მნიშვნელოვანი ავტორიტეტი მოიპოვა. ის, სტუდენტის
კვალობაზე, იმდენად კარგად ფლობდა მარქსისტულ თეორიას, რომ მას თანა-
მოაზრენი, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად, ახალგაზრდა
მარქსს ეძახდნენ. მას დიდ ანგარიშს უწევდნენ ფაკულტეტის პროფესორ-მას-
წავლებლები. მან იმდენად კარგად იცოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ნაშრომები
და მაშინდელი ეკონომიკური თეორიის ლიტერატურული წყაროები, რომ ზოგ-
ჯერ მეჩვენებოდა, რომ ის მაშინდელი იდეოლოგიის ზედმეტი გავლენის ქვეშ
იმყოფებოდა. თუმცა, იმ დროს ეს საკვებით ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა
და, ცხადია, არც ბატონი არჩილი იყო ამისგან დაზღვეული. მაგრამ ეს გამოწ-
ვეული იყო მაშინდელი ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნით და არა მისი
უკმარობით, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ბევრი ავტორისთვის.

მაგრამ მე აქ არ შემიძლია მისი მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი არ მოვი-
ტანო. საქართველოში სწავლა-განათლების და საერთოდ საზოგადოებრივი
ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში,
მან პირველმა ჩამოაყალიბა ეკონომიკის დარგში უმაღლესი სასწავლებელი და
ამით გადაჭრა ორ-ერთიანი ამოცანა – სწავლას მოწყობილი ახალგაზრდო-
ბისთვის ცოდნის მიცემა და ულუკმაპუროდ დარჩენილი ათეულობით პროფე-
სორ-მასწავლებელთათვის თვითრეალიზაციისა და ცხოვრების მინიმალური პი-
რობების შექმნა. ეს სასწავლებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში
ფლაგმანის როლს ასრულებდა მაშინ შექმნილი კერძო უმაღლეს სასწავ-
ლებლებთან მიმართებაში. მაგრამ შემდეგ ასეთი სასწავლებლები სოკოსავით
მომრავლდა, როგორც მაშინ ამბობდნენ, – ყოველ ორდობეში უმაღლესი სას-
წავლებელი „ფუნქციონირებდა“. ამან, ცხადია, გააუფერულა ბატონი არჩილის
მიერ დიდი წარმატებით დაწყებული და გარკვეული პერიოდის განმავლობაში
გაგრძელებული, იმ დროისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელიცკი, სასწავ-
ლო-პედაგოგიური საქმიანობა.

მე შევეხე ბატონი არჩილის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მხო-
ლოდ მცირე ნაწილს, ისიც მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. მთლიანო-
ბაში ბატონი არჩილი რამდენად შემოქმედებითად მოაზროვნე მეცნიერი და
პიროვნება იყო, ეს დაადასტურა მთელმა მისმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა

მოდვაწობამ. ამაზე ვრცლად ისაუბრებენ, ალბათ, მისი თანამოდვაწენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტიდან.

გურამ ყუფუნია

პროფესორი

ყველასათვის საყვარელი პიროვნება და ბრწყინვალე მეცნიერი

იყო შენი ქვეყნის ჭეშმარიტი, „მადლმოსილი მამულიშვილი“ პიროვნება, საჭიროა ღრმად იცოდე მისი წარსული, აწმყო და სწორად უნდა წყვეტდე მის მომავალს. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ყველასათვის საყვარელი და ბრწყინვალე მეცნიერი, ზემოთაღნიშნული წყვილი სიტყვის მადლმოსილი მამულიშვილის ბუნებრივად მფლობელი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ თეთრაული.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ თეთრაულს არა ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა გაუშუქებია და გაუსაჯაროებია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპიდან.

ბატონი არჩილი თეთრაული იყო უსაზღვრო ენერჯით მოვლენილი პიროვნება, რომელიც მთელ თავის შესაძლებლობას სამშობლოს, ოჯახის, ახალგაზრდობის აღზრდისა და მეგობრების წარმატებების მიღწევას ახმარდა.

პროფესორი არჩილ თეთრაული თავისი უშრეტო ენერჯით დაუზოგავად და დიდი პასუხისმგებლობით მუშაობდა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში.

პროფესორი არჩილ თეთრაული მთელი თავისი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში დაუღალავად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. ბატონი არჩილი ინსტიტუტში სათავეში ედგა სიცოცხლის ბოლომდე ერთ-ერთ ძლიერ თეორიულ-მეცნიერულ განყოფილებას.

პროფესორ არჩილ თეთრაულს დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი ეკონომიკური თეორიის განვითარებაში. ბატონი არჩილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ქვეყნის მრავალ უმაღლეს სასწავლებელში. ის იყო კარგი ორატორი, მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა საკითხთა ღრმა ცოდნით და პროფესიულობით. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა, სადაც ის მუშაობდა ჯეროვნად აფასებდნენ მის მოღვაწეობას.

პროფესორი არჩილ თეთრაული იყო ეროვნული მიმართულების, პოლიტიკური მსოფლმხედველობის მქონე პიროვნება, რასაც ადასტურებს მის მიერ სხვადასხვა პრობლემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. მის მეღანშეუშრობელ კალამს ეკუთვნის ეკონომიკის სხვადასხვა პრობლემებისადმი მიძღვნილი ათეულობით სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის მონოგრაფიები. გარდა, მისი ცალკე ავტორობით გამოცემული ნაშრომებისა, ის იყო ეკონომიკის სხვადასხვა პრობლემაზე მიძღვნილი ნაშრომების თანაავტორი.

პროფესორი არჩილ თეთრაული შესანიშნავად ახამებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საზოგადოებრივ მუშაობასთან.

ბატონი არჩილი იყო მეგობრებისადმი უაღრესად გულისხმიერი. საერთოდ ის იყო თავმდაბალი, თანამდგომი და ყველასადმი პატივისმცემელი პიროვნება.

ბატონმა არჩილმა კაცურად იცხოვრა ამ ქვეყნად და რაც მთავარია ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა ყველას წინაშე. პროფესორი არჩილ თეთრაული პირნათლად ვალდებულად გადავიდა უკვდავებაში. სამარადისო ხსოვნა, მის უკვდავ სახელს.

პარმენ ლემონჯავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

კარგი კაცი, კარგი მეცნიერი

ის, რასაც ბავშვობაში დავიმახსოვრებთ, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვება. აი, ასე მახსოვს ეს სტრიქონები:

ცხოვრებაში რა შესვლას იწყებ
და ბედიც კეთილგუნებიანი,
მუდამ გახსოვდეს, ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.

ამ ქვეყნად გაჩენილთ უწინარესად მოგვეთხოვება, ჭეშმარიტად ვიყოთ ადამიანი, ვატარებდეთ ადამიანურ თვისებებს – სიკეთეს, გულმართლობას, სიყვარულს, მეგობრობას და ა.შ. სინამდვილე ისეთია, რომ ეს მოთხოვნა ნამდვილად არსებობს, რადგან ბევრს ეს თვისებები ნაკლებად ან სულაც არ ახასიათებს. ბევრს ჭირდება კიდევ ადამიანობის აღნიშნულ ნიშანთა შესხენება. არჩილი იმათ მიეკუთვნებოდა, ვისთვისაც ეს ზედმეტი იყო.

შემდეგ ისიც მოგვეთხოვება, რომ რამე ფასეული შევქმნათ შეძლებისდაგვარად - დოვლათი, ვაზი დავრგათ, სახლი ავაშენოთ და სხვა რამეც ვაკეთოთ, თუ ამისი უნარი გვაქვს - ვემსახუროთ მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ა.შ.

ამ ორი ძირითადი დანიშნულებისთვის მოვედით ამ ქვეყნად.

არჩილს ყმაწვილკაცობის ასაკიდან ვიცნობ, სტუდენტობის წლებიდან. იგი ნამდვილად ამართლებდა ადამიანის აღნიშნულ მოვალეობებს.

იგი იყო კეთილმოსურნე, მეგობრული, პიდაპირი, თავმდაბალი, მაგრამ ამაყი და მამაცი, ნამდვილი მთიელი. არჩილი ძალიან შრომისმოყვარე, მეცნიერებისადმი თავდადებული იყო თავიდანვე, ჭეშმარიტების მაძიებელი, ნიჭიერი.

ჩვენ ხშირად ერთად ვცდილობდით, გვეწარმოებინა ძიებები სტუდენტურ სამეცნიერო წრეში. შემდეგაც ბევრჯერ გვქონდა შეხვედრები მეცნიერების სარბიელზე. არ ვერიდებოდით ერთმანეთთან ცხარე კამათს.

არჩილი ერუდირებული, ეკონომიკურ თეორიაში ღრმად ჩახედული, პრაქტიკის პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერი იყო. მან მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა მეცნიერებას კვლავწარმოების ზოგად თეორიაში საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემებზე. ბოლო პერიოდში იგი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა ადამიანები გაერკვია ჩვენი ქვეყნისათვის ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების აგ-კარგში, სინათლე შეეტანა საბაზრო ურთიერთობათა პრობლემების გადაწყვეტის გზებში.

არჩილი ახალგაზრდობისთვის თავდადებული პედაგოგი იყო. მისი ზრუნვა მიმართული იყო საქართველოში მაღალი კვალიფიკაციის, საერთაშორისო

ღონის ახალგაზრდა სპეციალისტების, მათ შორის მეცნიერების კადრების მომზადებისაკენ.

ვგონებ, არ იქნება ზედმეტი ამ მოგონებაში პირადული შტრიხიც ჩავთო. არჩილი უხმაუროდ, მაგრამ მსურველ მეგობრული გრძნობით დაგიდგებოდა გვერდში. მას გულწრფელად ახარებდა ახლობლისა და ყველას წარმატება. გავისვენებ ერთ ეპიზოდს. ჩემი მონოგრაფიის „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ განხილვა დიდი ხმაურით მიმდინარეობდა, მეცნიერების ახალი მომართულების გარშემო ბევრი ცდილობდა აზრის დაფიქსირებას. არჩილმა თავისი ჩვეული პირდაპირობით, ღრმა მსჯელობებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩემი ნაშრომის მეცნიერული სიახლეებისა და მნიშვნელობის მიმართ. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ იგი ღრმად ჩასწვდა ჩემი კვლევის შედეგების შინაარსს, დაინახა მათი სიახლე. მან პირდაპირ აღნიშნა რიგი სიახლე, როგორც თეორიული აღმოჩენა, რომელიც ამდიდრებს ეკონომიკურ მეცნიერებას. მისი ეს გამოსვლა ჩაწერილია სტენოგრაფიულად და ინახება კიდევ, გადაღებულია ფირზეც. ასეთი აღიარება აღნიშნულ სიახლეებს სხვებისგანაც ერგო, მათ შორის საზღვარგარეთ, მაგრამ ჩემთვის მეტად ფასეულია ახლო მეგობრის ეს აზრი, შეფასება.

არჩილი ისეთ დროს წავიდა ამ ქვეყნიდან, როცა კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. ეს ძალიან დასანანიია. იგი როგორც კარგი კაცი, კარგი მეცნიერი დარჩა ყველა ახლობლის და იმათ გულში, ვინც მას იცნობდა პირადად თუ ნაშრომებით, საქმით.

მადლიერება მინდა გამოვხატო ეკონომიკის ინსტიტუტის მესვეურების, მთელი კოლექტივის მიმართ, რომელთაც მისი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მოაწვეეს.

გიორგი მალაშხია

პროფესორი

მეცნიერი, პიროვნება, აღმზრდელი

ადამიანის უკვდავოფა მისი განვლილი ცხოვრების მიხედვით იზომება, მისი მოგონება, დამსახურება, ერისა და ქვეყნის წინაშე განსაზღვრავს ყოველივე იმას რაზედაც ქვევით მინდა მოგახსენოთ.

ამ მოგონების სათაურში სამი კომპონენტი შევარჩიე რომლებიც სრულად ასახავენ ღირსეული პიროვნების, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის არჩილ თეთრაულის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ბატონ არჩილზე წარსულში გვიხდება საუბარი, მაგრამ მან ღირსეული კვალი დატოვა როგორც მეცნიერმა და ეკონომისტმა საზოგადოებაში ავტორიტეტულმა პიროვნებამ რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში და როგორც ამ დიდებული კოლექტივის წევრი და ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი არ იშურებდა ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის განხორციელებაში, მინდა ვისარგებლო და მადლობა გადაუხადო ინსტიტუტის დირექტორს, ბრწყინვალე მეცნიერსა და ღირსეულ პიროვნებას, პროფესორს, ბატონ რამაზ აბესაძეს არჩილ თეთრაულის უკვდავოფისათვის რომელსაც იგი ნამდვილად იმსახურებდა.

ბატონი არჩილი იყო სიკეთით აღსავსე პიროვნება, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე უანგაროდ იდგა ნებისმიერი ადამიანის გვერდით და

მისი დიდი გულშემატკივარი იყო. ჯერ კიდევ 1995 წელს როდესაც დავაფუძნეთ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია არჩილ თეთრაული იმ პირველ დამფუძნებელთა და პრეზიდენტის წევრთა რიგებში იყო რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს აკადემიის საქმიანობის განხორციელებას და რაოდენ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჩვენი ურთიერთობა იმ პერიოდის დიდი დროის და გრძელდებოდა მისი სიცოცხლის ბოლო დღემდე, ამაში უდიდესი როლი ითამაშა აკადემიის პირველი პრეზიდენტის, პროფესორ ალექსანდრე კუჭუხიძისა და ბატონი არჩილის მეგობრობამ და თანამოაზრობამ.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შემოსვლამ და კერძო სექტორში განათლების პროგრამების განხორციელებამ უფრო დაგვაახლოვა რამეთუ ჩვენ ამ სფეროში ერთად მოგვიწია მოღვაწეობა ორ სხვადასხვა უმაღლეს კერძო სასწავლებლებში რომლებიც ერთიანი ძალისხმევით უმკლავდებოდნენ იმ ძალისმიერ შემოტევებს რომლებიც თანმდევი იყო კერძო სექტორში განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობისას. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბატონი არჩილის ფენომენი როგორც ახალგაზრდობის აღმზრდელის, იგი ყოველდღიური დატვირთვით ითავისებდა სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა პრობლემებს, მან ბევრი მისი მეგობარი და კოლეგა დაასაქმა იმ ძნელდრობის ჟამს და მისცა მათ საარსებო საშუალება და მიანდო ის დიდი პასუხისმგებლობა რომელსაც კვალიფიციური კადრების აღზრდა ჰქვია.

ძვირფასო მკითხველო დამეთანხმებით ძალზედ მძიმე და ტკივილიანი პროფესორ არჩილ თეთრაულის ხსოვნაზე საუბარი, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას თუ როგორ აფასებდა და აფასებს მისი მშობლიური კოლექტივი და ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მის ღვაწლს რომელიც მისი დაბადების საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთხელ მადლობა მათ.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო
მოქალაქე

არჩილ თეთრაული – ღვაწლმოსილი მეცნიერი და ადამიანობის ეტალონი

არიან პიროვნებები, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაზე წარუშლელ კვალს ტოვებენ. სწორედ ასეთი გახლდათ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არჩილ თეთრაული, რომელსაც შორიდან ვიცნობდი. თავდაპირველად ახლო ურთიერთობა არ მქონდა მასთან, შემდეგ კი, 1982 წელს, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი გახდი, დაეუახლოვდი, ძალიან თბილი ადამიანი აღმოჩნდა, ბატონი არჩილის არნახული თანადგომა ვიგრძენი.

იმხანად არჩილ თეთრაული ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის მიმართულებით მან არაერთი სიახლე დანერგა.

ვიდრე ახლოს გავიცნობდი, რატომღაც მეგონა, რომ არაკომუნიკაბელური იყო, თუმცა პირველივე შესვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბატონ არჩილს სტუდენტებსა და ახალგაზრდებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. შეიძლება, არ ეცალა, მაგრამ თუკი დახმარებას სთხოვდი, გამორიცხული იყო, დრო არ გამოენახა და არ დაგხმარებოდა. ბატონი არჩილისაგან თანადგომა და მხარდაჭერა მეც არაერთხელ მიგრძვნიდა, ამიტომ ის ჩემთვის მისაბაძი და სამაგალითო ადამიანი გახდა.

არჩილ თეთრაული თიანეთიდან გახლდათ, როგორც ამ მხარის ყველა წარმომადგენელი, ისიც სამართლიანობითა და პირდაპირობით გამოირჩეოდა. მეცნიერებაშიც სამართლიანი და ობიექტური იყო. საერთოდ, მეგონია, რომ ბატონი არჩილის წარმატება მეცნიერებასა თუ საზოგადოებაში, სწორედ ამ პირდაპირობასა და სამართლიანობას ემყარებოდა. პირფერობა არ უყვარდა და სიმართლეს, როგორც მწარეც უნდა ყოფილიყო, ღიად და დაუფარავად ამბობდა.

არჩილ თეთრაულს ვინც უყვარდა, ბოლომდე უყვარდა, უერთგულეობდა და შეეძლო ნებისმიერ დროს მეგობრისა და მოყვასის გვერდით მდგარიყო.

არჩილ თეთრაულს მისი კოლეგების, აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიასა და სხვების მხარდაჭერა და აღიარება ჰქონდა, რითაც ბატონი არჩილი ეკონომიკურ წრეებში და, საერთოდ, საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

არჩილ თეთრაულის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ მომავალმა თაობამ, ეკონომისტებმა მის შესახებ ძალიან ბევრი უნდა იცოდნენ, რამეთუ ბატონი არჩილი მხოლოდ დეაქლამოსილი მეცნიერი არ იყო, ის ადამიანობის ეტალონიც გახლდათ. ბატონ არჩილზე კიდევ ბევრის თქმა, დაუსრულებლად წერა შეიძლება. ის მხოლოდ ეკონომიკურ წრეებს კი არა, მთლიანად ქართულ საზოგადოებას დააკლდა.

დღევანდელ მეცნიერებასა და საგანმანათლებლო სისტემას სწორედ არჩილ თეთრაულის მსგავსი პროფესიონალები და პიროვნებები სჭირდება, რამეთუ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნა მხოლოდ პროფესიონალებსა და კეთილშობილ ადამიანებს შეუძლიათ.

არჩილ თეთრაული თეთრაულების გვარის ღირსეული წარმომადგენელი და ადმიანობის ნამდვილი ეტალონი გახლდათ. 21-ე საუკუნეში მხოლოდ პროფესიონალების კი არა, ჭეშმარიტი ადამიანების ნაკლებობაცაა. ამიტომ, ჩვენ, არჩილ თეთრაულის ყოფილი სტუდენტები და მეგობრები, ვაღიარებთ ვართ, დეაქლამოსილი პროფესორის სახელი უკვდავყოთ, მით უმეტეს, რომ არჩილ თეთრაულით მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფო იამაყებდა.

ქედს ვიხრი ჩემი პედაგოგისა და უფროსი მეგობრის, ბატონი არჩილ თეთრაულის დამსახურებისა და ხსოვნის წინაშე.

სოლომონ პავლიაშვილი

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-
პრეზიდენტი

არჩილ თეთრაული – კარგი მეგობარი

პროფესორი არჩილ თეთრაული ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში გამორჩეული პიროვნება იყო. იგი საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი და ავტორიტეტული მეცნიერი გახლდათ.

მან ეკონომიკური მეცნიერება დაამშვენა მდიდარი მეცნიერული პროდუქციით – მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატიებით.

პროფესორ ა. თეთრაულს თავისი დამახასიათებელი ხელწერა ჰქონდა. მის თითოეულ ნაშრომში იგრძნობოდა საკითხის (პრობლემის) ღრმა განცდა, პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და არანაკლებ მნიშვნელოვანი – ქართული ენის ზედმიწევნით ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომაც, ზოგიერთი მისი ნაშრომი არა მარტო მეცნიერული ხასიათის იყო, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებსაც წარმოადგენდა.

პროფ. ა. თეთრაული დიდი ორგანიზაციული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მან, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, დააფუძნა კერძო უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი წლის მანძილზე წარმატებით უძღვებოდა მას.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო მისი დახვეწილი და სამოდო მოსასმენი მეტყველება, კარგი ორატორული ნიჭი, რომლითაც ნებისმიერი დონის აუდიტორიას იპყრობდა.

არჩილ თეთრაულს ამშვენებდა მეგობრობის შეუდარებელი უნარი. მეგობრობაშიც თავისი დამახასიათებელი ნიშა დაიმკვიდრა. მე აღტაცებას ვერ ვმაღავდი მისი, ჩემდამი, გულითადი მეგობრობით.

პროფ. ა. თეთრაულმა ბევრს მიაღწია, კარგი და შეურცხვენელი კაცის სახელი დაიმკვიდრა. ყოველთვის ასეთად მოვიგონებთ მას.

ომარ ქეშელაშვილი

ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

პროფესორ არჩილ თეთრაულის გახსენება

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ თეთრაული გავიცანი მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სამეცნიერო საქმიანობა გავაგრძელე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, მაკროეკონომიკის განყოფილებაში. ბატონი არჩილი განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მე – საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სექტორს. ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდა მისი სიცოცხლის ბოლომდე. მაღალი რანგის მეცნიერი და პედაგოგი, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, ღირსეული ხელმძღვანელი, კოლექტიური თანამშრომელი, შესანიშნავი მამა და მეოჯახე – აი, ასეთად დარჩა იგი ჩემს, და არა მარტო ჩემს, მეხსიერებაში.

ბატონი არჩილი გამორჩეული მეცნიერი და ხელმძღვანელი იყო. ქვეყნისათვის მძიმე პერიოდში, დამოუკიდებლობის მიღების პერიოდს ვგულისხმობ, როცა ბევრი ვინმე უბრალოდ ვერ ერკვეოდა შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაში, ბევრიც სიფრთხილეს იჩენდა, მან გაბედული ნაბიჯები გადადგა: სამეცნიერო კვლევის თემად აირჩია საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერ-

რებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი 1994 წელს, დააარსა და ხელმძღვანელობა გაუწია თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლას. არჩილ თეთრაული ერთ-ერთი პირველი მოღვაწე იყო, რომელმაც ქართულ ეკონომიკურ აზროვნებაში დაამკვიდრა ტერმინები – საბაზრო ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვ. მას ეკუთვნის კომერციულ საწყისებზე შექმნილი პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაც ქალაქ თბილისში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოველივე იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო. ამ დიდი დამსახურებისათვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ თეთრაული დაჯილდოვდა ღირსების ორდენით და, რაც ყველაზე დიდი ჯილდოა ადამიანისათვის, დიდი ნდობა და პატივი დაიმსახურა საზოგადოებაში.

ბატონი არჩილი არ იშურებდა დროსა და ენერგიას თავისი მოსაზრებების საზოგადოებისათვის გასაზიარებლად სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც და საწავლო ინსტიტუტშიც; სამეცნიერო საბჭოს სხდომებსა და სამეცნიეროდპრაქტიკულ კონფერენციებზე მისი გამოსვლები იყო ხანგრძლივი, საქმიანი და საინტერესო. ყველას გვახსოვს ბატონი არჩილის ყოველდღიური თათბირები ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში, სადაც უმაღლესი განათლება მიიღო ათასობით ახალგაზრდამ, საარსებოდ აუცილებელი გასამრჯელო კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორამ. იმ დროისთვის ბატონი არჩილის ირგვლივ თავი მოიყარა სწავლულ ეკონომისტთა და იურისტთა დიდმა უმრავლესობამ. იგი ყველას ეხმარებოდა როგორც შეეძლო, სამსახურებრივადაც და ფინანსურადაც.

მაშინ, როცა ქართულენოვანი ლიტერატურის დიდი დეფიციტი იყო მაკროეკონომიკაში, მიკროეკონომიკაში, მენეჯმენტში, მარკეტინგში, ბიზნესში, ფინანსებში და სხვ. სასწავლო დისციპლინებში და სამეცნიერო-კვლევით სფეროებში, ბატონი არჩილის ფინანსური დახმარებით ითარგმნა და დაიწერა დამხმარე სახელმძღვანელოები და სახელმძღვანელოები, მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. სწავლულ ეკონომისტებს მიეცათ საშუალება გამოექვეყნებინათ თავიანთი მოსაზრებები საბაზრო ეკონომიკაზე, პრივატიზაციაზე, ინფლაციაზე, საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებზე, უმუშევრობაზე, საბანკო საქმეზე და ა.შ., იმ დროისათვის აქტუალურ პრობლემებზე.

ბატონი არჩილის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში მომზადდა უამრავი სამეცნიერო ანგარიში, სადისერტაციო ნაშრომი და სამეცნიერო სტატია. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პროცესში იგი ნდობას უცხადებდა თანამშრომლებს და გამოირჩეოდა კოლეგიალობით. პირადად ჩემთვის რამდენჯერ უთქვამს, შენ შეგიძლია, ნდობას გიცხადებ და გავაღებ, განყოფილების სხდომა ჩაატარო. ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც გულისყურით ისმენდა და სრულად იზიარებდა ყოველთვის.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ თეთრაული მის კოლეგებს, მოწაფეებს, ასპირანტებს, ნათესაებსა და ნაცნობებს ყოველთვის ეხსომებოდა, როგორც საკუთარი შეხედულებისა და პრინციპების ერთგული, სიახლეების მაძიებელი და ლოგიკურად მოაზროვნე მეცნიერი, კაცი, რომლის სიტყვასაც ფასი ჰქონდა, უსმენდნენ, უჯერებდნენ და ენდობოდნენ ინსტიტუტშიც და ინსტიტუტის გარეთაც.

მინდა მივმართო მის შვილს, დედისერთას, ციციწო თეთრაულს, ციციწო! დმერთი შეგეწიოს, იღბალი და მხნეობა მოგცეს, მშობლების სულმა დაგლოცოს, უფალი გვარავდეს! შენი მშობლების სულს სასუფეველი დამკვიდრებოდეთ, ღირსეული გახსენება არ მოკლებოდეთ; ბატონი არჩილის დაწყებულ

საქმეებს მეცნიერებისა და პედაგოგიკის სფეროში დამსახურებული გავრძელება ჰქონოდეს!

ვილოცობ ბატონი არჩილის სულის მარადისობისა და მისი საქმეების უკვდავსაყოფად!

იზა ნათელაური

განყოფილების გამგე, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

ბატონი არჩილ თეთრაული – გამორჩეული მეცნიერი და ღირსეული პიროვნება

განათლებულ, ნიჭიერ, წარმატებულ მეცნიერსა და მკვლევარს, პროფესორ არჩილ თეთრაულს წელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. ბატონი არჩილს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიცნობდი, როდესაც, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, სამეცნიერო საზოგადოებაში ცნობილი ერთ-ერთი გამორჩეული ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გახდი.

ბატონი არჩილი მასშტაბურად მოაზროვნე, წიგნიერი, განსწავლული, ფართო და მრავალმხრივი თვალსაწიერისა და ინტერესების მქონე მეცნიერ-ეკონომისტი იყო. მას მოვლენების საკუთარი ხედვა ჰქონდა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს და ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში წინა პლანზე წამოწეულ ფაქტებსა და მოვლენებს გაბედულად აანალიზებდა, ფართოდ, სიღრმისეულად და კომპლექსურად განიხილავდა, რაც თვალნათლივ ჩანს როგორც მისი მოღვაწეობის ადრეულ, ისე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომებში, სტატიებსა და სქელტანიან მონოგრაფიებში, როგორცაა: საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის, აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის, საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისა და შრომის ბალანსის საკითხებზე; კვლავწარმოების კანონზომიერებას, მის ტემპებსა და პროპორციებზე საქართველოში, ასევე საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი კანონზომიერებანი და ფასიანი სწავლების აუცილებლობა და სხვა.

პროფესორი არჩილ თეთრაული გონიერი, ჭკვიანი, მორალურად და ზნეობრივად სპეტაკი, თავის ქვეყანასა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ბატონი არჩილი ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა გაფართოებული კვლავწარმოებისა და ეფექტიანობის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებას, სადაც თავი მოიყარა იმ პერიოდის ბევრმა წარმატებულმა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელმა. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით განყოფილებამ ზედიზედ რამდენჯერმე მოიპოვა მაშინ ფრიად გავრცელებულ საინსტიტუტო სოციალისტურ შეჯიბრებაში წლის საუკეთესო სამეცნიერო შედეგების მიხედვით პირველი ადგილი. ამ ამბავს იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩვენი მაშინდელი აგრარულ პრობლემათა განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ამირან ჯიბუტი და ბატონი არჩილის განყოფილება, ამ შეჯიბრში ძირითადი კონკურენტები იყვნენ. ობიექტური კომისიის მიერ სხვადასხვა კოეფიციენტების მიხედვით შეჯამებული მათი შედეგები მცირედით, მაგრამ მაინც მეტი იყო ჩვენი განყოფილების შედეგებზე.

რასაც ჩვენი განყოფილების თანამშრომლები გარკვეულწილად განვიცდიდით, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ეს კონკურენტული გარემო მეტ სტიმულს გვაძლევდა შემდგომი აქტიური მეცნიერული მუშაობისათვის.

ბატონი არჩილი ყოველთვის დაუზარებლად და უანგაროდ აკეთებდა სიკეთეს. მის ფარულ თუ ღია მხარდაჭერას, თანადგომას და კეთილგანწყობას ხშირად ვგრძნობდით მისი კოლეგები, რისი დასტურიც არის XX საუკუნის 90-იანი წლების ურთულეს გარდამავალ პერიოდში მის მიერ ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ პირველ თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მან როგორ აქტიურად ჩააბა და დაასაქმა იმ პერიოდის არა მარტო ცნობილი მეცნიერ ეკონომისტები და იურისტები, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებიც. ამასთან დაკავშირებით მინდა მადლიერება გამოვხატო მის მიმართ როგორც ჩემი, ისე იმ ადამიანების სახელით, ვინც ხმამაღლა ვერ გამოხატავს, მაგრამ გულში ბატონი არჩილის მადლიერები არიან. იგი იყო კარგი ორატორი და ეკონომიკის ინსტიტუტის დიდი პატრიოტი, რასაც ხშირად გამოხატავდა როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე, საერთაშორისო კონფერენციებზე, ისე სხვა დაწესებულებებში გაკეთებულ გამოსვლებსა და დისკუსიებში.

მაღალი დონის მეცნიერი და პედაგოგი, ღირსეული პიროვნება, ყოველთვის სიახლის ძიებაში მყოფი ხელმძღვანელი, საკუთარი შეხედულებებისა და პრინციპების ერთგული, კარგი მეოჯახე, მამა და მეუღლე, ასეთად დარჩა იგი ჩემს მესხიერებაში.

ლინა დათუნაშვილი

ინსტიტუტის სწავლული მდივანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბატონ არჩილ თეთრაულის გახსენება

ბატ. არჩილ თეთრაულს მე იმ დროიდან ვიცნობდი, როცა ჩვენ სრულიად ახალგაზრდები პირველ-მეორე კურსელი სტუდენტები ვიყავით. ეს იყო 1954 წ., ბატ. არჩილი ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ვნახე, სადაც მოხსენებით გამოდიოდა. შემდგომში მე შევიტყვე, რომ ის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელიც იყო. ბატ. არჩილი, როგორც გამორჩეული სტუდენტი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ის მომავალი მეცნიერისათვის აუცილებელ ნიშან-თვისებებს ახლგაზრდობის წლებშივე ამჟღავნებდა. მან უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის, დღეს თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში დაიწყო 1959 წელს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მრეწველობის ეკონომიკის განყოფილებაში, სადაც მეც ვმუშაობდი 1960 წლიდან. 1971 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დღემდე მასსოვს ის დიდი გამოსმაურება, რომელიც მის დაცვას მოჰყვა. მთელი საბჭოთა კავშირიდან ითხოვდნენ მისი დისერტაციის ავტორეფერატის დამატებით ვგზემპლიარებს. შემდეგ დესერტაციაც შესანიშნავი იყო – უგემრიელესი თიანეთური პურ-მარილით და მოულოდნელი სიურპრიზით, როცა დარბაზიდან გამოსულებს არე-მარე გადათეთრებული დაგვხვდა, თბილისში – პირველი თოვლი მოსულიყო. შემდეგ მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ბატ. არჩილი მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად

კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, წერდა და აქვეყნებდა წიგნებს, ბროშურებს, სტატიებს, იყო ჟ. „ეკონომისტის“ რედაქციის განყოფილების გამგე, ნიჭიერი, ძალზე შრომისმოყვარე და მიზანდასახული პიროვნება. მისი წარმატებული მეცნიერული კვლევის შედეგია ასეულობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და ათზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევა. ის იყო შესანიშნავი პედაგოგი, თაობების აღმზრდელი და უფროსი მეგობარი, ადამიანი, რომლისთვისაც ყოველთვის უპირატესი სტუდენტის ინტერესი და მისი პრობლემების გადაწყვეტა იყო. მისი პიროვნული და ორგანიზატორული თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ბიზნესისა და მარკეტინგის, მისივე თაოსნობით შექმნილი ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სკოლის რექტორად მუშაობის დროს, როცა, რამდენადაც შეეძლო დხმარების ხელს უწვდიდა ყველას, იქნებოდა ის ხელმოკლე სტუდენტი, თუ მასწავლებელი, ლაბორანტი თუ პროფესორი. მე არ მეგულება ადამიანი, მისთვის მიემართა და დახმარებაზე უარი მიეღო. იმ გაჭირვებულ ოთხმოცდაათიან წლებში, როცა არ იყო ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, გათბობა თუ პური, როცა ყველას სციოდა, შიოდა და საშველი არსად იყო ბატონმა არჩილმა ათეულობით ადამიანს გაუწია მატერიალური დახმარება და ბევრი მათგანი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა, რისთვისაც ის მაშინაც და ახლაც უღრმეს მადლობას იმსახურებს. არ შეიძლება საგამომცემლო სფეროში მისი მოღვაწეობის დავიწყებაც. მას უამრავი წიგნი, ბროშურა თუ სტატია აქვს რედაქტირებული. ის იყო განყოფილების შესანიშნავი გამგე, სამეცნიერო ხელმძღვანელი, მეგობარი, აღმზრდელი, უანგარო, სპეტაკი პიროვნება, შესანიშნავი მამა და ბაბუა. მას, რომ დასცდენოდა კიდევ ბევრი რამის გაკეთებას მოასწრებდა. მეცნიერებაში მის გაკაფულ გზას მიჰყვება მისი ქალიშვილი – ციცინო თეთრაული, ვუსურვოთ მას წარმატებები ცხოვრებასა და მეცნიერებაში, ბატონ არჩილს კი არასდროს მოჰკლებოდეს ჩვენგან ხსოვნა და არდავიწყება, რასაც ის ნამდვილად იმსახურებს.

ნანული არევაძე

განყოფილების გამგე,
ეკონომიკის დოქტორი

მოგონებები პროფესორ არჩილ თეთრაულთან დაკავშირებით

ბატონ არჩილზე მე უმცროსი ვიყავი, მაგრამ გაცნობისთანავე, სამოციანი წლების მეორე ნახევარში მის მიმართ მაშინვე დიდი სიმპატიებით განვუწყვე (მით უმეტეს, რომ გარეგნობით გვამსგავსებდნენ). ამის მიზეზი იყო ის, რომ ძალიან ადვილად შემოვიდა კონტაქტში და საუბარმა სერიოზული და საინტერესო ხასიათი მიიღო. საქმე, ცხადია, ეხებოდა ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს, კერძოდ იმას, რომ ეროვნული შემოსავალი არ იზრდებოდა ისე სწრაფად, როგორც ამას ითხოვდა მაშინდელი ხელისუფლება. იმ დროს ეკონომისტ-მეცნიერები პრობლემის გადაწყვეტას ხედავდნენ ეკონომიკის ინტენსიფიკაციაში. აქ ნამდვილად არ იყო სადავო არაფერი, მაგრამ რა მექანიზმებით უნდა მომხდარიყო ეკონომიკის ინტენსიფიკაცია – ეს იყო მთავარი. საქმე ეხებოდა საკუთრების პრობლემას. ვისი უნდა ყოფილიყო ძირითადი საშუალებები? შეიძლებოდა თუ არა მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება? ზოგადად საქმე ეხე-

ბოდა იმასაც, თუ რამდენად სწორი იყო ყველაფერში ძირამდე ჩასვლის მცდელობა? აქ ჩნდებოდა ჩვენი დავის განხილვის კულმინაცია. მე, როგორც ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულების მხარდამჭერი, ვეკამათებოდი მას იმაში, რომ ეკონომისტებმა კვლევის დროს ფართოდ უნდა გამოიყენონ კიბერნეტიკული მიდგომა – ეგრეთ წოდებული შავი ყუთის პრინციპი, რაც გულისხმობდა არა იმის დადგენას რა ხდებოდა ყუთში, არამედ იმის გადამუშავებას, რა შედიოდა ყუთში და რა გამოდიოდა ამ ყუთიდან, რადგან ამ ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელია ეკონომეტრიკული მოდელებითა და მეთოდებით და, შესაბამისად, შესაძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა.

იმ საკითხთა შორის, რომელსაც ჩვენ ბატონ არჩილთან შეხვედრის დროს ვიხილავდით, იყო ქვეყნისათვის ამჟამადაც მეტად აქტუალური საკითხი. ეს არის სიღარიბის დონის შემცირების და ინვესტიციების ზრდის პრობლემა. ის ასაბუთებდა, რომ ეს ორი ცვლადი სიდიდე ურთიერთდამოკიდებულია და მოითხოვს იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტას. ის თვლიდა, რომ ერთერთი გზა, რომელიც დასმულ პრობლემებს გადაწყვეტს, არის ქვეყანაში არასახელმწიფო საპენსიო სისტემის დაჩქარებული განვითარება და შესაბამისად მონაწილეთა დანაგროვების სწრაფი ზრდა. დანაზოგი კი სადაზღვევო სისტემის მეშვეობით წარიმართება საბაზრო სექტორში და ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას.

ამ მიზნის მისაღწევად ბატონმა არჩილმა საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი გზას მიაგნო. ეს გზა ამჟამადაც არ კარგავს აქტუალობას. ეს არის მომავალი თაობის აღზრდის გზა. მან პირველმა საქართველოში დააფუძნა ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, რომელმაც საკმაოდ დიდხანს იფუნქცია და აღზარდა მრავალი სპეციალისტი. ზოგიერთ მათგანს საკმაოდ მაღალი მდგომარეობა უკავია და წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

ამ მოკლე წერილში ძნელია ყველა იმ დამსახურების წარმოჩენა, რაც ბატონმა არჩილ თეთრაულმა, ეკონომისტ-მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ შექმნა და სერიოზული კვალი დატოვა საქართველოს ეკონომიკური სკოლის განვითარებაში.

რამინ მითაიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**კაცი რომელმაც თავისი სათქმელი ღირსეულად თქვა!
კაცი რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა!**

დიას, ასეთი იყო არჩილ თეთრაული, - პიროვნება და მეცნიერი.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, მაშინდელი მეცნიერებათა აკადემიის - ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში ერთად მოვედით გარკვეული გუნდი ახალგაზრდებისა. ესენი გახლდათ ბატონები: ლადო პაპავა, რამაზ აბესაძე, გია წერეთელი (ყველა ეს პიროვნება შემდგომში თანმიმდევრობით გახდა ჩვენი ინსტიტუტის რექტორი), მურმან კვარაცხელია, აზიკო სისვაძე, ნუკრი ზაქარიაძე, გია თოფურია, ვაჟა ხორავა და სხვები. ეს იყო 43 წლის (თითქმის ნახევარი საუკუნის) წინ დღეს უკვე კარგად ვაცნობიერებთ, რომ დროსთან ხუმრობა არ შეიძლება, დრო არასოდეს

არ გელოდება. თითქმის ყველამ, საქმიანობა ბატონი არჩილის – კვლავწარმოებისა და ეფექტიანობის განყოფილებაში დავიწყეთ.

ჩვენ ყველამ ბევრი ვისწავლეთ ბატონი არჩილისაგან, დაწყებული ყოველწლიური გეგმიური სამეცნიერო კვლევითი თემის დამუშავებიდან სადისერტაციო შრომის დაწერამდე. მისი დიდი გამოცდილება ჩვენ ყველას ბევრად დაგვეხმარა, მეცნიერული, ეკონომიკური აზროვნების დაუფლებაში, როგორც ის გარემოებაც, რომ ჩვენს გარშემო იყო ბრწყინვალე მეცნიერ ეკონომისტთა სამართალ მცოდნეთა დიდებული კოჰორტა ბატონი პაატას მეთაურობით.

შედგევიც ლოგიკური იყო ზემოთხამოთვლილ ჩვენს მეგობართაგან ყველა მეცნიერებათა დოქტორი და მეცნიერია, ბატონი ლადო საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ეკონომისტია, აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მე კარგად ვიცი როგორ შეფასებას აძლევენ მის შრომებს რუსული სამეცნიერო ეკონომიკური საზოგადოების წარმომადგენლები. ეს იმის გათვალისწინებით, რომ რუსული ეკონომიკური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია.

მე და ბატონ არჩილს განსაკუთრებული მეგობრობა და ურთიერთობა გვაკავშირებდა, ფაქტობრივად არ ყოფილა ისეთი რამ რაც ჩვენ ერთმანეთისთვის არ გაგვიჩნდია და საუბარი არ გექონია. ერთი ასეთი მომენტი მინდა გავიხსენო, იმ დროს ე.წ. „ვაკის“ რეორგანიზაციის გამო საკანდიდატო დისერტაციის დაცვა დამიგვიანდა, დაცვა და არა დისერტაციის დაწერა. მაშინ ერთ-ჯერადი საბჭოები იქმნებოდა და საჭირო იყო სპეციალისტთა მოწვევა სხვა სამეცნიერო ცენტრიდან. საჭირო იყო 3 დოქტორის ჩამოყვანა ინვესტიციებსა და კაპიტალურ მშენებლობაში. ჩვენ ერთ ოთახში ვიჯექით, ცოტა დაღონებული ვიყავი. მე არასოდეს არ დამავიწყდება ის სიტყვები რაც მაშინ მან მითხრა-შენ მებრძოლი ადამიანი ხარ და ყველაფერს მიაღწევ, ოღონდ იცოდე, ადამიანი ჯერ პიროვნება უნდა იყოს შემდეგ კი მეცნიერი. მე მაშინ დავრწმუნდი, რომ საჭირო დროს, საჭირო სიტყვის თქმა დიდი ნიჭი ყოფილა.

ბატონი არჩილი განსაკუთრებული ადამიანი იყო თავისი პრინციპებით. ის თუ დავიმეგობრდებოდა ეს იყო სამუდამო, თუ არ მოსწონდი აუცილებლად უნდა მორიდებოდი. მას ქონდა ასეთი გამოთქმა - მე ეს ადამიანი მოგკვეთე ჩემი ცხოვრებიდან. ერთხელაც შევეკითხე, ეს როგორ უნდა გვესმოდეს ბატონო არჩილ ? მოკვეთა მეტქი. მან თქვა ეს არ არისო თავის მოკვეთა, ეს არის ადამიანის მოკვეთა ურთიერთობებიდან, მთლიანად, თავიდან ფეხებამდე.

მინდა კიდევ გავიხსენო ბატონი გია თოფურიასა და ბატონი არჩილის დაპირისპირების ეპიზოდი, გია თოფურია იყო ძალიან კარგი მეცნიერი და კარგი მეგობარი. მან დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნა ჟურნალ ეკონომისტში სტატია პოლიტეკონომიკურ პრობლემაზე. სტატიაში იგი ასაბუთებდა გარკვეული, ახალი ეკონომიკური კანონის არსებობის შესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი არჩილი მოვიდა განყოფილებაში განრისხებული, მაგიდაზე დამიდო თავისი შრომა ერთ მხარეზე და მეორე მხარეზე გიას სტატია. მითხრა ორივე ნახეო და შემდეგ თქვი ვის ვისგან აქვს გადაწერილიო. მე უპირველეს ყოვლისა დავაზუსტე თარიღი რათა გამეგო რომელი სტატია უფრო ადრე იყო გამოქვეყნებული. საგონებელში ჩავევარდი, რა ვქნა ვისზე ვთქვა პლაგიატიო, როგორც იქნა ჩავიკითხე ორივეს სტატია და აშკარა იყო არსობრივი მსგავსება ამ სტატიებსა, მაგრამ სიტყვიერი მასალა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. დაპირისპირება რომ არ გადაზრდილიყო ძალიან დიდ უთანხმოებაში, (და ეს სავსებით მოსალოდნელი იყო) რადგან მთელი განყოფილება იყო დაძაბული და ინსტიტუტშიც იცოდნენ. ერთხელ, როდესაც მარტო დავრჩით მე ვუთხარი ბატონ არჩილს, ჩვენ ხომ ქრისტიანი შემწყნარებელი ადამიანები ვართ, იქნება შეთანხმდეთ თუ ეს შესაძლებელია, ორივემ ერთად

ეს კანონი ერთად დახვეწოთ და გამოაქვეყნოდ ცოტახნის შემდეგ, ორივე თქვენთაგანის ავტორობით. მან სათვალე ჩამოსწია არ მოუსწია შემომხედა მრისხანედ და მითხრა, შენც ხომ არ გინდა მესამე ავტორი იყო? მე ვუპასუხე არა ბატონო არჩილ, მე ჩემი აღმოჩენები მაქვს მეთქი. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ყველა ვფიქრობდით იმაზე, რომ, თუ რამოდენიმე აღმოჩენას არა, თითო აღმოჩენას ყველა გავაკეთებდით.

დასასრულს მინდა ვთქვა შემდეგი, ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო, მეორემ უფრო ბრძენმა კაცმა თქვა - ქვიშაც წავა და წამოვა ოქრონი დარჩებიანო. მე მჯერა, რომ ბატონი არჩილ თეთრაულის მთელი ცხოვრება მისი პიროვნება მისი სამეცნიერო შრომები ეს ის ოქროს საგანძურია რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართული საზოგადოების ქართული სამეცნიერო ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

ბონდო ზარნაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბიზნესის საერთაშორისო ადადემიის ნამდვილი წევრი

გამორჩეული მკვლევარი

არჩილ თეთრაული გამორჩეული პიროვნება და დაუოკებელი ენერგიით დამუხტული ადამიანი იყო, რომელთა გამოყენება მას როგორც მეცნიერებაში, ასევე ორგანიზაციულ სამუშაოებშიც შეეძლო.

თსუ გამოყენებითი მათემატიკის (ამჟამად ილია ვეკუას სახელობის) ინსტიტუტის ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულების განყოფილებაში მუშაობისას, პროფესორმა – მკვლევარმა ელიზბარ ნადარაიამ მირჩია, რომ გავცნობოდი არჩილ თეთრაულს, რადგან მასთან ეკონომიკის მრავალ პრობლემაზე შეიძლებოდა მსჯელობა. ასეც მოხდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ.

ბატონმა არჩილმა ჩემთან საუბარი დაიწყო ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენების პერსპექტივაზე და მისი დაკონკრეტების შესაძლებლობაზე ეკონომიკურ პროგნოზირებაში. მსჯელობა რამდენჯერმე განვაახლეთ. მაინტერესებდა, რა განაპირობებდა მეცნიერული და ორგანიზაციული საქმიანობით დატვირთული მკვლევარის ახალი პრობლემებით დაინტერესებას. როგორც შემდგომ გაირკვა, ბატონმა არჩილმა სემინარზე ეკონომიკაში მათემატიკის ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით მოხსენება მისთვისაც საჭირო საკითხების გასარკვევად გამაკეთებინა.

მოგვყავს ბატონ არჩილ თეთრაულთან ურთიერთობის რამდენიმე შემთხვევა.

შეიძლება ითქვას, რომ 70-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში თითქმის აშკარად მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის შესაცვლელი გარდაქმნები დაიწყო. 1980 წელს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში არჩილ თეთრაულთან ერთად დურსუნ დიასამიძის სამუშაო პატარა ოთახში ვესწრებოდით შეკრებას, რომელშიც მონაწილეობდა იურისტი პროფ. გიორგი ნადარეიშვილი. სულ ინსტიტუტის 10-მდე თანამშრომელი. ამ შეკრებაზე მიმდინარეობდა მსჯელობა ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ პეტრე კაპიცას მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით 1979 წელს გამოქვეყნებულ სტატიაზე, სადაც პეტრე კაპიცა იძლეოდა ახალ ორიგინალურ სქემას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირი გადასულიყო საბაზრო

ეკონომიკაზე ისე, რომ მოსალოდნელი „კატასტროფისაგან ქვეყანა გადარჩენილიყო“. მაშინ მეცნიერთა ფართო წრისათვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ცნობილი არ იყო და კაპიტალს კომპაქტური სქემა საბაზრო ეკონომიკაზე მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევდა. შემდეგში ბევრი რამ დაზუსტდა, მათ შორის ისიც, რომ მბრძანებლური დაგეგმვის პირობებთან საბაზრო ეკონომიკა შეუთავსებადი იყო.

ბატონი არჩილ თეთრაული ნებისმიერი მსჯელობისას მკაცრი და კორექტული იყო, დირექტორთან ურთიერთობის დროსაც კი. ბატონ ავთანდილ გუნიასთან შესახვედრად მოსული არჩილი ჯერ ჩემთან შემოვიდა, მომესალმა და აღნიშნა – ასეთ უფანჯრო დახუთულ ოთახში მთელი დღე როგორ ძლებო. ბატონი პაატა გუგუშვილი შესვენებისას ახლომდებარე წყნარ ქუჩებში გამოდიოდა. შენც იგივე შეიძლება გაიმეორო. ამაზე მადლობა მოვახსენე და ვუპასუხე – ამას ბატონი პაატას დირექტორობის დროს ვახერხებდი.

როდესაც პაატა გუგუშვილი აბსურდული ბრალდებით მთავრობის უგუნურმა წარმომადგენლებმა დირექტორობიდან გაათავისუფლეს, მე ვკითხე ბატონ არჩილს, ამის გამო ეკონომისტები პროტესტს რატომ არ გამოთქვამდნენ. მან მიპასუხა, ხმის ამოდების შემთხვევაში ინსტიტუტს დაშლიანო, თანაც დაუმატა, დრო ყველაფერს დაარეგულირებსო. მართლაც, დღეს პოსტსაბჭოთა საქართველოში ინსტიტუტი პაატა გუგუშვილის სახელობისაა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეიძლებოდა პროფ. არჩილ თეთრაულის მიერ პოსტსაბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის დიდ რისკთან დაკავშირებულ წარმატებებზე მსჯელობაც და ა.შ.

როლანდ სარჩიმელია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
კანდიდატი პროფესორი

არჩილ თეთრაულის ხსოვნას

ბატონი არჩილი გავიცანი 1975 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დამრჩა მასზე, იყო უაღრესად სერიოზული და დადებითი. გარეგნულად იგი თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება ჩანდა და არცთუ ისე იოლად შედიოდა ადამიანებთან კონტაქტში, მაგრამ ვისაც კი დაუახლოვდებოდა, ბოლომდე მისი ერთგული იყო და რითაც შეეძლო გვერდში ედგა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დამაარსებელსა და დირექტორს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება და ამ ხელისუფლების მიერ შეგუდიანებული ინსტიტუტის ზოგიერთი თანამშრომელი დაუპირისპირდა, ბატონი არჩილი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, დადგა თავისი მასწავლებლისა და დიდი მეცნიერის პაატა გუგუშვილის მხარეს და ბოლომდე უერთგულა მას.

მიუხედავად თითქოსდა გარეგნული სიმკაცრისა, ბატონი არჩილი გახლდათ ძალიან თბილი და კეთილშობილური გულის პატრონი, რომელიც ყოველთვის მზად იყო მეგობრებისა და კოლეგების დასახმარებლად.

არჩილ თეთრაული ძალიან მშრომელი, პროდუქტიული მეცნიერი იყო. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია და მეცნიერული სტატია. განსაკუთრებით ინტერესდებოდა წარმოების ეფექტიანობის ამადლების პრობლემებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც არჩილ თეთრაულმა შეიტანა კვალიფიციური კადრების მომზადებისა და საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის საქმეში. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოში ერთადერთი პირველი კომერციული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, სადაც თავი მოიყარა ეკონომიკისა და სამართლის სფეროში იმდროინდელმა ინტელექტუალურმა ელიტამ და რომელმაც სულ მოკლე პერიოდში ისე გაათქვა სახელი, რომ უამრავი ახალგაზრდა მიაწვდა მას უმაღლესი განათლების მისაღებად.

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა პატივი, რამდენიმე წლის განმავლობაში ემუშავა ბატონი არჩილის მიერ დაარსებული ინსტიტუტის პრორექტორად. დღესაც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ბატონ არჩილთან ერთად გატარებულ საოცრად ლამაზ და საინტერესო წლებს.

რომან ხარბედია

აუდიტორი, ეკონომიკის დოქტორი

კაცი – ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილის მსხველი

ბატონ არჩილ თეთრაულს თავისი ფასეული ბეჭდვითი პროდუქციით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტზე და საინტერესო ლექციებით ვიცნობდი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან. უშუალოდ კი მქონდა პატივი, გამეცნო 1978 წლის სექტემბერში, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში პოლიტეკონომიის სპეციალობით. ბ-ი არჩილი საგამოცდო კომისიის წევრებს შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდული ენერჯითა და იერ-სახით, პრობლემური შეკითხვებით, ობიექტურობითა და სამართლიანობით.

მოხდა ისე, რომ ასპირანტურაში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და, ამავდროულად, გავხდი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, სადაც მუშაობა მომიწია 2006 წლის სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში ბატონ არჩილთან მაკავშირებდა ძალიან ახლო კოლეგიალური, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა. იგი გამოირჩეოდა პროფესიული პატრიოტიზმით, ინიციატივიანობით, ორგანიზატორული ნიჭით, მეცნიერული კვლევის სიღრმით, ვერისტიკული ანალიზით, ორატორული ხელოვნებით, კეთილსინდისიერებით, გადაჭარბებული სიკეთით, სამართლიანობით, პრინციპულობით, ახალგაზრდობის თანადგომითა და დიდი სიყვარულით. როდესაც ძალაუფლება და სამართლიანობა ერთმანეთს წაეჭიდებოდა, ბ-ი არჩილი ცალსახად სამართლიანობის მხარეზე დგებოდა. უყვარდა კოლეგების შესახებ აზრის გამოთქმა, ობიექტური შეფასება და მათი ძლიერი მხარეების შთამბეჭდავად გამოკვეთა...

პოსტსოციალისტური გარდაქმნებისას, 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ახალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის პროფესიული (მენეჯერი, მარკეტოლოგი, ბანკირი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა დადგა, ბ-ი არჩილი ახალ ამბლუაში მოგვევლინა. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ბიზნესისა

და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა და დაიწყო ეროვნული კადრების მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომზადება. მან პედაგოგებად მოიწვია იმხანად ყველაზე ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტები, რამაც მათ საშუალება მისცა, საუკეთესოდ შეესაბამებინათ კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა. მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ კვლევის პროცესში გამომუშავებული იდეების სამეურნეო პრაქტიკაში ოპერატიული ჩაშვებისა. ბატონი არჩილის თაოსნობით ასევე ფართოდ გაიშალა სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების, მონოგრაფიების, ბროშურების, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალებისა და სხვათა სტამბური წესით გამოცემა, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული საბაზრო ეკონომიკური სიტემის იდეოლოგიურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფაში.

90-იან წლებში ქართული ეკონომიკა დაახლოებით ოთხჯერ დაეცა, მნიშვნელოვნად გაუარესდა მეცნიერ-ეკონომისტების მდგომარეობაც. იმხანად პროფესორის ხელფასი ერთი დოლარის ეკვივალენტს შეადგენდა. ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების დიდი ნაწილი ბ-ნ არჩილ თეთრაულის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო და, ძირითადად, აქ მიღებული შემოსავლით არჩენდა საკუთარ თავსა და ოჯახს. თავად ბ-ი არჩილის მატერიალურ და ფინანსურ აქტივებს კი რაიმე მნიშვნელოვანი არ შემატებია. სწორედ ამიტომ, სხვა სიკეთესთან ერთად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ ძნელბედობის ჟამს საქართველოს ეკონომიკური საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილისაგან სწორედ ბატონმა არჩილ თეთრაულმა იხსნა, რაც თითოეულ ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს.

ჩემო ძვირფასო ბ-ო არჩილ, სწორედ თქვენაირ ქართველებზეა ნათქვამი: „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“!

უშანგი სამადაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

არჩილ თეთრაული – კვალიფიციური ეკონომისტი

არჩილ თეთრაულს, როგორც კვალიფიციურ ეკონომისტს, ვიცნობდი ჩემი სტუდენტობის დროიდან XX ს. 60-იან წლებში. მის ნაშრომებს ვიყენებდით სტუდენტურ კვლევებში, საკურსო ნაშრომების წერის დროს და ა.შ. მისი ნაშრომები გამოირჩეოდა კომპეტენტურობით და ორიგინალობით. ზოგიერთ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

შემდგომში, ბატონ არჩილს ვხვდებოდი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. იგი მოწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობდა ლექციებს. ლექციებს შორის შესვენების დროს ვსაუბრობდით იმ დროის პრობლემურ სადკითხებზე. ბატონი არჩილი ჩემს თვალში წარმოჩინდებოდა როგორც ერუდირებული, განათლებული ეკონომისტი. ეს მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ეკონომისტთა ერთ ნაწილს ნახევრად განათლებულებს უწოდებდნენ (ზოგიერთებს ახლაც ასეთი ეპითეტით „ამკობენ“).

არჩილ თეთრაულმა მეორე სუნთქვა შეიძინა XX ს. 90-იან წლებში. მან ფეხი აუწყო ახალ ეპოქას. კომერციული სასწავლებელი დააარსა. ეს სასწავლებელი დასაწყისში განთავსებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. შემდგომ სოლოლაკისა და დიდუბის რამდენიმე

სკოლაში. ბატონმა არჩილმა ბიზნესის კარგ ხერხს მიმართა. სტუდენტებს დაუწესა სწავლის ყველაზე დაბალი საფასური, რამაც განაპირობა სტუდენტთა დიდი ნაკადის მოზღვავება. წელიწადში 1300 სტუდენტს იღებდნენ. დიპლომის მაძიებლებმა გული იჯერეს, თუმცა იმ პერიოდში მსხვილმასშტაბიანი სახალხო მეურნეობის ნგრევამ სამუშაო ადგილებიც გააქრო და დიპლომებსაც ხიბლი დაუკარგა.

ბატონმა არჩილმა დიდი სიკეთე გააკეთა, იმ ძნელბედობის დროს მეცნიერმუშაკთა დასაქმების საქმეში. დასახელებულ ინსტიტუტში სამუშაოდ მიიღო 500-მდე ლექტორი და თანამშრომელი. ინსტიტუტში ფუნქციონირებდა 35 კათედრა. კათედრის გამგეებს და მათ სამ მოადგილეს ხელფასები დაუნიშნა. მაგრამ კუპონის არნახულმა ინფლაციამ (1000%-ზე მეტად გაუფასურდა), ეს ხელფასებიც გააწყალა.

მთლიანობაში პროფესორი არჩილ თეთრაული დაგვამახსოვრდა, როგორც კვალიფიციური მეცნიერი, გულისხმიერი და ჰუმანური მოქალაქე. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ჯემალ ხარიტონაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ღირსეული პიროვნება

არჩილ თეთრაული, გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში გავიცანი, როდესაც მისი უშუალო ძალისხმევით ჩამოყალიბდა, ერთ-ერთი პირველი არასახელმწიფოებრივი, კერძო, უმაღლესი სასწავლებელი, რომლის რექტორიც თავად იყო, ხოლო მე ეროვნული ისტორიის კათედრის გამგედ მომიწია მუშაობა.

იმჟამად, ეს იყო უაღრესად პოპულარული უმაღლესი სკოლა, სადაც რამდენიმე ფაკულტეტი და 30 კათედრა ფუნქციონირებდა 500-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებლითა და თანამშრომლით.

უმაღლეს სკოლაში მუშაობდნენ თვალსაჩინო ქართველი აკადემიკოსები და მეცნიერ-პროფესორები, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა დარგის გამორჩეული მკვლევარები, აკადემიკოსები: იური კაჭარავა, ლეო ჩიქავა, პროფესორები: გრიგოლ ქვანია, ლევან თოიძე, იოსებ ჩიქავა, გრიგოლ მარგიანი, გოჩა ჯაფარიძე.

ერთი შეხედვით შეიძლება გეფიქრა, რომ ბატონი არჩილი ძალიან მკაცრი და უდიმილო კაცი იყო, მაგრამ როგორც დაუახლოვდებოდი, იგრძნობდი, რომ საქმე გქონდა უაღრესად კეთილ პიროვნებასთან, რომელსაც თავის ღირსეულ მოვალეობად მიაჩნდა ადამიანებისადმი დახმარება და სასიკეთო ხელის გაწვდენა.

სულ რაგაც ორ წელიწადში, აქ სამი ათასამდე სტუდენტი ეუფლებოდა უმაღლეს სკოლის სხვადასხვა პროგრამებს. ერთი სიტყვით სასწავლებელი ყალიბდებოდა სწავლისა და სწავლების და აღზრდის მნიშვნელოვან კერად, მაგრამ სამწუხაროდ ეს პროცესი შეაჩერა თბილისში განვითარებულმა

ნეგატიურმა მოვლენებმა, შეიარაღებული გზით, ზვიად გამსახურდიას, ეროვნული ხელისუფლების დამსობამ.

არჩილ თეთრაული იყო ეროვნულ-პატრიოტული მრწამსით აღსავსე პიროვნება და კარგად მახსოვს მთელი არსებით დაუჭირა მხარი ჩემს ინიციატივას, შექმნილიყო ეროვნული მოძრაობის ისტორიის მრავალტომეული, სადაც განზოგადებული იქნებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

არჩილ თეთრაული ადრე წავიდა ამ ქვეყნიური ფიზიკური ცხოვრებიდან, მისი სახით ქვეყანამ დაკარგა გამორჩეული მეცნიერი, ოჯახმა ერთგული მამა, მეუღლე და ბაბუა, ხოლო სამეგობრომ ღირსეული და უდალბატო მეგობარი.

მე, დიდი სიამოვნებით გუერთდები საქართველოს სამეცნიერო და სასწავლო საზოგადოების, ოჯახის და სამეგობროს საზეიმო განწყობილებას, ღირსილი პიროვნების და მეცნიერის არჩილ თეთრაულის დაბადების 80 წლისთავის გამო.

იგორ კვესელავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოციალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მცირე მოგონება დიდ მეცნიერზე

ეკონომიკურ მეცნიერებაში ბატონი არჩილ თეთრაული იყო საერთაშორისო მაშტაბის დიდი მეცნიერი. მისი სადოქტორო დისერტაცია ეხებოდა სოციალიზმის გაფართოებული კვლავწარმოების პრობლემატიკის კვლევას. ნაშრომმა სპეციალისტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. იმ დროს რესუბლიკებში ეროვნულ ენაზე დაწერილი დისერტაციების თარგმნა რუსულ ენაზე სავალდებულო არ იყო. ბატონი არჩილის სადოქტორო ნაშრომის ავტორეფერატის გასაცნობად ინსტიტუტში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან მეცნიერები მრავლად ჩამოდიოდნენ. ეს მოვლენა იყო ქართულ ეკონომიკურ აზროვნებაში არჩილ თეთრაულის ნიჭის დიდი გაელვება. ამასთან, მთელ თავის ინტელექტუალურ პოტენციალს, ფიზიკურ არსებას, ამალღებულ სულიერებას, ადამიანურ ვნებას მთლიანად და უშურველად ახმარდა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებას, ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას. ბედნიერება იყო 1979 წელს, მისი ხელმძღვანელობით გარდაბნის რაიონში საბაზრო ეკონომიკის გზებზე გადაყვანის პრობლემაზე მუშაობა. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა სამუშაოს წარმატებით გავართვით თავი. რაიონის ხელმძღვანელობას ჩაბარდა 500 ნაბეჭდ გვერდამდე სამეცნიერო პრაქტიკული ნაშრომი. შესრულებულმა სამუშაომ იმდროინდელი რესუბლიკის ხელმძღვანელობის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ბატონ არჩილ თეთრაულისათვის არ იყო იმაზე დიდი ბედნიერება, რომ ითვლებოდა დიდ პაატა გუგუშვილის მოწაფედ. ეს ბუმბერაზი მეცნიერი ასწავლიდა უნივერსიტეტში, ასპირანტურაში და უხდებოდა მასთან ერთად მუშაობა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, მიმართულების ხელმძღვანელად. ბატონი არჩილი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო თსუ დოცენტი, თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის

მასწავლებელი, დოცენტი, თბილისის სახ. პედინსტიტუტის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. მისი ძირითადი შრომები: „კვლავწარმოების კანონზომიერებანი საქართველოში“, თბ., „მეცნიერება“ 1981; „კვლავწარმოების ტემპები და პროპორციები“, თბ., „მეცნიერება“, 1996; „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი“ თბ., „მეცნიერება“, 1992. სამუდამოდ შევიდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების ოქროს ფონდში.

ბატონი არჩილს მიერ საბაზრო გარემოში სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების შესაძლებლობების კვლევა უაღრესად აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ისტორიამ არ იცის წარმოების ამ ეტაპზე პოსტკომუნისტური ქვეყნების გადაყვანის მაგალითი. განსაკუთრებით აქტუალურია იგი საქართველოს სინამდვილეში, რომელიც ერთიანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული სხეულის საბჭოთა კავშირის – შემადგენელი ნაწილი იყო და მისი დაშლის შემდეგ აღმოჩნდა მთლიანი სხეულიდან მოწყვეტილად, რომელსაც სიცოცხლისუნარიანობა უნდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლად მისთვის უცნობ მსოფლიო საბაზრო სისტემაში, რომლის სუბიექტადაც იქცა.

ბატონ არჩილს ჰქონდა მეცნიერული აღდგომის დიდი უნარი. მან ერთ-ერთმა პირველმა განჭვრიტა რესპუბლიკაში ფასიანი სწავლების დანერგვის აუცილებლობა. მან დააფუძნა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ფასიანი სწავლების უმაღლესი სკოლა – ინსტიტუტი. აქ დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ფასიანი სწავლების მექანიზმი, რაც გზამკვლევი აღმოჩნდა ანალოგიური პროფილით მომუშავე სასწავლებლებისათვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ ცოტა მოიძებნება ისეთი მეცნიერი, როგორც იყო ბატონი არჩილ თეთრაული, რომელიც ასე უხვად იყო დაჯილდოებული მაღალნაყოფიერი მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, ტექსტის მეცნიერული რედაქტირების უნართა და საგამომცემლო პოლიგრაფიული საქმიანობის დრმა ცოდნით.

თენგიზ ქავთარაძე

ეკონომიკის დოქტორი

სიახლეების მამკვიდრებელი ადამიანი

ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა თვალსაჩინო მეცნიერის არჩილ თეთრაულის დაკარგვით. ეკონომიკური აზროვნება საქართველოში და, არა მარტო აქ, კომუნისტურ აზროვნებას გაცილებული არ იყო, როდესაც ბატონმა არჩილ თეთრაულმა ბიზნესის იდეები შესთავაზა საზოგადოებას. ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების უმრავლესობა მის ქმედებებს სკეპტიკურად უყურებდა. მან ჯერ ბიზნესის შემსწავლელი კურსები ჩამოაყალიბა ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც ბიზნესიდეები, ბიზნესსაქმიანობა, მენეჯმენტი და მრავალი სიახლის მოსმენა შეეძლო მსმენელს. პრობლემა იყო ლექციების წამკითხავი პროფესორ-მასწავლებლები, რადგანაც საზოგადოების წევრების უმრავლესობისთვის ეს ყველაფერი ახალი და უცხო იყო.

ბატონი არჩილი და მე ხშირად ვსაუბრობდით მეცნიერებაზე. ერთ-ერთ შეხვედრაზე მე მას მოუყვები ბატონი ჯერმენ გვიშიანის ნაშრომების შესახებ მენეჯმენტზე, რომელიც მოსკოვში იბეჭდებოდა. იგი ძალიან დაინტერესდა და შემომთავაზა მის მიერ გახსნილ კურსებზე მენეჯმენტში წამკითხა ლექციები.

შემდგომში ბატონმა არჩილმა კურსები აქცია ინსტიტუტად. ეს იყო ერთ-ერთი პირველთაგანი კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდებს ბიზნეს-იდევებს ასწავლიდა. ბიზნესის უმაღლეს სკოლას საქართველოს ყველა კუთხიდან მოაწვდა ახალგაზრდობა. იქ სწავლობდა 3000-ზე მეტი სტუდენტი. მათ იმდენი ცოდნა მიიღეს, პირველივე კურსზე უმრავლესობამ მაშინვე ბიზნესი წამოიწყო და წარმატებულადაც. მე ვიყავი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და ამავე დასახელების კათედრის გამგე. ბატონი არჩილის თანხმობით, ფაკულტეტზე შევქმენით 30 კაციანი წარმატებული ახალგაზრდების ჯგუფი. წარმოდგენით, რომ მათი უმრავლესობა საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაასაქმა.

ბიზნესის უმაღლეს სკოლაში მუშაობამ და იქ შექმნილმა ბიზნესის წარმოების ცოდნამ დიდი სამსახური გამიწვია გამგებლად მუშაობის დროს. იმ რაიონში, სადაც მე ვმუშაობდი, მოსახლეობამ და წარმოების ხელმძღვანელებმაც საბაზრო ეკონომიკის შესახებ საერთოდ არაფერი არ იცოდნენ. ბიზნესსაქმიანობა მათთვის უცხო ხილი იყო. მე მათ ბიზნესის უმაღლეს სკოლაში მიღებულ გამოცდილებას ვუზიარებდი.

ბატონმა არჩილმა ინსტიტუტი თანამოაზრეთა გუნდის დახმარებით ჩამოაყალიბა. შექმნა ნაყოფიერი გარემო პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. მისმა პროფესიონალიზმმა, ღრმა განსწავლულობამ, სიახლეების გენერირების ოსტატობამ, თითოეული თანამშრომლისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ, ჰუმანურობამ და ადამიანებისადმი თბილმა დამოკიდებულებამ ბიზნესის უმაღლეს სკოლას და მის რექტორს არჩილ თეთრაულს საქვეყნო წარმატებები და აღიარება მოუტანა.

წავიდა ჩვენგან არასტანდარტული აზროვნების, მეცნიერი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იგი მალე 80 წლის გახდებოდა.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს მას სასუფეველი.

ალექსანდრე სიჭინავა

სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, საინჟინრო, ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

არჩილ თეთრაული – დიდი მეცნიერი და ახალგაზრდობის მოძღვარი

ჭეშმარიტი მეცნიერის და გამორჩეული პიროვნების არჩილ თეთრაულის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მეხსიერებაში წამოტივტივდა მთარული ფრაზა – „გარდაცვლილთა შესახებ ან მხოლოდ კარგს ამბობენ ან არაფერს“. ვერ დავეთანხმები ამ სენტენციას და აი რატომ: როდესაც ცოცხლებს გვეცოდინება, რომ ჩვენი ქმედებანი, განსაკუთრებით კი უღირსნი, ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ დარჩენილთა განსჯისა და განქიქების საგნად იქცევა, უფრო ფრთხილნი, მოზომილნი გაგხდებით ჩვენს ქმედებებში და ნაკლები ცოდვებით განვეშორებით ამ წუთისოფელს.

რაც შეეხება ბატონ არჩილს, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვის დროიდან სამი ათეული წლის განმავლობაში მქონდა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა, მისი სამეცნიერო და პირადი ცხოვრებიდან ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომელიც ხინჯს მიაყენებდა ამ ღვაწლმოსილი მეცნიერის ნათელ ხსოვნას – როგორც მკვლევარისა,

მრავალმხრივ განათლებული პიროვნებისა, მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღმზრდელისა, სამეცნიერო დებატების დიდოსტატისა, პრინციპულობით გამორჩეული უაღრესად ზნეობრივი პიროვნებისა და მრავალი ჯანსაღი სამეცნიერო ტრადიციის დამამკვდრებელისა. მეც ასეთივე თანმიმდევრობით გავისხებებ მას, თუმცა თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ეს ჩამონათვალი არასრულია.

არჩილ თეთრაული, როგორც მეცნიერი, ყველასაგან გამორჩეული, თვითმყოფადი და უაღრესად პროდუქტიული მკვლევარი გახლდათ. იმ ეპოქამ ბევრ ნიჭიერ ეკონომისტს დაასვა დადი – მათი ერთი ნაწილი მარქსისტული დოგმების კომენტარებით შემოიფარგლა, საიდანაც გადახვევა უდიდეს მკრეხელობად ეთვლებოდათ, მავანნი ე. წ. „ბურჟუაზიული თეორიების“ კრიტიკით ცდილობდნენ ფონს გასვლას, სხვანი კი დარგობრივი ეკონომიკის ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტნენ, რამეთუ თეორიაში რაიმე განსხვავებულის თქმა შესაძლოა ანტიმარქსისტულ აზროვნებადაც კი ჩათვლიდათ აქედან გამომდინარე შედეგებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მათმა ნაშრომებმა ძველი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლისთანავე დაკარგეს აქტუალობა.

არჩილ თეთრაულმა, როგორც ჩანს, უშეცდომოდ მოძებნა თავისი ადგილი ეკონომიკურ მეცნიერებაში. იგი შეეჭიდა ყველა ეპოქისა და სისტემისათვის საერთო და უაღრესად აქტუალურ ისეთ ფუნდამენტურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა კვლავწარმოება და ეკონომიკური ზრდის ტემპები, წარმოების ინტენსიფიკაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ეფექტიანობა და სხვა, რომლებიც დღეს კიდევ უფრო თანადროულნი გახდნენ. და არა მარტო შეეჭიდა, არამედ ორიგინალურად გადაწყვიტა ისინი და ფასდაუდებელი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იმის გამო, რომ აღნიშნული პრობლემები აქტუალურია ახალი ეკონომიკური სისტემისათვის, მან უმტკივნეულოდ შეძლო საბაზრო ეკონომიკის თეორიასთან უმტკივნეულო ადაპტირება.

ამასთან, ბატონი არჩილი მხოლოდ თეორიით კი არ შემოიფარგლა, არამედ ორგანულად მიუსადაგა იგი საქართველოს ეკონომიკის საჭირობებზე პრობლემებს. იგი წერდა იმდენად ლოგიკურად, ლაკონურად და საინტერესოდ, რომ ყოველთვის, როდესაც მის მდიდარ მემკვიდრეობას კიდევ ერთხელ ვუბრუნდები, ერთდროულად მეუფლება ინტელექტუალური და ესთეტიკური სიამოვნების განცდა. ასე წერა კი მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერებს ხელეწიფებათ. ჩემი გადმოსახედიდან, არჩილ თეთრაულის, როგორც შემოქმედებითად მოაზროვნე და პროდუქტიული მკვლევარის ადგილი, მრავალი კრიტიკიუმის მიხედვით, ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა დროის წარმატებულ მეცნიერთა პირველ რიგებში მეგულების. ბატონი არჩილი დაბადებული იყო მეცნიერებისათვის და მეცნიერებითვე ცოცხლობდა.

არჩილ თეთრაული გამოირჩეოდა როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება. ასეთ მეცნიერზე ხშირად ამბობენ „ენციკლოპედიურ ცოდნას“ ფლობსო, რაც, ვფიქრობ, ბატონ არჩილთან მიმართებაში არასრული შეფასება იქნება. განათლებული ადამიანის აზროვნების დონის საზომია არა მხოლოდ მისი „ენციკლოპედიური ცოდნა“, როგორცაა მინეულია, არამედ უპირველესად ამ ცოდნის სისტემატიზაციის, კრიტიკული გადაფასების, ურთიერთდაკავშირებისა და ახალი ცოდნის „წარმოების“ უნარი. ბატონი არჩილი კი სწორედ ასეთი მაცნიერი გახლდათ.

ბატონი არჩილის ნაშრომები ფასდაუდებელი მემკვიდრეობაა ყველასათვის, ვინც მაკროეკონომიკის პრობლემებითაა დაინტერესებული.

არჩილ თეთრაული, როგორც მეცნიერთა ახალგაზრდა თაობის აღმზრდელის დვაწლი განსაკუთრებით გამორჩეულია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ინსტიტუტის მხოლოდ ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მასთან, როგორც უფროს მეგობართან და არაფორმალურ ლიდერთან მთელი ინსტიტუტის

ახალგაზრდობა იყრინდა თავს და ყველა იღებდა ფასდაუდებელ რჩევასა და ეცნობოდა საინსტიტუტო მოვლენათა პირუთვნელ შეფასებას. მასხენდება ასეთი ფაქტი. ერთ-ერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელიც ერთი შეხედვით ვიწრო და ნაკლებად აქტუალურ პრობლემას იკვლევდა, სწრაფად მიიქცია ყურადღება და პოპულარული გახდა არა მხოლოდ ინსტიტუტის მასშტაბით. ასეთივე რეზონანსი გამოიწვია სხვა ახალგაზრდის მიერ რუტინულად მიჩნეული თემის ღრმად დამუშავებამაც. როდესაც ბატონ არჩილს ვკითხეთ, თუ რა იყო ამის მიზეზი, მან აგვიხსნა, რომ ეკონომიკურ პრობლემას აქტუალობასა და პოპულარობას სძენს არა მარტო მისი მნიშვნელობა, არამედ კვლევის სიღრმე და მიღებული შედეგების განზოგადების მასშტაბები, ხოლო თვით მრავალგზის „გადაღებილი“ და უკვე ნაკლებად საინტერესოდ მიჩნეული თემა ნიჭიერი და შრომისმოყვარე მეცნიერის ხელში „ოქროს საბადოდ“ იქცევაო. ეს ყველაფერი ჩვენთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.

მაგრამ ბატონი არჩილი ავტორიტეტი იყო არა მხოლოდ ახალგაზრდობისათვის – მის გარშემო იკრიბებოდა და უშურველ რჩევას იღებდა ყველა თაობის ეკონომისტი, ვისთვისაც ძვირფასი იყო მეცნიერული იდეალები.

არჩილ თეთრაული მასხენდება როგორც შესანიშნავი ორატორი და სამეცნიერო დებატების უბადლო ოსტატი. ინსტიტუტში საჯაროდ იხილებოდა მისი მორიგი მონოგრაფია გაფართოებული კვლავწარმოების პრობლემებზე, რომელსაც ასპირანტებიც ვესწრებოდით. ბატონი არჩილის გამოსვლა იყო მეცნიერული პოლემიკით დასუნილი, შთამბეჭდავი და დამაჯერებელი. ოპონენტებმა კი მას შედეგ, რაც ნაშრომის ღირსებებს შეეხნენ, უკვე რიხიანად, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ჩვენი სათაყვანებელი უფროსი მეგობარი. შეშინებულებმა შეშფოთებით გადავხედეთ მას. ის კი მშვიდად ისმენდა და ჩანაწერებს აკეთებდა. და აი დადგა ბატონი არჩილის გამოსვლის უამრავი საპასუხო სიტყვა იმდენად დამაჯერებელი, არგუმენტირებული და გამანადგურებელი იყო, რომ ახლა უკვე ოპონენტების მიმართ აღვივსეთ სიბრალულის გრძნობით. ბატონი არჩილის საჯარო გამოსვლები ცოცხალი სკოლა იყო ყველასათვის, ვისაც ორატორული ხელოვნების დაუფლება სურდა.

არ შეიძლება არ გავისხენო არჩილ თეთრაული, როგორც ერთი მხრივ, უადრესად პრინციპული პიროვნება, ხოლო მეორე მხრივ, კომპრომისებისა და კონფლიქტების მოგვარების დიდოსტატი, რაც კომუნისტური კონფორმიზმის ეპოქაში განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებსა და ძალისხმევას მოითხოვდა. იგი ათავსებდა სხვათათვის შეუთავსებელს – უმნიშვნელო დამობების ფასად ყოველთვის ბოლომდე შეუპოვრად იცავდა მეცნიერების ინტერესებს და, როგორც წესი, ყოველთვის იმარჯვებდა. იმავდროულად კი ახერხებდა, თვით შეურიგებელ მოწინააღმდეგებთანაც კი მშვიდი კოლეგიალური ურთიერთობები შეენარჩუნებინა.

ასეთად დარჩა ბატონი არჩილი ალბათ არა მხოლოდ ჩემთვის, როგორც უხინჯო პიროვნება და დიდი მეცნიერი. დარწმუნებული ვარ, მის მრავალმხრივ სამეცნიერო მემკვიდრეობასა თუ ადამიანურ ღირსებებში ყველა, ვინც ახლოს იცნობდა მას, თავის აღმოჩენებს კიდევ ერთხელ გააკეთებს.

ილია (აზიკო) სისვაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

არჩილ თეთრაული

ძნელია ემოციების გარეშე ისაუბრო ადამიანზე, რომელიც იყო შენი პედაგოგი და პიროვნება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შენს პიროვნულ ჩამოყალიბებაში.

პროფესორი არჩ. თეთრაული გავიცანი 1986 წელს. ის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვიკითხავდა მაკროეკონომიკის სპეცურსს. მისი ყოველი ლექცია იყო შინაარსიანი, საინტერესო პრობლემებით დატვირთული. ბ-ნი არჩილი ერთი შეხედვით მკაცრი გამოსხდვისა იყო, თუმცა უადრესად კეთილშობილი და თბილი პიროვნება.

მისი განსაკუთრებული ადამიანური თვისებები ნათლად გამოჩნდა იმ რთულ პერიოდში, რომელსაც მე-20 საუკუნის 90-იანი წლები ჰქვია. მან მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა დააარსა კერძო უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა. სწორედ ამ სასწავლებელში დაასაქმა მან ათობით უმუშევარი პროფესორ-მასწავლებელი და მეცნიერი. დიახ, რომ არა არჩილ თეთრაული, ძალიან ბევრ მეცნიერს ელემენტარულად გაუჭირდებოდა ოჯახის გამოკვება. მეც, როგორც ყოფილ სტუდენტს, გამიწია რეკომენდაცია, რათა ვყოფილიყავი ყველაზე დიდი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო შემდეგ ამავე ფაკულტეტის დეკანი. სწორედ ბატონ არჩილთან მიღებულმა გამოცდილებამ მეტწილად განაპირობა, ის რომ წლების განმავლობაში არ გამჭირვებია პაატა გუგუშვილი სახ. უნივერსიტეტის და ბოლოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მართვა. მან ასევე დაასაქმა ჩემი სტუდენტი და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენს ოჯახს.

საოცარი იყო ბატონი არჩილი სტუდენტებთან ურთიერთობისას. არ მახსოვს, თუნდაც ერთი შემთხვევა, როცა მას არ გაეთვალისწინებინოს მათი თხოვნა, არ გაეთავისუფლებინოს, ან არ გაენახევრებინოს ისედაც მიზერული სწავლის გადასახადი. მას უყვარდა სტუდენტობა და როცა სტუდენტს უარყოფით შეფასებას უწერდნენ ძალიან განიცდიდა.

ძალიან ადრე წავიდა ამქვეყნიდან ბატონი არჩილი. მას შემდეგ კიდევ მრავალი მეცნიერული შრომებით გაემდიდრებინა ეკონომიკური ლიტერატურა.

ასეთი იყო ჩემთვის სტუდენტისა და შემდეგ თანამშრომლის თვალით დანახული არჩილ თეთრაული. მისი სახელი ყოველთვის დარჩება ჩვენს გულში.

ჯამლექ ჯანჯღავა

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

არჩილ თეთრაული – კაცი – „გადამრჩენელი“

არჩილ თეთრაული გავიცანი 1977 წლის შემოდგომაზე, როდესაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული, ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. მაშინ ბატონი არჩილი ძალზე „მკაცრ“ პიროვნებად

მომეჩვენა, რასაც მისი იერიც განაპირობებდა. თუმცა შემდგომში, როდესაც მეც დავიწყო მუშაობა ინსტიტუტში, მის მიმართ დიდი პატივისცემით განვიმსჯელე, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც უშუალო ურთიერთობაში დავრწმუნდი, რომ ბატონი არჩილი სულაც არ იყო „მკაცრი“, ის – დიდად ერუდირებული მეცნიერი და გარკვეულწილად ამბიციური – იყო თბილი, სამართლიანი და მომთხოვნი კაცი. შეხვედრისას ყოველთვის ინტერესდებოდა ჩემი მდგომარეობით, თუ როგორი წარმატებები მქონდა სამეცნიერო მუშაობაში და რამე დახმარება ხომ არ მჭირდებოდა მისგან. ასეთ გულისხმიერ და ახალგაზრდების-მოყვარულ მეცნიერს იშვიათად შეხვედრივარ.

არიან ისეთი მეცნიერ-ეკონომისტები, რომლებიც სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, წარმატებით ართმევენ თავს ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ერთ-ერთი ასეთი „მიმე“ გამოწვევის წინაშე დავდექით ყველა, როდესაც მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდი. ასეთ დროს ბატონმა არჩილ თეთრაულმა გამოიჩინა „პიპერაქტიურობა“, შეუპოვრობა და დიდი ორგანიზატორული ნიჭი, შექმნა რა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა – საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისა და სამართლის სპეციალისტების, ასევე უამრავი სკოლადამთავრებული ახალგაზრდის ფიზიკურ და სულიერ გადარჩენაში, საბაზრო ეკონომიკის თეორიის შესწავლა-გავრცელებაში. დიას, ამ ბუმბერაზმა პიროვნებამ, გამოამჟღავნა რა დაუოკებელი აქტიურობა და თავგანწირვა, მოახერხა და შეძლო ის, რაც ერთეულთა ხვედრია – ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი კაპიტალიზმის განვითარებას ქართულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

როგორ არ უნდა ვიყო ბატონი არჩილის მადლიერი, როდესაც სწორედ მისი მეშვეობით გადავიტანე მეოცე საუკუნის 90-იანი წლების „შავბნელი“ პერიოდი, მან ხომ ლექტორად მიმიწვია თავის მიერ დაარსებულ სასწავლებელში და შესაძლებლობა მომცა, სამეცნიერო მუშაობა შემეთავსებინა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან, ამასთან, დიდი დახმარება გამიწია ჩემი პირველი წიგნის „საბაზრო ეკონომიკისა და მარკეტინგის საფუძვლები“ და სალექციო მასალების გამოცემაში. ჩემს გარდა, ბატონმა არჩილმა კიდევ ბევრი ჩემი კოლეგა გადაარჩინა რეალურ საფრთხეს, რომელიც ჩვენს ფიზიკურად არსებობას შეექმნა. ამიტომ ჩემთვის არჩილ თეთრაული ის კაცია, რომელიც უჭკველად იმსახურებს „გადამრჩენელის“ ეპითეტს.

ნარიმან ტერაშვილი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის
მთავარი ექსპერტ- აუდიტორი, ეკონომიკის დოქტორ

თვალსაჩინო მეცნიერი, ღირსეული პიროვნება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყო ამავე ინსტიტუტის კვლავწარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის (შემდგომში აღწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის) განყოფილებაში, რომელსაც ბატონი არჩილ თეთრაული ხელმძღვანელობდა. მან გულთ-

ბილად მიმიღო და აღნიშნა, რომ მე ვიყავი ამ განყოფილების პირველი ქალი თანამშრომელი. შემდგომ წლებში შემოგვემატნენ თამარ თაფლაძე (ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი) და იზა ნათელაური (ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე). ათი წელი ვიმუშავე აღნიშნულ განყოფილებაში უმცროსი მეცნიერთანამშრომლის, მეცნიერთანამშრომლის და უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობებზე. ყოველთვის ვგრძნობდი ბატონი არჩილის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას.

ერთი შეხედვით თითქოს მკაცრი ადამიანი, უაღრესად ყურადღებიანი, სამართლიანი, თავისი საქმის პროფესიონალი და განყოფილების წევრებზე მზრუნველი ადამიანი ბრძანდებოდა. ის წლების მანძილზე გახლდათ ჩემი წლიური სამეცნიერო ნაშრომის შემფასებელი და მისი დიდი დამსახურებაა, რომ მუშაობის დაწყებიდან 3 წელიწადში მოვამზადე და მალევე დავიცავი სადისერტაციო ნაშრომი. ამავე პერიოდში განყოფილებაში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ნოდარ ულუმბერაშვილმა (აწ. გარდაცვლილი) და ილია ზაქარიაძემ (კასპის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე), ხოლო სადოქტორო დისერტაციები ვლადიმერ პაპავამ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი) და თეიმურაზ ბერიძემ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი). ჩვენს განყოფილებაში მუშაობდნენ ბატონი იური კაპანაძე, სიკეთით და სიყვარულით სავსე პიროვნება. განყოფილებაში იყო ჯანსაღი ფსიქოლოგიური ატმოსფერო, არ არსებობდა მტრობა და დაპირისპირება.

ბატონი არჩილი გახლდათ ნაყოფიერი მკვლევარი მეცნიერი, ის ძირითადად მუშაობდა საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების საკითხებზე, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მისი მუშაობის სფერო გახდა საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში, მაკროეკონომიკური რეგულირების თავისებურებანი და საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. მის მიერ დაწერილი სტატიები და მონოგრაფიები გამოირჩევიან ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეული ანალიზით და დღესაც საინტერესო და შთამბეჭდავია.

მისი თაოსნობით საქართველოში დაარსდა პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი – ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა. აღნიშნულმა უმაღლესმა სასწავლებელმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კადრების მომზადების საქმეში.

მას უყვარდა ახალგაზრდების წახალისება საკადრო პოლიტიკაში. ჩვენი განყოფილების თითქმის ყველა წევრი საკვანძო თანამდებობებზე მუშაობდა. მეც მენდო და სრულიად ახალგაზრდა წარმოების ეკონომიკის კათედრის გამგედ დამნიშნა. იმ ურთულეს წლებში აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი მრავალი პროფესორ-მასწავლებლის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა.

ბატონი არჩილის საქმიანობას აგრძელებს მისი შვილი, ციციხო თეთრაული, რომელიც ამავე ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელია.

ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სითბოთი გავიხსენებ ბატონ არჩილს, რომელსაც ნამდვილად დიდი ამაგი აქვს ჩემი, როგორც მეცნიერის და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

გულნაზ ერქომაიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

პროფესორ არჩილ თეთრაულის ხსოვნას

ბატონ არჩილ თეთრაულთან მე, როგორც მის ახალგაზრდა კოლეგას და იმ ხანად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფროს მეცნიერთანამშრომელს, მაკავშირებდა თბილი კოლეგიალური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც მან, ერთ-ერთმა პირველმა, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა თბილისის ბიზნესის და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა (ინსტიტუტი), რომელიც გახდა ათასობით სტუდენტის განათლებისა და ცოდნის სამჭედლო და ასობით პროფესორ-მასწავლებლის დასაქმების კერა იმ ძნელბედობის უამს. მე ამ ინსტიტუტში დოცენტი ვიყავი და აქ დაიწყო ჩემი, როგორც მომავალი პროფესორის პედაგოგიური საქმიანობა. ეს კი ბატონ არჩილის თანადგომით ხდებოდა.

იგი იყო პრინციპული, ენერგიული, ადამიანის გაჭირვების გულთან მიმტანი და სუფთა გულის კაცი. ნათელში ამყოფოს!

გონერ ურიდია

პროფესორი

ღირსეული მეგობრის, ბ-ნ არჩილ თეთრაულის ტკივილიანი გახსენება

ექვცი არ გვეპარება, რომ ბატონ არჩილის საიუბილეო 80 წლისთავი-სადმი მიძღვნილი უამრავი მოგონება, საგაზეთო სტატია, პუბლიკაცია და კრებული დაიბეჭდა, ამიტომაც ოდნავ შემცირებული ფორმით შევეცდებით წარმოვაჩინოთ მისი, როგორც განუმეორებელი პიროვნების, ღრმა მკვლევარი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის და შეუდარებელი მთის რაინდის სახე დღევანდელი გადმოსახედიდან.

დავიწყოთ იქიდან, სადაც ჩვენი გაცნობა-დამეგობრება მოხდა. ეს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, სადაც იგი უფროს მეცნიერთანამშრომლიდან დაწყებული, ქვეყნისათვის ყველაზე წამყვანი და ურთულესი ფუნდამენტური პრობლემების შემსწავლელი განყოფილების ხელმძღვანელი იყო. მისი ამ პოსტზე მუშაობისას იგი წარმოჩინდა, როგორც აქტუალური ეკონომიკური პრობლემების შეუდარებელი მკვლევარი. განყოფილებაში, მისი მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, მისი ხელმძღვანელობით და უშუალო ავტორობით შეიქმნა და დაიწერა ფუნდამენტური ნაშრომები და გამოკვლევები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იმ პერიოდის, ისე დღევანდელი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვისაც.

ბატონი არჩილი თავის მონოგრაფიებში დიდი რუდუნებით იკვლევდა ისეთ პრობლემებს, როგორცაა: გაფართოებული კვლავწარმოების ძირითადი კანონზომიერებები, სადაც წინა პლანზე იყო წამოწეული მათი რეგიონული ასპექტები. იგი ასევე ღრმად იკვლევდა დაგროვების ეფექტიანობისა და ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოების კანონზომიერებებს საქართველოს მაგალითზე. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი ფუნდამენტური გამოკვლევები ეკონომიკური ზრდის ტემპების შესახებ. აქვე მან შეიმუშავა კვლავ-

წარმოების, ტემპებისა და პროპორციების განმსაზღვრელი ობიექტური კანონზომიერებები. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები დაგეგმვის სრულყოფის გზების და კვლავწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიურ საკითხებზე. ამასთანავე, ყველასათვის ცნობილია ის გარემოება, რომ ბატონი არჩილის გამოკვლევული მასალების თემატიკა იმდენად მრავალმხრივია და ღრმა, რომ მათი სრულყოფილი სახით წარმოჩენა წინამდებარე მოგონებაში შეუძლებელი იქნება.

ბატონი არჩილი იყო ერთგული მეგობარი, ერთგულიმოუჯახე და კაცური კაცობის სიმბოლო, რომელიც მარადისობაშიც კაცურად ჩაეწერა. ჩვენ, ყველა მისი მეგობარი, ქართველი ეკონომისტები, უამრავი მისი აღზრდილები და „დაფრთიანებულები“, ასევე ყოფილი სტუდენტები, ვალდებულები ვართ, არჩილის ხსოვნის წინაშე ქედი მოვიხაროთ და ნიშნად უღრმესი პატივისცემისა, მის მიერ გაწეულ მადლს რაღაცა ფორმით უპასუხოთ და პატივი მივაგოთ მის მართლაცდა განუმეორებელ პიროვნებას და თუ არა, სანთელი მაინც ავუნთოთ ხოლმე. ამ ჭეშმარიტებაში, რასაც ახლა ვმბობ ყველა დამეთანხმება, რომ მან მართლაც უამრავი მადლი და სიკეთე დათესა და ამ მადლის ჩვენს შორის მიმღები საკმაოდ მრავლად არიან, რასაც კიდევ უფრო მეტად დაფასება და თანადგომა უნდა.

ბატონ არჩილს, როგორც მეკვლევარ მეცნიერ ეკონომისტს ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია ქართული ეკონომისტების კოჰორტაში. იგი ისეთი ცნობილი მეცნიერების მხარდამხარ მოღვაწეობდა, როგორებიც იყვნენ: პაატა გუგუშვილი, აუთანდილ გუნია, ვალერიან მელქაძე, ირაკლი მიქელაძე, გიორგი პაპავა, გიორგი წერეთელი, ვახტანგ კახეთელიძე, ბექირბი ხასია და სხვები.

ბატონი არჩილი რომ დიდი შემოქმედი მეცნიერი იყო, ამის თვითმხილველები და მომსწრეები ჩვენც ვართ, როდესაც სამეცნიერო საბჭოზე თუ მაღალი რანგის სამეცნიერო კონფერენციებზე მისი გამოსვლები ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ინდივიდუალური მიდგომებით და ღრმა ერუდიციით. იგი საბაზრო ეკონომიკის პირობებში იმითგამოირჩეოდა, რომ აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მაკროეკონომიკის განყოფილებას, ასევე, პირველმა საქართველოში, დააფუძნა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბ-ნ არჩილის მიერ ხელდასმული მრავალი ადამიანი, ეს იქნებოდა მისი სტუდენტები, განყოფილების თუ უმაღლესი სკოლის თანამშრომლები განყოფილებიდან, უმაღლესი სკოლის ყოფილი თანამშრომლები და ასევე მრავალი სხვანი, მასზე ლოცულობდნენ იმ სიკეთისა და მადლისათვის, რაც მან გაგვიკეთა ყველას. ჩვენ ყველას ხომ მენსიერებაში შემოგვრჩა მის მიერ უხვად გაღებული სიკეთე, რასაც ასე უშურველად და უანგაროდ გაცემდა ხოლმე. ამასთანავე, ყველას გვაკვირვებდა და დღესაც გვაკვირვებს მისი, ერთი შეხედვით, თითქოსდა შეუვალი, მკაცრი მთის რაინდის ასეთი „გაუგონარი“ მზრუნველი დამოკიდებულება მის გარემოში მყოფთ მიმართ. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ იგი ყველას უყვარდა და მასაც უყვარდა ყველა. ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ იმის მომსწრეები, თუ როგორ წუხდა ყველა გაჭირვებულზე და საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე გვეხმარებოდა ყველას. ეს იქნებოდა პრემირების თუ ხელფასზე დანამატების სახით დახმარებები. ამიტომ იყო, რომ მისი გასვლა ამქვეყნიდან მწუხრი იყო არა მარტო მისი ოჯახისათვის, არამედ ყველა იმ ათასობით ადამიანისათვის, რომელთაც კი მისი მადლიანი ხელი შეეხო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ, რომ მან თავისი განუმეორებელი მადლიანი ქმედებით გადაარჩინა არა მარტო პიროვნებები, არამედ სრულიად ქართული ეკონომიკური მეცნიერებაც, რამეთუ მეცნიერ-ეკონომისტების იმდროინდელი უმძიმესი მატერიალური სიდუხჭირე

აფერხებდა ეკონომიკური მეცნიერების არათუ განვითარებას, არამედ მის არსებობა-შენარჩუნებასაც.

ღმერთს შევთხოვთ, რომ მუდამ ანათებდეს მისი ნათელი სული და სანთელ-საკმეველი უღვევი ყოფილიყოს მისი სულისათვის. და, ბოლოს, გვინდა ერთხელ კიდევ დავადასტუროთ, რომ ჩვენი საერთო მეგობარი ბ-ნი არჩილ თეთრაული ძალზე დაფასებული იყო, არის და იქნება. მას ხშირად ვიხსენებთ: მისი ყოფილი სტუდენტები, ასპირანტები, კოლეგები, მეგობრები და ქართული მოწინავე საზოგადოება.

ბ-ნ არჩილ თეთრაულს სრულიად სამართლიანად, საკმაოდ მაღალი შეფასება მიეცა სახელმწიფოსაგანაც. იგი დაჯილდოვებულია ღირსების საპატიო ორდენით.

და, ბოლოს, ერთხელ კიდევ მინდა შევეხო მის განსაკუთრებულ და წარმოჩინებულ თვისებას, რომ დახმარება გაეწია ყველასთვის, ვინც ამა

საჭიროებდა. მისი მომადლებული მადლის შესახებ მახსენდება დიდი სულხან საბას სიტყვები: „მადლი – ეს არის, რომელმაც არც ნაცვლიგებისათვის, არც მოყუარობისათვის, არც შიშისათვის, არც სიყვარულისათვის კეთილი და ქველი საქმე ქნას”.

ღმერთი იყოს ბატონი არჩილის და მისი შესანიშნავი ოჯახის მფარველი და შემწე.

ა. სხირტლაძე

საერთაშორისო ფონდი „Family“-ს თავმჯდომარე

ბ. გვენეტაძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ბატონ არჩილ თეთრაულის გახსენება

თუკი ნამდვილი, ღირსეული ხალხი გახსოვს და გიყვარს, მაშინ შეუძლებელია არ გაიხსენო არანვეულებრივი პიროვნება, დიდი მეცნიერი, ნამდვილი პროფესიონალი და თავის საქმისადმი უზომოდ ერთგული ადამიანი ბატონი არჩილ თეთრაული - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი. ბატონმა არჩილმა დააარსა ამავე ინსტიტუტთან სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო საკონსულტაციო ცენტრი, ხოლო შემდგომ კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა საქართველოში ერთ-ერთ პირველ კერძო უმაღლეს სასწავლებელს - „თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლას“, სადაც მოწვეული ჰყავდა მრავალი გამორჩენილი მეცნიერი და პედაგოგი. ვმუშაობდი რა მის მიერ დაფუძნებულ როგორც სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საკონსულტაციო ცენტრში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში, კარგად მახსოვს და არ დამავიწყდება თუ როგორი გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო იგი ყველა თანამშრომლისა თუ სტუდენტისადმი, როგორ უხაროდა მათი წარმატება, როგორ ძალიან უყვარდა ადამიანები და ღხინში თუ გაჭირვებაში როგორი გვერდში დგომა შეეძლო.

ბატონი არჩილი ყოველთვის მემასხსოვრება როგორც, არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ, როგორც ერთ-ერთი ღირსეული პიროვნება, გამორჩეული თავისი გულისხმიერებითა და სიკეთით.

ცისნამი საბაძე

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე

ბ-ნი არჩილ თეთრაული – დიდი მეცნიერი და უანგარო პიროვნება

ბ-ნი არჩილი, განათლებით ეკონომისტი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თავის დარგის არაერთი ღირსეული მეცნიერის აღმზრდელი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მიღწევების შესახებ არაერთხელ თქმულა.

მე მინდა მისი მოღვაწეობის ის წლები გავისხენო, როდესაც, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ჟამს, ის აღმოჩნდა არაერთი გამოჩენილი თუ ახალგაზრდა მეცნიერის გვერდით. რადგან, მისი დაარსებული „თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის“ უმაღლესი სკოლა წლების მანძილზე საშუალებას აძლევდა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებს და სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებს, თავდაუზოგავად ეკეთებინათ თავისი ღირსეული საქმე – მიეცათ ცოდნა ახალგაზრდებისათვის. ამასთან, მათი დასაქმება იმხანად, მძიმე, გაუსაძლისი წლების პირობებში დიდი შეღავათი იყო თითოეული თანამშრომლისთვის, რომელთა რიგებში მეც გახლდით. არაერთმა ნაცნობმა მკითხა: „ვინ მიგიყვანა?“, არადა არავინ, მე თვითონ მივედი, დისერტაცია ჯერ დაცული არ მქონდა, ამიტომ ძალიან ვღელავდი, დაველაპარაკე და პირდაპირ განცხადების დასაწერად გამიშვა. ასე მარტივად მიღებას არ მოველოდი, გაოცება, ეტყობა, სახეზე მეწერა, ახალგაზრდებს ხელის შეწყობა გჭირდებათო, – მითხრა და ჩემთან საუბარი ამით დაასრულა.

ბ-ნი არჩილს საუბარი და ხმაც გამორჩეული ჰქონდა. წლების მანძილზე სულ რამდენჯერ შევხვდი, მეტად სათუთი ბუნების ყოფილა, ერთხელ შეხვედრისას, იმხანად გამოსული მისი ქალიშვილის ლექსების კრებული ვახსენე, ერთი-ორი ლექსიდან ციტირება გავაკეთე, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ლექსი სიღრმისეულად გააზრებული ჰქონდა, ციტატები თვითონაც შემომამშველა. საოცრად სათუთად საუბრობდა პოეზიაზე და მის ქალიშვილზე. გამაკვირვა, პოეზია როგორ ძალიან ჰყვარებია...

თავისი საქმიანობით ბ-ნი არჩილი ნამდვილად უხმოდ ემსახურებოდა თავის ქვეყანას. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეკონომიკის მეცნიერების განვითარებისათვის. მისი დამოკიდებულება თავისი საქმისადმი, ერთგულება ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდის საქმეში, კოლეგებისადმი პატივისცემა და თანადგომა, ნამდვილად მისაბაძია.

სამუდამოდ იყოს ბ-ნი არჩილის ხსენება, ის მუდამ დარჩება კოლეგების, ახლობლების, მის მიერ აღზრდილი თაობების ხსოვნაში, როგორც მოყვა-

სისადმი გამორჩეული ერთგულების ნიჭით დაჯიღობული უანგარო ადმიანი, სინდისიერების მაგალითი.

მანანა დარჩაშვილი

პროფესორი, ისტორიის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

ბატონ არჩილ თეთრაულის ხსოვნას

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში გასული საუკუნის 70-იან წლებში მოსულ ახალგაზრდობას დაგვხვდა ეკონომიკის დარგში რჩეულთა შორის რჩეული მეცნიერები, პედაგოგები და აღმზრდელები, რომლებმაც გზა გაგვიკაფეს ჩვენს შემოქმედებით ასპარეზზე, პედაგოგიურ, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, მათგან ერთ-ერთი იყო არჩილ თეთრაული, ახალგაზრდობის უზომოდ მოყვარული და ერთგული მეგობარი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიზარდა უმწიკვლო მამულიშვილები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. იგი იყო პრინციპული, მომთხონი, განათლებული.

წარმოშობით თიანეთელს, ახასიათებდა ამ კუთხის ყველა თვისება. მიუღებელ რამეს თუ ვინმეს შეამჩნევდა, სიღინჯე შერეული სიფიცხით საკადრისს მიუზღავდა, ვერ იტანდა ვინმეს დაჩაგვრას და ვინმესადმი უსამართლო დამოკიდებულებას.

მისი მუდმივი ზრუნვა ახალგაზრდობისდმი იმაშიც გამოვლინდა, რომ 90-იან წლებში მის მიერ ჩამოყალიბებული სასწავლო ინსტიტუტი, ინსტიტუტთა შორის პირველ ხუთეულში შედიოდა. იგი ქართული ეკონომიკური საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პრინციპული, განათლებული და შრომის მოყვარე ადამიანი. მისი იმდროინდელი ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი უამრავი ნაშრომი ღრმა მეცნიერული დონით გამოირჩეოდა.

ბატონი არჩილი ერთდროულად ეწეოდა სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იმსახურებდა მის გარშემო მყოფთა უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას.

საბჭოთა სისტემის დროს ინსტიტუტში განყოფილებებს შორის სოც შეჯიბრი იმართებოდა, ბატონი არჩილი თავისი განყოფილების თანამშრომლებზე, ისეთ მხარდაჭერას და მოთხოვნას იჩენდა, რომ ხშირ შემთხვევაში მისი განყოფილება მოწინავეთა შორის იყო, მისი განყოფილების წევრები წამახალისებელ პრემიებს რომ მიიღებდნენ, ძირითადად მისი დამსახურება იყო და მას დიდ სიამოვნებას და ბედნიერებას ანიჭებდა..

ბატონი არჩილი მარად ემახსოვრება მის თანაგუნდელებს და იმ თაობას, რომლის აღზრდაში მან დიდი წვლილი შეიტანა.

ეთერ კაკულია

ეკონომიკის დოქტორი

ბატონ არჩილის მოგონება

ბატონი არჩილი! საოცრად თბილი ადამიანური და სიკეთით სავსე პიროვნება, რომლის დავიწყება ჩვენს ცნობიერებაში წარმოუდგენელია, რადგანაც მან შთამბეჭდავი და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს მესსიერებაში როგორც სიკეთის, სათნოების და მზრუნველობის დიდმა მაგალითმა. სულ პატარა გოგონები ვიყავით, როდესაც სამსახურში მიგვიღო და დაგვასაქმა. ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა ჩვენს გამოუცდელობაზე, რადგანაც მისთვის დიდი სიამოვნება გახლდათ ახალგაზრდებთან ურთიერთობა, მათთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, გზაზე დაყენება და კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა. სწორედ, მისი წყალობით ჩამოვყალიბდით განათლებულ, საქმიან და რაც მთავარია კარგ პიროვნებებად. პრაქტიკულად, ბატონმა არჩილმა დაანგრია მითი და კერძო განათლების საუკეთესო კერა, ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა დაარსა. სწორედ აქ აღიზარდნენ თაობები, მიიღეს საუკეთესო განათლება და მეცნიერულ საქმიანობაშიც გარკვეული სიტყვა თქვეს.

წარმოუდგენელია არ გავისხენოთ მისი მამობრივი მზრუნველობა თითოეული ჩვენთაგანის მიმართ. ადამიანი, რომელიც მუდმივად ინტერესდებოდა ჩვენი ცხოვრებით, თუ რა გვიჭირდა და გვიღებდა. შესაბამისად, მუდამ მხარში გვედგა და შესაბამისად გვეხმარებოდა. მისი დარიგება ხომ უტყუარი გახლდათ ხოლო თანადგომა განუმეორებელი, იმედია და ძლიერი. საქმიანი და დაკავებული გახლდათ ბატონი არჩილი, მაგრამ ყოველთვის გამოძებნიდა დროს გულისყურით მოესმინა და შეხვედროდა სტუდენტს, რომელსაც უკიდურესი გაჭირვების გამო სწავლის საშუალება არ ქონდა. აღელვებულ სტუდენტს საოცარი გამოიმეტყველებით უსმენდა, სიღრმისეულად აცნობიერებდა მის თითოეულ სიტყვას, ზუსტად ჩაწვდებოდა ტკივილს და აღელვებულ სტუდენტს საოცარი სიტყვებით დაამშვიდებდა და ყოველგავრი ფიქრის გარეშე სწავლის გადასახადისაგან ათავისუფლებდა. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა, პრაქტიკულად, განათლებას ისინი მიზერული თანხის საფასურად იღებდნენ და სწორედ ამიტომ უმაღლესში ტევა არ იყო სტუდენტების. ფართოდ გაიშალა და ლამის მთელი ქალაქი მოიცვა წარმატებულმა და ძლიერმა ინსტიტუტმა. წლები, რომელიც უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში, პრაქტიკულად გაჩერებული გახლდათ ეკონომიკა, უმუშევრობა მიმინვარებდა და სწორედ ამ დროს შექმნა ამ ადამიანმა ბუმბერაზი სისტემა და დაასაქმა ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ხოლო მეცნიერებს საშუალება მისცა მათი ცოდნა და გამოცდილება უშურველად გადაეცათ ახალგაზრდა თაობისათვის ზუსტად იცოდა ბატონმა არჩილმა, რომ სიკეთე ღვთის ბოძებელია, რომელიც მას და მის ოჯახს წინ დახვდებოდა, ის ხომ სიკეთის საწყისი და მატარებელი გახლდათ, კაცი რომელიც უკან არასოდეს იხევდა და ძნელებლობის ჟამს საოცარი შემართებით ართმევდა ნებისმიერ პრობლემას თავს. არასოდეს უღალატია კოლეგებისა და მეგობრებისათვის, იმ ადამიანებისათვის ვისაც მისი მხარდაჭერის იმედი ქონდა. სწორედ ამ თვისებების გამო გახლდათ გამორჩეული სხვებისაგან. არაორდინალური და საინტერესო, სურპრიზებით სავსე პიროვნება. უამრავ სიკეთესთან ერთად იგი მეცნიერი გახლდათ ეკონომიკის დარგში, პროფესორი, აკადემიკოსი, არ არსებობდა სფერო და საკითხი რომელიც მას სიღრმისეულად არ სცოდნოდა, ფილოსოფიურად აზროვნებდა და დიაგნოზიც შესაბამისად უტყუარი გახლდათ. უამრავი წიგნის და სახელმძღვანელოს ავტორი არ იშურებდა არანაირ ფინანსებს და სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საგამომცემლო საქმიანობას წარნატებით უძღვებოდა.

დღესაც უმაღლესი სასწავლებლის თაროებს ისევ ამშვენებს მისი თაოსნობით და რედაქციით გამოცემული სასწავლო ლიტერატურა. შეუძლებელია არ გავიხსენოთ ფილიპ კოტლერის მარკეტინგის საფუძვლები, რომელმაც პრაქტიკულად ფურორი მოახდინა საგანმანათლებლო სივრცეში. საგანმომცემლო საქმიანობით ბატონმა არჩილმა გზა გაუხსნა მეცნიერებს და საშუალება მისცა დაეხმობოდნენ და გამოეცათ სალექციო კურსი სტუდენტებისათვის, იმ პერიოდში როდესაც სახელმწიფო მანქანაც კი ვერ ახერხებდა ამ საქმიანობის წარმართვას. მაგრამ მთავარი ცენზი, რომელიც მას გვირგვინად ედგა ეს მისი ადამიანური და კაცური ღირსება გახლდათ. შესანიშნავი მეუღლე, არაჩვეულებრივი მამა, მოსიყვარულე ბაბუა, პატრიოტი რომელსაც უყვარდა სამშობლო. კაცი რომელსაც უყვარდა მისი ქალაქი, და კაცი, რომელიც ასე დააკლდა ქალაქს.

ია გუგუნავა, ელენე სამხარაძე,
მარინა ხიდუშელი, ლეილა ბიბილაშვილი

პროფესორ არჩილ თეთრაულის იუბილესათვის

ბატონი არჩილ თეთრაული იმ ღირსეულ მეცნიერთა შორის მოიხსენიება, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა მეცნიერულ აღზრდაში. მისი ნიჭიერების, პრინციპულობისა და კეთილშობილების შედეგია მოღვაწეობა ეკონომიკური განათლების დონის ამაღლების, ბიზნესისა და მარკეტინგის საფუძვლების დაუფლებისათვის, რაც ეკონომიკური განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა 1990-2000 წლებში. იგი მოღვაწეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიმართულებით როგორც თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის რექტორი და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რომელიც იკვლევდა და ასწავლიდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებებს საქართველოში სტუდენტებისა და ასპირანტების მრავალ თაობას.

უდიდესი და შთამბეჭდავია ბატონი არჩილ თეთრაულის როლი და მოღვაწეობა თანამშრომელთა დასაქმების გაუმჯობესებასა და საბაზრო პროცესების კვლევის უახლესი მეცნიერული მეთოდებით უზრუნველყოფაში. ამით მან, ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებთან ურთიერთშესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარდაქმნაში.

ბატონმა არჩილ თეთრაულმა ნათელი ხსოვნა დატოვა როგორც კეთილმა და ნიჭიერმა თანამშრომლების მოამაგემ, ასევე ახალგაზრდების აღმზრდელმა და თავისი მეცნიერული მიზნების განხორციელებისათვის მებრძოლმა მეცნიერმა.

მარინე ცუცქირიძე

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ჩემი ძვირფასი მამა და უნიკალური პიროვნება

ძალიან მიმიძივს მამაზე წარსულ დროში წერა და ლაპარაკი. ის დღემდე ჩემი მოუშუშებელი და სისხლმდინარე ჭრილობაა. იგი ბრწყინვალე და უნიკალური პიროვნება იყო, დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი, უადრესად კაცთმოყვარე. იგი ცხოვრობდა პრინციპით „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. და შემოიძლია ვთქვა, რომ მას მოყვასი უფრო უყვარდა, ვიდრე საკუთარი თავი. ვინც კარგად იცნობდა დამეთანხმება, რომ სხვის ინტერესს ხშირად საკუთარზე წინ აყენებდა. მამასთვის თავისი სამეცნიერო საქმიანობა და სამსახური ნომერ პირველ ადგილზე იყო. იგი უდიდესი თავდადებითა და რუდუნებით ასრულებდა თავის საქმეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მივიდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სამუშაოდ და სიცოცხლის ბოლომდე ამ ინსტიტუტის ერთგული დარჩა. ბუმბერაზმა მეცნიერმა, ბატონმა პაატა გუგუშვილმა უდიდესი როლი ითამაშა მისი, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში. პატარა ვიყავი მაგრამ მამას საკანდიდატო დისერტაციის დაცვას მეც ვესწრებოდი. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ბატონი პაატა აღფრთოვანებული იყო არჩილ თეთრაულის ნაშრომით. მან სინანულით აღნიშნა, „უფლება რომ გვქონდეს არჩილ თეთრაულის დისერტაცია ნამდვილად იმსახურებს, რომ პირდაპირ დოქტორის ხარისხი მივანიჭოთ“. იგი ძალიან გახარებული და ბედნიერი იყო არჩილის წარმატებით. მამა მთელი ცხოვრება დიდი სიყვარულითა და სითბოთი იყო გამსჭვალული თავისი დიდი მასწავლებლის მიმართ. მან დიდი პაატა გუგუშვილის სკოლა გაიარა და მუდამ ამაყოფდა ამით. მეც ვამაყოფ, რომ უშუალოდ ვიცნობდი ბატონ პაატა გუგუშვილს და რომ მამას ასეთი ღირსეული მასწავლებელი ჰყავდა.

არჩილ თეთრაულმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მეცნიერებას მიუძღვნა. ბევრი შემოთავაზება ჰქონდა სხვადასხვა სამსახურებიდან, მაგრამ არსად არ გადასულა. თავისი რაიონის – თიანეთის რაიონის მდივნობაც რომ შესთავაზეს, ცოტა კი დაფიქრდა, მაგრამ ბევრი არ უყოყმანია და უარი თქვა. ის ვერ მოსწყდებოდა თავის მოწოდებას – მეცნიერულ კვლევა-ძიებას. მისთვის ეს ინსტიტუტი ტაძარივით იყო. მისი კედლებიც კი უყვარდა. რამდენჯერ 200-ზე მეტი ჰქონია წნევა, ვთხოვდით მე და დედა სახლში დარჩენილიყო, მაგრამ წამალს დაღვედა და სამსახურში გარბოდა. რამდენჯერ მიაძახა დედამ კარებში „სად მიდიხარ, სადმე ქუჩაში წაიქცევო“, მაგრამ მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. რამდენჯერ დასთენებია როცა წერდა და მუშაობდა. ღამეებს ათენებდა მუშაობაში. დილით კი ისევ სამსახურში მიდიოდა. შრომობდა თავდადებითა და თავგანწირვით. თავისი საქმისთვის შეწირული ადამიანი იყო მამა. მიუხედავად იმისა, რომ მამა ასეთი ჩაფლული იყო სამუშაოში მაინც უადრესად ყურადღებიანი და მზრუნველი იყო ოჯახის მიმართ. როცა სკოლაში ვსწავლობდი, მშობელთა კრებებზე სულ მამა დადიოდა. ლამის მთელი სკოლა იცნობდა. ბავშვობიდან ვწერ ლექსებს და ხშირად ვმონაწილეობდი მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში. როცა ვიმარჯვებდი და სიგელებს ვიღებდი, მამა სიამაყით უჩვენებდა ყველას. „ბრწყინვალე გოგო ხარო მეუბნებოდა“ და სულ სტიმულს მაძლევდა. როცა ერთ-ერთ შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებულთა ლექსებიდან ჩემი რამდენიმე ლექსი დაბეჭდა ჟურნალისტმა ნარგიზა მგელაძემ პრესაში, მამა ძალიან იყო გახარებული და სათუთად ინახავდა პუბლიკაციას საქალაქოში. მომთხოვნიც იყო. ოთხიანის მიღების უფლება თითქმის არ მქონდა, თუ მივიღებდი ლამის ტრაგედიად აღიქმებოდა. მამისადმი მაქვს მიძღვნილი რამდენიმე ლექსი და მომავალშიც დავწერ, მაგრამ ამ საიუბილეო სადამოსთვის ჩემი ძვირფასი მამის პატივსაცემად დავწერე ლექსი, რომელსაც ამ ჩემს მოგონებაში შემოგთავაზებთ.

მამა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა, პარალელურად კითხულობდა ლექციებს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. შესანიშნავი ლექტორი და ორატორი იყო. უყვარდა საჯარო გამოსვლები და დისკუსიები. თავის აზრს ყოველთვის სიღრმისეულად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გადმოსცემდა. ძალიან მიყვარდა მისი მოსმენა. არავის ახსოვს მისგან „გამწარებელი“ სტუდენტი. მახსოვს ყვებოდა, გეპეიში (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) იყო ე.წ. „მძიმე“ ჯგუფები, უმეტესობა ბიჭები სწავლობდნენ და ბევრი ლექტორი გააქციეს, თითქმის ყველა უარს ამბობდა იმ ჯგუფებში შესვლაზე, მოგეხსენებათ, მაშინ იყო დიდი ნაკადები და ზოგან შეუძლებელი ხდებოდა ლექციის ჩატარება. დეკანატმა სთხოვა ასეთ ჯგუფებში შესულიყო. უარი არ უთქვამს მამას და წარმატებით გაართვა თავი ამ საქმეს. არჩილ თეთრაულმა მრავალ ახალბედს გაუკვალა გზა და მხარში დაუდგა. მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ 1991 წელს დააარსა პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი, „თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა“. მან უდიდესი შრომა და ენერჯია შეაღწია ამ უმაღლესს. დაასაქმა უამრავი თავისი კოლეგა და ანაზღაურების მაქსიმუმს უხდიდა. სწავლის საფასური კი ძალიან ხელმისაწვდომი დააწესა. იგი იყო ყველასათვის საყვარელი და სათაყვანებელი რექტორი სიცოცხლის ბოლომდე. ეს უმაღლესი მისი მეორე შვილივით იყო. მეც და მთელი ჩვენი ოჯახი მხარში ვედექით ამ დიდ საქმეში და ვმუშაობდით დიდი ენთუზიაზმით. ისე ენერჯულად და თავდაუზოგავად მუშაობდა მამა როგორც სწავლა და კოლეგებმა სიყვარულით „რკინის კაცი“ შეარქვეს. ამ უმაღლესმა მრავალი მაღალკვალიფიციური კადრი მოამზადა. ისინი ძალიან საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობენ. ბევრთან მაქვს კონტაქტი და მიხარია მათი წარმატება. არიან ელჩები, მოსამართლეები, მუშაობენ სხვადასხვა სამინისტროებში და ძალოვან უწყებებში. არჩილ თეთრაულმა თავისი ეს დიდი მონაპოვარი უმშურველად და ვაჟკაცურად უწილადა ყველას. სრულიად უცხო მრავალი ადამიანი დაასაქმა და ხელი გაუმართა. ეს სასწავლო სისტემა, თავისი ძირეული საქმიანობის გარდა, სხვათათვის სიკეთის კეთების იარაღად გამოიყენა, და არა საკუთარი თავისა და ოჯახის კეთილდღეობისთვის. მახსოვს, გეპეის პროფესორმა ბატონმა ვალიკო დათუკიშვილმა თქვა ერთხელ „გაზეთში სტატია უნდა დაგებულყო, რომ არჩილ თეთრაულმა უმძიმეს პერიოდში ინტელიგენცია შიმშილს გადაარჩინაო“, რაც სრული სიმართლე იყო. რაოდენ სამწუხაროა, რომ კერძო უმაღლესები, რომელთაც თავისი ნიშა ეკავათ და ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდნენ მიზეზთა და მიზეზთა გამო დაიხურა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგობობდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

არჩილ თეთრაული მუდამ მზად იყო სხვისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. მუდამ მზად იყო ძირს დაცემული წამოეყენებინა და მუდამ მზად იყო გულთბილად ჩამოერთმია ყველასთვის ხელი. მე ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისით და ჩემთვის არა მარტო მამა, უდიდესი ავტორიტეტი იყო. წინა საიუბილეო დღეებში ბევრ მის მეგობარს შევეხმიანე და ვივარძენი, რომ ყველამ იცის მისი ფასი და დიდი სიბოთი და სიყვარულით იხსენებდნენ.

ბატონმა რეზო კაკულიამ მითხრა „შენ კიდევ არ იცი მამაშენი ვინ იყოო“. ბატონმა რეზო დაწერილ მოგონებას მამაჩემზე, ჯერ კიდევ დაბეჭდვამდე გავეცანი და უდიდეს მადლობას ვუხდი ამ შესანიშნავ ადამიანს. მადლობა, რომ ასე უყვარდა თავისი მეგობარი და ასე აფასებდა – არჩილ თეთრაულს რომელ სფეროშიც არ უნდა ემოღვაწევა, თავისი ნიჭიერებისა და თავდადების წყალობით ყველგან იტყოდა თავის სიტყვას და კვალს დატოვებდა. ჩემთვის ნათქვამი აქვს, სკოლა რომ დაამთავრა, თურმე ვიღოსოფის ფაკულტეტზეც ფიქრობდა ჩაბარებას, სამხედრო აკადემიაზედ უფიქრია, მაგრამ

ბოლოს ეკონომისტობა არჩია. ის ყველა საკითხს ფუნდამენტურ და ფილოსოფიურ ჭრილში აფასებდა. თეორიულად მოაზროვნე ადამიანი იყო. მისმა მეგობარმა ბატონ გია მაღლაშვიამ ჩემთან ლაპარაკში აღნიშნა, რომ „ჩემი წიგნი „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ ყველაზე კარგად არჩილმა გაიგო.“ მამას ძალიან უყვარდა ხელოვნება, ლიტერატურა, პოეზია, მუსიკა, კინო და თეატრი. ჰეროიკული ჟანრი ხიბლავდა. როცა დრო ჰქონდა დავდიოდით კინოში და თეატრში. ძალიან უყვარდა ვაჟა-ფშაველა, შექსპირი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევ ტოლსტოი, კონსტანტინე გამსახურდია, ჰიუგო. მსახიობებიდან აკაკი ხორავას აღმერთებდა. თეატრში ოტელოს როლში ჰყოლია ნანახი და აღფრთოვანებული იყო. ზ. ფალიაშვილის „დაისი“ ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით მისი უვერტიურა. ფილოსოფიას ხშირად კითხულობდა. მე ფილოსოფიის კატეგორიებს ლამის დაწყებით კლასებში რომ ვიყავი მაშინ მისწინდა ხოლმე, რადგან დედა მინიმუმის საგნებს რომ აბარებდა ფილოსოფიაში მეცადინეობდა, მეც მესმოდა და მაინტერესებდა. დედასაც არ ჰქონდა ოთხიანის მიღების უფლება, მინიმუმის ჩაბარების დროს ეუბნებოდა „კარგად უნდა მოემზადო, ჩემი ცოლი ხარ და სირცხვილია მაღალი ნიშანი არ მიიღო“. საქმეში უაღრესად მომთხოვნი იყო. უპასუხისმგებლობას ვერ იტანდა. მასსოვს, მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი, ისტორიაში მისაღების პროგრამის საკითხებში იყო ერთი ასეთი საკითხი: „ბრეჟნევის მოხსენება ბაჟმანის საარჩევნო ყრილობაზე“ – ეს საკითხი, რა თქმა უნდა, სკოლის პროგრამაში არ იყო, მაგრამ მისაღებზე იყო შეტანილი. აბიტურიენტისთვის მისი მოძიება არ იყო ადვილი. დედამ თქვა „რადღაც შეხვედება, სხვა ყველა საკითხი იცისო“, მაგრამ არჩილ თეთრაული რისი არჩილ თეთრაული იყო, რაიმე გამოეცოვებინა და ბოლომდე არ მიეყვანა. ბევრი ძებნის შემდეგ მაინც იპოვა ეს ყბადაღებული საკითხი და ისიც ვისწავლე. კურიოზია თუ ბედის ირონია, გამოცდაზე როცა ბილეთი ავიღე და საკითხი წავიკითხე, ერთ-ერთ საკითხად სწორედ ის საკითხი იყო „ბრეჟნევის მოხსენება ბაჟმანის საარჩევნო ყრილობაზე“. თვალებს არ ვუჯერებდი. იმ წუთში მამას გულში მაღლობა ვუთხარი ასეთი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის. სხვა საკითხებს რომ ვუპასუხე და ამ საკითხის მოყოლა დავიწყე კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და გაცვებით აღნიშნეს „ამდენი აბიტურიენტი გამოცვადეთ და ეს საკითხი არავინ არ იცოდაო“. რა თქმა უნდა, ხუთიანი მივიღე. შეიძლება ამ საკითხის არცოდნის გამო არც დაეკლოთ ნიშანი, რადგან, წესით, არ უნდა ყოფილიყო მისაღების პროგრამაში, მაგრამ როგორ გადაწყვეტდნენ ამის განჭვრეტა ძნელია. მერე მამა სულ ამას იხსენებდა: „რა კარგი გავაკეთე რომ ეს მასალაც მოგეძებნეო“. ასეთი იყო მამა. ბოლომდე იხარჯებოდა ყველაფერში, შინაურს ეხებოდა საქმე თუ გარეულს. მისი ცხოვრების გზა არ ყოფილა იკვარდით მოფენილი, ბევრი გულისტკენა და უმადურობაც უნახავს, მაგრამ მიტევების საოცარი უნარი ჰქონდა და ბოლმას გულში არასოდეს ჩაიდებდა. მისი მეგობარი წარმატებას რომ მიაღწევდა, სახლში გახარებული მოდიოდა და მის ამბავს ყვებოდა. შემიძლია დავიფიცო, რომ გულშიც კი არ გაივლებდა როგორ მაჯობა ან ჩემზე წინ როგორ წავიდაო. ის მართლა ასეთი იყო და მე არ ვარ სუბიექტური ბევრი დამეთანხმება. მან თვითონ შექმნა თავისი თავი, თავისი პიროვნება. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილ, რაიონიდან ჩამოსულ ბიჭს ვისი იმედი უნდა ჰქონოდა საკუთარი თავის გარდა. სტიპენდიით ცხოვრობდა სტუდენტობაში. მოყოლილი აქვს რომ სტუდენტობის დროს გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა თურმე. ერთი თვე საავადმყოფოში წოლიდა. მოგესხებათ, პენიცილინი მაშინ ადვილად არ იშოვებოდა და ძვირიც ღირდა. უფლის წყალობით, ღვთისნიერი ექიმი შეხვედრია და თავისი ფულით უყიდა მამასთვის წამლები. როგორც შვილს, ისე მოექცა. სულ

ახსოვდა მისი სიკეთე და ემაღლიერებოდა. გადამარჩინაო ამბობდა. ღმერთის წყალობით, იშვიათად, მაგრამ მაინც არიან ასეთი ადამიანები. ამ ცოდვილ მიწაზე როგორც უდაბნოში ოაზისი, ხანდახან გამოჩნდებიან. მამაჩემიც ასეთი კეთილშობილი სულის რაინდთა რიგებს მიეკუთვნებოდა. არ შემიძლია არ გამოვყო მისი ყველაზე მთავარი თვისება, სამართლიანობის გრძობა. იგი სულით ხორცამდე სამართლიანი პიროვნება იყო. ვერ იტანდა უსამართლობას და სადაც არ უნდა წასწყდომოდა ძალიან განიცდიდა. უსამართლობა ხომ ბოროტების სათავეა. ყველანაირი ბოროტება უსამართლობით იკვებება. როგორც კეთილშობილი ადამიანი არ შეიძლება უსამართლო იყოს, ასევე ბოროტი ადამიანი სამართლიანი ვერ იქნება. სადაც წააწყდებოდა ყველგან ებრძოდა უსამართლობას, ბოროტებასა და აკაცობას. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასი“ არ იყოს, ის თავის წილ უსამართლობას და სარეველას ძირკვავდა, თავის სივრცეში არსებულ ბოროტებას ებრძოდა და თავის წილ ადამიანურ, კაცურ და მოქალაქეობრივ მოვალეობას იხდიდა პირნათლად. არჩილ თეთრაული უნიკალური და ბრწყინვალე ადამიანი იყო ნამდვილად. მისი სახელით ვამაყობ. თუმცა, შემიძლია ვთქვა, არასოდეს გამომიყენებია მისი სახელი და ავტორიტეტი. არავინ არაფერზე არ შემიწუხებია. მეც ჩემით ვებრძვი ამ ცხოვრებას და გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ქალისთვის ძალიან რთულია იმ ღირებულებებით არსებობა, რომლითაც მამა ცხოვრობდა. მაგრამ ნათქვამია „კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოდინდებისო“. საკუთარ თავს და საკუთარ კრედოს ვერსად გაექცევი. ყველას ჩვენი ჯვარი გვაქვს სახიდი.

ახლა ამ იუბილესთვის მზადებამ ემოციურად ძალიან იმოქმედა ჩემზე, მაგრამ მორალურად გამამხნევა. გამამხნევა იმ გაგებით, რომ მართალია ჯერ არც ყველას დაწერილი მოგონება წამიკითხავს და არც იუბილე ჩატარებულა, მაგრამ მაინც დავინახე ამ სამზადისში რომ სიკეთე და კეთილი საქმე ბოლომდე დავიწყებას არეძლევა. რომ ღირსეულნი ახსოვთ და პატივს მიაგებენ მათ. თორემ ცოდვა გამხელილი ჯობია და რაც მამას და ჩვენს ოჯახს სიკეთე დაუთესია უკან სიკეთით კი არა, ხან ბოროტებით და უმადურობით დაგებრუნებია. ნათქვამია „ობოლო ვის მოკლავ და ვინც გამზარდაო“. მაგრამ სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არჩილ თეთრაული მარტო იმიტომ არის დასაფასებელი პიროვნება და ადამიანი, რომ იგი ცხოვრობდა ერთადერთი პრინციპით „მადლი ქენი, ქვაზე დადგე, გაივლი და წინ დაგხვდება“.

ბატონი რამაზ აბესაძის მიერ მოწყობილი ეს იუბილე ამის ნათელი მაგალითია. მამაჩემის სული ახლა ზეცაში ხარობს. მადლიერია და იქიდან ილოცება. ცრემლები მომდის, წუხელ დამესიზმრა. გაღიმებული მიყურებდა და ვგრძნობდი რომ გახარებული იყო. როცა რამე მნიშვნელოვანი ხდება ჩემს ცხოვრებაში მაშინ მეცხადება ხოლმე სიზმარში. არ ვიცი რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი მადლიერება ბატონი რამაზის მიმართ. ბატონმა რამაზმა, უბრწყინვალესმა ადამიანმა, დიდმა მეცნიერმა და უნიჭიერესმა ხელმძღვანელმა უდიდესი პატივი სცა არჩილ თეთრაულის ხსოვნას, მის სულს. ამაზე დიდ საჩუქარს ვერავინ ვერ გაუკეთებდა არჩილ თეთრაულს. რადგან რაც არ უნდა თავმდაბალი იყოს ადამიანი, დაფასება, ყურადღება და აღიარება რაღაც დოზით ყველას სჭირდება სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. არავინ არ ვართ მეუდაბნოე ბერები და წმინდანები რომ სხვა განზომილებაში ვცხოვრობდეთ. საერო ცხოვრებაში თუ არ დავაფასეთ ერთმანეთი არ ვაღიარეთ და ღირსეულნი არ წარმოვაჩინეთ, მაშინა რაღა საზოგადოება ვართ. მომავალი თაობები ხომ ამ მაგალითებზე იზრდებიან. ამიტომ მინდა უდრმესი მადლიერების გრძობა გამოვხატო ბატონ რამაზ აბესაძის მიმართ. პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ რამაზ აბესაძე არის თავისი ინსტიტუტის თავდადებული

დირექტორი და უნიჭიერესი მენეჯერი. მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიდის „ბრძოლა გადარჩენისთვის“ და ბევრი კვლევითი ინსტიტუტი დასუსტდა, განახევრდა და ზოგიც დაიხურა. რომ არა ბატონი რამაზ აბესაძის ასეთი დიდი სიყვარული თავისი საქმისადმი და დიდი ძალისხმევა, არავინ იცის რა ბედი ეწეოდა ინსტიტუტს. იგი ისეთივე ღირსეული დირექტორია ინსტიტუტისა, როგორებიც იყვნენ მისი წინამორბედნი, დიდი მეცნიერები და მოღვაწეები. ბატონი რამაზი მთელ თავის ნიჭსა და ენერჯიას ახმარს ეკონომიკის ინსტიტუტს. ამ დიდი მეცნიერისა და დიდი ორგანიზატორის დამსახურებაა, რომ დღეს ეკონომიკის ინსტიტუტი ფეხზე დგას და ასეთი წარმატებულია. ბატონი რამაზი უაღრესად კეთილშობილი და მაღალი მორალური ღირებულებების მქონე პიროვნებაა. მას არ ავიწყდება გარდაცვლილი კოლეგების ღვაწლი და ასეთი ღონისძიებებით სათანადო პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. მილიონი მადლობა ბატონ რამაზ აბესაძეს!

არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო უდიდესი მეცნიერისა და მოღვაწის ბატონი ლადო პაპავას მიმართ. ბატონი ლადო არჩილ თეთრაულის განყოფილებაში მუშაობდა და ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს მამას. არ ავიწყდება მისი ამაგი და დამსახურება. ბატონი ლადო არჩილ თეთრაულის დაარსებულ უმაღლესშიც კითხულობდა ლექციებს და სტუდენტებისთვის დაუფიქარი ლექტორი იყო. შემდეგში როდესაც ბატონი ლადო ეკონომიკის მინისტრი გახდა, ყოფილი სტუდენტები მესმინებოდნენ და სიხარულს ვერ მალავდნენ რომ ბატონი მინისტრი მათი ლექტორი იყო. ბატონ ლადოს მრავალი წელი აქვს ეკონომიკის ინსტიტუტში გატარებული, იყო ამ ინსტიტუტის შესანიშნავი დირექტორი და დიდი ქომაგი, რასაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ და ვხედავთ. ახლა კი ბატონი ლადო უდიდეს საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ღირსეული რექტორია და ჩვენ ყველანი ვამაყობთ ამით. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ლადო ასეთი დაკავებულია იგი მაინც აქტიურად უდგას მხარში ეკონომიკის ინსტიტუტს და მის მაჯაზე უდევს ხელი, მზრუნველობს და ესათუთება მას. აქტიურად მონაწილეობს აღნიშნულ იუბილეში. დიდი მადლობა ბატონ ლადო პაპავას, ჩვენს სათაყვანებელ მეცნიერსა და შესანიშნავ პიროვნებას. თამამად შეიძლება ვთქვა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი დიდ ეკონომისტთა აკვანია. ამ კედლებში გაიზარდნენ და დაფრთიანდნენ დიდი მეცნიერები. არჩილ თეთრაულის ხსოვნისადმი მიძღვნილ იუბილესთან ერთად ტარდება ბატონი ზურა სოსელიას იუბილე. ბატონ ზურას ძალიან კარგად ვიცნობდი და აღფრთოვანებული ვიყავი მისი ნიჭიერებითა და მისი პიროვნებით. ბატონი ზურა არჩილ თეთრაულის მიერ დაარსებულ თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში კითხულობდა ლექციებს. ხშირად ერთად მიგვიღია გამოცდა მე და ბატონ ზურა სოსელიას. ბატონი ზურა სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო. მისი ლექციები დღემდე ახსოვთ სტუდენტებს. ბატონმა ზურამ მოღვაწეობის ფართო გზა გაიარა, უნიჭიერესი მეცნიერი ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა წლების მანძილზე და ყველგან წარმატებული და სამაგალითო იყო, მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ნამდვილად ყველას დაგვწყვიტა გული, რადგან ბატონ ზურას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, რომ არა სიკვდილის მსახვრალი ხელი.

მიუხედავად თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა, იგი 60წლის უნდა გამხდარიყო, მან მაინც მოასწრო თავისი თვალსაჩინო კვალი დაეტოვებინა როგორც მეცნიერებაში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე. ბატონი ზურა სოსელია გამოჩენილი ოჯახიშვილი და ღირსეული მამულიშვილი იყო. მისი შესანიშნავი მეუღლე თამარ თაფლაძე მამას განყოფილებაში მუშაობდა და დიდი სიბოთი იხსენებს მას ყოველთვის.

უსაყვარლესი ადამიანების იუბილე ცრემლნარევი სიხარულის მომგვრელია. მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც ერთი სტრიქონი მიუძღვნა არჩილ თეთრაულის ხსოვნას. ამ მოგონების დასაწყისშიც ვწერ რომ ძალიან მიმძიმს მამაზე წერა. და როგორც თავში აღვნიშე, ამ საიუბილეო საღამოს ლექსი მივუძღვენი მამას. ჩემი მთავარი სათქმელი ამ ლექსშია ჩატეული.

სულმნათი კაცი!

ექდვნება ჩემი უძვირფასესი მამის
არჩილ თეთრაულის 80 წლის იუბილეს

ტიროდნენ სადღაც თეთრი დარდები, ნაწვიმარ ასფალტს აყრიდნენ იებს,
და თოვლისფერი მარადისობა, კვლავ ჩემი ცრემლით იბანდა თითებს.
შენს ნათელ სახეს ყოველდღე ვუმზერ შენი სურათი მექცა თილისმად,
მარტმა დამღუპა და დამაქცია, სიკვდილმა ავი საქმე იკისრა.

შენ იყავ კაცი, სულით წმინდანი და ჩემზე კარგად შენ ვინ გიცნობდა
სულ საქმე იყო შენი მიზანი შენ იყავ კაცი, სულ რომ იღწვოდა.
შენი შეგმურე სულ შენ გბაძავდი, შენ ეტალონი იყავი ჩემი,
შენით ვზომავდი ავსაც და კარგსაც არა მქონია საზომი მეტი.

ეს ღირსებები მიმანდა ნორმად, შენგან ვისწავლე ასე ცხოვრება,
ლაშარის ხატი მუდამ გფარავდა შენ მოიპოვე სულის ცხონება.
მე შენს სამწყსოში ჩამწერა ღმერთმა ჯერაც უმწეო პატარა კრავი,
შენ მომატარე ცა და ხმელეთი და საიდუმლო გამიღე კარი.

გამინაწილე სულის საგზალი, რადგან გზა გვედო მძიმე და შორი
ერთად ვიყოფდით ჭირსაც და ლხინსაც შენ მიმიღე ვით შენი ტოლი.
შენ იყავ ჩემი თავშესაფარი, ბრწყინვალე მამა, მართალი კაცი,
შენ იყავ ჩემი ნამდვილი ფარი და ალესილი იყავი ხმალიც.

გადამიშალე ცხოვრების წიგნი შეუცნობელი როგორც სიზმარი,
დიდი სითბოთი და სიყვარულით შენ შემასწავლე მისი ანბანი.
დამზრად სულს ვედარ გააღღობს სხივი, შენ მინათებდი როგორც მზის დისკო,
მე მოვექეცი შენს ორბიტაში, ახლაც შენს ირგვლივ ვტრიალებ თითქოს.

შენს ბავშვობაზე ბევრს მიყვებოდი, როგორ დასდევდი ჩიტებს შურდულით,
კალმახს იორში მარჯვედ იჭერდი და მეზადური იყავ განთქმული.
ივრის ხმაური გიტკობდა სმენას, გხიბლავდა მკაცრი ბუნება არტნის,
კადაჩალი რომ გადმოჰყურებდა მთა უკარება და ბუმბერაზი.

ძლიერ გიყვარდა ვაჟა-ფშაველა, ხუთივე ტომი გქონდა ვაჟასი,
მშობელი დედაც ვაჟას გეძახდა, ივრის ხეობის შვილი იყავი.
დღეს შენი სული აქა ტრიალებს, ანგელოზები ხარობენ ცაში,
დღეს გაიხსენეს შენი სიკეთე უანგარობა, ნიჭი და მადლი.

გამორჩეული იყავი მამა, საკუთარ თავზე იდექი მადლა,
შენ შენი საქმის იყავ ქურუმი, და არ იტყობდი არასდროს დაღლას.
შენ ნატამალიც არ გეცხო შურის, ანგარების და გაუტანლობის

„არ იმალება ხალათში შუბი“ გერგო წუთები არდავიწყების.

სიკეთე იყო შენი ლამპარი ის გინათებდა გზებს და ბილიკებს შენ არ იცოდი ფერი ღალატის, და აგროვებდი მუდამ დიმილებს. ალტრუისტიც კი გიწოდა ზოგმა, ესმარებოდი ირგვლივ სუყველას, შენ არ იცოდი სიკეთის ზომა მზე ვერ დაფარა ცაზე ღრუბელმა.

მეამაყები, მიყვარხარ ძლიერ და მოგონებებს ვერ იტყვს გული, არ შემხვედრია ძესორციელი რომ შენზე ეთქვას რამე აუგი. მე სინამდვილის პირქუში სახე შემაკრთობს, როგორც წყეულის მზერა, გაფითრებული ბოლოს რომ მნახე ისევ ისე ვარ ძვირფასო ჯერაც!

.....
აქ შეკრებილებს მოგმართავთ ყველას უღრმეს მადლობას გიხდით სუყველას თქვენ მოგონებებს გაუღეთ კარი და ბევრს გესმოდათ მისი უთქმელად. თქვენა ხართ ჩვენი ქვეყნის ელიტა, გამოიყვანეთ ბევრი ბნელიდან, მეცნიერება და განათლება ცოცხლობს და ყვავის თქვენი ხელიდან. მეც თქვენი ერთი ჯარისკაცი ვარ, ჩვენი რიგები ამრავლოს ღმერთმა დიდი მადლობა ამ საღამოსთვის დაე გისმინოთ ერმა და ბერმა!!!

ციცინო თეთრაული

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი



ეკონომიკის დოქტორი
ზურაბ სოსელია
(1955-2007)

ზურაბ სოსელიას
ცხოვრება
და
მოდვაწეობა

ბატონი ზურაბის გაცნობის კონკრეტული დრო და ადგილი არ მახსოვს, მაგრამ იგი კარგად მახსენდება აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტიდან, როგორც მოკრძალებული, თავმდაბალი და ჯანსაღი იუმორის მქონე, რომელსაც ვერაფერს დაასწრებდა მისაღმებას. ვიცოდი, რომ ინტელიგენტური ოჯახიდან იყო. მამამისი, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, დოცენტი სერგო სოსელია, უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა უნივერსიტეტში და ეკონომიკურ საზოგადოებაში. დედამისს, ქალბატონ შურას, რომელიც ასევე უნივერსიტეტის ცნობილი დოცენტი იყო, ჩემი წინა და მომდევნო თაობები მოწიწებით მოიხსენიებდნენ.

თავად ზურაბმა საინტერესო გზა განვლო. მან თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იგი 1981-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, წამყვანი მეცნიერ თანამშრომლისა და მიკროეკონომიკის განყოფილების გამგის თანამდებობებზე. რამდენიმე წელი შეთავსებით მუშაობდა ქურნალ „ეკონომისტის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ. დოცენტის რანგში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის კალამს ეკუთვნის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია თანამედროვე ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

შემდგომ ბატონი ზურაბი საჯარო სამსახურებში მაღალ თანამდებობებზე დაწინაურდა. 1993-1995 წლებში იყო საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, 1996 წელს გახდა საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის მოადგილე, ერთი წლის შემდეგ დაწინაურდა ამავე სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ. იგი 2000 წელს გადაიყვანეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ და სწრაფადვე დააწინაურეს მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 2004 წლის ივლისში ბატონი ზურაბი საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში მან გაიარა სტაჟირება და პროფესიული სასწავლო კურსები კემბრიჯის უნივერსიტეტის ევროცენტრში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვაშინგტონის ინსტიტუტში, ვაშინგტონის საზოგადოებრივი ურთიერთობების ინსტიტუტში, ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა და საერთაშორისო ურთიერთობების ევროპულ ცენტრში და სხვაგან.

ჩემი და ზურაბის სამსახურებრივი შეხვედრე შედგა ფინანსთა სამინისტროში, სადაც იგი დაინიშნა მინისტრის პირველ მოადგილედ, მე კი სამინისტროს სტაჟიანი კოლეგიის წევრი ვიყავი. ზურაბმა პირველივე კოლეგიის სხდომის დამთავრებისთანავე მოკრძალებულად მის კაბინეტში დამპატიჟა. მოვიკითხეთ ერთმანეთი, შემდეგ ვისუბრეთ სამინისტროს და ინსტიტუტის (მე მაშინ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვიყავი) ურთიერთობებზე. მისთვის ჩვეული ადამიანური სითბოთი მომეფერა და დაპირება აღმითქვა ინსტიტუტის პრობლემების მოგვარებაში. ჩემი ყურადღება მიიპყრო ბატონი ზურაბის კაბინეტში გამოფენილმა წიგნების სიმრავლემ. როგორც მჩვევია, დაუკითხავად და მოუსვენრად დავიწვეე დათვალიერება და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა, როცა ვიხილე იმ დროისათვის ყველაზე რეიტინგული და დეფიციტური

ეკონომიკური ლიტერატურის სიმრავლე. შემატყო გარკვეული თეთრი შური და რბილად მითხრა-ნებისმიერი წიგნის წაღება შეგიძლიათ, მე ახლა ამისათვის დრო არ მრჩებაო. ვისარგებლე მისი სულგრძელობით და რაც კი ჩამეტია ჩემს ჩანთაში თან გამოვიყოლიე. მერე არაერთხელ მივსულვარ წიგნების სათხოვნელად, მაგრამ პატიოსნად ვუბრუნებდი ადრე წამოდებულს. ასე გავიდა ორი თუ სამი თვე. ძალიან მომწონდა ბატონი ზურაბის დახვეწილი, გააზრებული და დინჯი, ამავე დროს პრინციპული გამოსვლები სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე, სადაც მე „ქურდად ვიჯექი“, რადგან ყველაზე ახლოს ვიყავი მინისტრთან (ბატონი ზურაბ ნოღაიდელი იყო ჩემი ასპირანტი) და ეს უკანასკნელი ყოველი მწვავე გადაწყვეტილების მიღებისას ჩემს აზრს ანგარიშს უწევდა. ერთხელ ინსტიტუტში ბატონი ზურაბის სულგრძელობა და წიგნებთან თავისუფალი დაშვების ისტორია მოგუყვავი ჩემს მოადგილეებს. პროფესორ რევაზ ბასარიასაგან წამოვიდა იდეა, რომ სამინისტროდან ბატონი ზურაბი გამხდარიყო ჩვენი ინსტიტუტის კურატორი. ეს იდეა ორ დღეში იქცა რეალობად. ბატონი ზურაბი უყოყმანოდ დამთანხმდა, ხოლო მინისტრის ბრძანებით ინსტიტუტის კურატორობიდან გათავისუფლდა მისი ერთ-ერთი მოადგილე, ასევე შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც მაგიდაზე ედო თვალსაჩინო წარწერა, „ფული არ არის და არ მთხოვოთ“. ბატონ ზურაბს, როგორც გამოცდილ მეცნიერს, კარგად ესმოდა ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის გაუმჯობესებაში. მან თავისივე ინიციატივით არაერთხელ გაგვიწოდა დახმარების ხელი: კომპიუტერები, დაფინანსება, სატრანსპორტო საშუალებები, გამოცემების ხარჯები, სარემონტო სამუშაოები და სხვა.

მაგრამ, საუბედუროდ მალე ბენდუქიძის „სიომ“ დაუბერა და ეს ჩვენს ინსტიტუტსაც მოწვდა. ნელ-ნელა დაიწყო შტატების შემცირება, დაფინანსების შეზღუდვა და სხვა ნეგატივები. მინისტრისაგან ვიცოდი რომ ცუდი რამ გველოდა, რასაც ვერც იგი და ვერც ბატონი ზურაბი ვერ აგვაცილებდა. ეს იყო ქვეყნის გარეთ დაგეგმილი ეროვნული მეცნიერების დასამარების სახელმწიფო პოლიტიკა. ინსტიტუტში ამას ხმამაღლა ვერ ვიტყოდი, თუმცა, სერიოზულად დავიწყე ფიქრი სხვა სამუშაოს ძებნაზე. ერთ-ერთ თათბირზე დავრჩი მაშინდელ პრემიერ მინისტრ ბატონ ზურაბ ჟვანიასთან და ვთხოვე ჩემთვის შესაფერისი სამსახურის გამოძებნა. მან პირდაპირ მითხრა, როგორც ვიცი ზურაბ სოსელიას ნიშნავენ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ და შენ მის მოადგილედ სამინისტროში დაგნიშნავო.

მოკლე დროში მართლაც დადგა ბატონი ზურაბის დაწინაურების საკითხი კონტროლის პალატაში. მე ველოდი, რომ მის ადგილს შემომთავაზებდნენ სამინისტროში, მაგრამ იქ მოულოდნელად დაინიშნა ღირსეული ახალგაზრდა კაცი. იმედი ამომეწურა. ბატონ ზურაბ სოსელიას დანიშვნა კონტროლის პალატაში დროში გაიწვია. ერთ-ერთი მორიგი კოლეგიის დამთავრებისთანავე ზურაბმა მიხმო კაბინეტში და მითხრა, მელაპარაკა ჟვანია და მეც შენზე მქონდა ორიენტაციაო, თანაც პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილედო. ასი პროცენტით დავიჯერე, რადგან ბატონი ზურაბი ირიბად ასეთ სიგნალს მანამდეც მაძლევდა. ასე მოვხვდი ამ ღვთისნიერ კაცთან საჯარო სამსახურში და მასთან გატარებული ეს წლები ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის საამაყო და დაუვიწყარია. გულწრფელად ვიტყვი, იმდენი სიკეთე, იმდენი კაცობა, იმდენი სიბოლო, იმდენი ადამიანური თვისებები შეხამებული მაღალ მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან გამოავლინა ბატონმა ზურაბმა, რომ მასზედ ერთი სქელი წიგნის დაწერა თავისუფლად შემიძლია. ეს მომავლის საქმეა, აქ კი შევეცდები მოკლედ გავისხენო პალატაში ჩვენი ერთობლივი მუშაობის ზოგიერთი ეპიზოდი.

დრო იყო მიმე. ბოლოქრობდა ნაციონალური მოძრაობა, დაიწყო არნახული პიარ-კამპანიები, რეფორმები, მოჩვენებითი ბრძოლა კორუფციასთან, მაგრამ შერჩევითი. პრემიერი, პრეზიდენტი და პარლამენტის მეთაური ღია თუ ფარულ დაპირისპირებაში იყვნენ ერთმანეთთან. ბატონ ზურაბს უწევდა დიპლომატიური თამაში და მას ამის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა, რომ დაეხმებინა მათთან კავშირები. შემდეგ ბატონი ზურაბი უკანა გარდაიცვალა და პრემიერად დაინიშნა ბატონი ზურაბ ნოღაიძე. ეს ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს რადგან ზურაბსაც და მეც ნოღაიძელთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.

პირველი ამოცანა, რაც კონტროლის პალატის წინაშე დასახა ზურაბ სოსელიამ, იყო კორუმპირებული და არაკვალიფიციური კადრების მოშორება. ამ რთული ამოცანის შესრულება მე მომანდო, რა თქმა უნდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით. შედგა საკონკურსო კომისია ჩემი ხელმძღვანელობით, ყველა საშტატო ერთეული გამოცხადდა ვაკანტურად, სწრაფად შემუშავდა ტესტები, ჩატარდა კონკურსი და აი აქედან დაიწყო კონტროლის პალატისადმი შეტევა როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. თითო რევიზორზე მინიმუმ 2-3 მაღალჩინოსანი გვირეკავდა, პირადად მოდიოდნენ „ჩასაწყობად“, მათ შორის ბევრი მათგანი დღესაც მაღალ ტრიბუნებზეა. აქ საჭირო იყო გამბედაობა და პრინციპულობა, რაც ბატონმა ზურაბმა ხუთიანზე შეასრულა. ბევრი მტერი გაგვიჩნდა, მაგრამ პალატამ ღირსეულად გაართვა თავი ამ ამოცანას. არ შემოძლია არ დავასახელო ამ საქმეში ბატონი ზურაბის მოადგილე ხათუნა კალანდაძისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ლადო სირაძის დიდი როლი და მაღალი კვალიფიკაცია. 300-ზე მეტი გათავისუფლებული რევიზორიდან თითქმის 200-მა სასამართლოში იჩივლა, მაგრამ მხოლოდ ერთმა მოვიგო წლინახევრის შემდეგ, რომელიც აღდგენილ იქნა სამსახურში, დანაკარგი აუნაზღაურდა და იმავე დღეს დაწერა განცხადება და დატოვა სამსახური. მახსოვს ეს ქალბატონი როგორ შევახვედრე ბატონ ზურაბს, როგორი მოკრძალებით და თავმდაბლობით მიიღო იგი მან კაბინეტში, როგორ მოუხადა ბოდიში დაშვებული შეცდომისათვის, როგორ გადაკოცნა იგი და როგორ შესთავაზა დახმარება სხვა სამსახურში მოწყობაზე. ეს იყო უმაღლესი რანგის საჯარო მოხელის მენეჯერული ქცევის მასტერ კლასი.

ბატონმა ზურაბმა მთლიანად გაანახლა პალატის ინტელექტუალური რესურსი, დააკომპლექტა იგი კვალიფიციური, პატიოსანი და გამოცდილი კადრებით. პალატის 30-ზე მეტ თანამშრომელს ჰქონდა მეცნიერების კანდიდატის და დოქტორის ხარისხი. გამოცდილების, კვალიფიკაციის და პატიოსნების ინდიკატორით საქართველოს კონტროლის პალატა, ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით იქცა ერთ-ერთ სანიმუშო დაწესებულებად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამას ხშირად უსვამდნენ ხაზს პალატაში მომუშავე საერთაშორისო ექსპერტები. თუმცა, სამწუხაროდ აქა იქ მაინც შემორჩნენ არაკეთილსინდისიერებიც.

მეორე მთავარი ამოცანა, რომელიც პალატის წინაშე დასახა ბატონმა ზურაბმა, მდგომარეობდა მის კომპლექსურ რეფორმაში. ეს იყო ურთულესი საქმე და მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვდა ხანგრძლივ მოსამზადებელ დროს. თუმცა, ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით მოკლე დროში შემუშავდა პალატის რეფორმების პროგრამა და სწრაფადვე დაიწყო მისი ამოქმედება. პირველ რიგში დაიხვეწა სახელმწიფო კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, რომლის მიზანი იყო პალატის მკაცრი სადამსჯელო ფუნქციის შერბილება და მისი ორიენტაცია უფრო ანალიტიკურ-საკონსულტაციო მიმართულებაზე. აქვე დაყენებულ იქნა ფინანსური რევიზიის ფინანსური აუდიტით ჩანაცვლების საკითხი. უფრო მეტიც, შემოღებულ იქნა

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში კარგად აპრობირებული ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკა. ცვლილებები და დამატებები განიცადა კონტროლის პალატის რეგლამენტმა, იგი უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდა. შემუშავდა რევიზიის სახელმძღვანელო, მოხდა შემოწმების აქტების უნიფიკაცია, რათა თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი თვითშემოქმედებები, გამარტივდა აქტების ფორმა და ა. შ. გაფართოვდა რევიზორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა, გაიზარდა მათ საბოლოო პროდუქტზე კონტროლი და მომთხოვნელობა. პალატის სტრუქტურაში შეიქმნა გენერალური ინსპექცია, რომელიც მუდმივ ზედამხედველობას და მონიტორინგს ახორციელებდა რევიზორების საქმიანობაზე. რეფორმის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი იყო ქვეყნის სხვადასხვა მაკონტროლებელი სტრუქტურების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენპროკურატურა, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია და სხვა) მაკორდინირებელი საბჭოს შექმნა, რომლის მეთაური ფუნქციის შესრულება დაევალა კონტროლის პალატას. ამ ფორმატმა, რომლის ინიციატორი იყო ბატონი ზურაბი, დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარების საქმეში, მაკონტროლებელი ორგანოების კოორდინირებულმა საქმიანობამ გამორიცხა პარალელიზმი ამ სფეროში და მნიშვნელოვნად აამაღლა შემოწმების ხარისხი. ბატონი ზურაბის ინიციატივით სხვა მარაგალი რეფორმა იქნა წამოწყებული, რომლის განხილვა ამ ფორმატში შეუძლებელია.

მინდა ხაზი გაუუსვა ბატონი ზურაბის, როგორც ძლიერი სახელმწიფო მოღვაწისა და პროფესიონალის კიდევ ერთ დამახასიათებელ პოზიტიურ მხარეს. მას შეეძლო თანამშრომლისათვის სრული ნდობის გამოცხადება, თუ დარწმუნებული იყო მის კვალიფიკაციაზე და პატიოსნებაში. ასეთები ბევრი იყო პალატაში და ერთ-ერთი მეც ვიყავი. მისგან მქონდა დელეგირებული ყოველკვირეული ოპერატიული თათბირების ჩატარება (ერქვა ყოველკვირეული, მაგრამ ფაქტობრივად კვირაში მინიმუმ 3-4-ჯერ ტარდებოდა, თანაც საათობით. პალატა სამინისტროებისაგან სრულიად განსხვავებული უწყება) და ასევე პრეზიდენტის სხდომების ხელმძღვანელობა. ეს ნდობა უზარმაზარ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა, თანაც ბატონი ზურაბი მუდამ ყველაფრის საქმის კურსში იყო.

როგორც უკვე ვთქვი, ბატონი ზურაბი იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი. იგი პირადულს ყოველთვის უკან აყენებდა. მას რამდენიმე შეთავაზება ქონდა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებიდან შეთავსებით მოშაობაზე, მაგრამ უარით ისტუმრებდა. საქმისადმი მისი სახელმწიფოებრივი მიდგომის ფილოსოფია ყველას გადაგვედო. პალატის არც ერთი თანამშრომელი არსად სხვაგან არ მუშაობდა. მეც, რომელსაც პალატაში მუშაობამდე 5 სხვადასხვა თანამდებობა მეკავა, ყველა ადგილი დავტოვე. თუმცა, მერე კი ვინანე, რადგან პალატიდან წამოსული უმუშევრად დავრჩი ...ასეთია წუთისოფელი. პალატაში მუშაობა როგორც იტყვიან 24 სათიან რეჟიმში მიმდინარეობდა, შაბათი და კვირა არ არსებობდა, რამდენჯერ ბატონი ზურაბი, მისი მოადგილეები და დეპარტემენტების უფროსები მთელი ღამეები დავრჩენილვართ სამუშაო ოთახებში. ასე იყო საჭირო, რადგან 300-ზე მეტი რევიზია ტარდებოდა ყოველწლიურად.

სანიმუშო და მისაბაძი იყო ბატონი ზურაბის სიმშვიდე და სიდინჯე კრიტიკულ მომენტებში. პალატის მუშაობას ხელს უშლიდა ყველა, განსაკუთრებით პრეზიდენტის ადმინისტრაცია. მათი დაკვეთები შერჩევით სამართალზე ბატონი ზურაბისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ ამას იგი აუღელვებლად პასუხობდა. პრესა და ტელევიზია თითქმის ყოველდღიურად თავს გვესხმოდა, რადგან კორუმპირებულთა რიგებში აღმოჩნდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები: ქალაქის მერია, განათლების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო,

ჯანდაცვის სამინისტრო, ლტოლვილთა სამინისტრო, გზების დეპარტამენტი, სხვადასვა ფონდები და ა. შ. ზოგიერთი ისე გათავსდა, რომ რევიზიაზე არ გვიშვებდნენ. ასეთი იყო თავდაცვის სამინისტრო, თუმცა, მოგვიანებით ჩვენ მაინც შევადწინეთ და საოცრება იყო ის, რომ საბრძოლო იარაღებისა და ტყვია წამლის დანაკლისთან ერთად, ტანკებისა და სამხედრო გემების დანაკლისიც აღმოაჩნდათ.

პალატის თითოეული თანამშრომლისათვის მისაბაძი იყო ბატონი ზურაბის თავმდაბლობა და კოლეგებისადმი პატივისცემა. იგი მავალდებულებდა პირველ რიგში დაბალხელფასიანებზე პრემიების განაწილებას და თუ დარჩებოდა შემდეგ სხვებზე გაცემას. მან უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა კოლეგებში და მის გარეთ. პალატა, რომელიც უკომპრომისოდ ებრძოდა კორუფციას, უპატრონოდ დარჩა ხელისუფლების ზედა შტოებისაგან. დაფინანსება მუდმივი ბრძოლისა და დავის საგანი იყო. დაუმორჩილებლობა ძვირად გვიჯდებოდა. თუმცა, ბატონ ზურაბის აღმოაჩნდა დიპლომატიის უდიდესი უნარი. მაშინ დიდი ავტორიტეტები იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი და გენპროკურორი. ბატონმა ზურაბმა მოახერხა მათთან დაახლოება და მახსოვს ერთ-ერთ ვიწრო მაგიდასთან როგორ „დავითრიეთ“ 2 მილიონი ლარი დამატებით. ადრეც მითქვია და ახლაც გავიმეორებ, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფინანსურად შედარებით ერთ-ერთო მოწვესრიგებული უწყება იყო. მყოფის იმის ვაჟკაცობა, რომ ვთქვა, ზურაბ სოსელიასთან დაკავშირებით ივანე მერაბიშვილმა მე დიდი ადამიანური თანადგომა გამიწია. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, რომელმაც განსხვავებით სხვებისაგან, თავისი ძალისხმევა არ დაიშურა და გვერდში დაგვიდგა. ბევრი რამ უსიამოვნო ფაქტები მახსენდება ამ თემაზე, მაგრამ ეს სხვა დროს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ზურაბი იყო ჩემი უახლოესი მეგობარი. ჩვენ ნებისმიერ თემაზე თავისუფლად და დაუფარავად ვსაუბრობდით ერთმანეთთან. იგი მიფრთხილდებოდა, თანაც როგორც ასაკით უფროსი კოლეგისადმი რიდი ქონდა. რამდენჯერ უთქვია წადი სადმე და დაისვენეო, მაგრამ ისევე როგორც მე, პალატაში მცირე გამოწვავის გარდა, შვებულებით ხელმძღვანელ მუშაგებს არ უსარგებლიათ. თვითონ ბატონი ზურაბი იყო მწვეველი და მე მეუბნებოდა დაანებე თავი მოწვევასო. და მაინც ხშირად უცხოეთში მივლინებიდან დაბრუნებულს ჩემთვის ჩამოქონდა სუპერ სიგარეტები. უცხოეთში გამახსენა. ბატონმა ზურაბმა შეძლო დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფო საკონტროლო სამსახურებთან საქმიანი კავშირების დამყარება, პალატის გაწვევრიანება საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტოსაიში“, იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უცხოეთის ანალოგიურ ორგანიზაციებში. მახსოვს როგორი თბილი შესავლით მისცა პირველი სეფე სიტყვა ბატონ ზურაბს რუსეთის კონტროლის პალატის მიერ ორგანიზებულ ფორუმზე სტეპაშინმა, მერე კი თამალობა თხოვა ოფიციალურ ვაზშიაზე.

უფალს საკუთარი კანონები აქვს, რომელშიც ჩაწვდომა მიწიერ არსებას არ შეუძლია. ბატონ ზურაბს მოულოდნელად შეექმნა ჯამთელობის პრობლემა. მისი ბოლო მივლინება თუ არ ვცდები ბულგარეთი იყო. უცხოეთიდან დაბრუნებული დამის 10 საათზე მაინც მოვიდა სამსახურში. ალბათ მე ვიყავი ერთადერთი ვინც ბოლოს მას სამსახურში ესაუბრა. დადლილი და შეწუხებული ჩანდა. მოიკითხა შიდა პრობლემები, ერთ-ერთ საკითხზე უკმაყოფილო ჩანდა, გადამკოცნა და მითხრა ნუ იკლავ თავს სახლში წადიო. მერე, მერე ზურაბი დილით ვერ წამოდგა...

ყველაფერი და მაქსიმუმი გაკეთდა ზურაბის გადასარჩენად, ოჯახი, ქალბატონი თამარი, კონტროლის პალატა, მთავრობა, მეგობრები ფეხზე დადგა.

მაგრამ უფალმა სხვა გზა აირჩია, ვერც აქაურმა და ვერც უცხოურმა მედიცინამ ვერ უშველა. მისი ავადმყოფობა ხანგრძლივი აღმოჩნდა. საკმაოდ დიდხანს მომიწია ზურაბის შემცველად მუშაობამ და მაშინ უფრო მივხვდი თუ რაოდენ მძიმე ტვირთს ეზიდებოდა იგი. ზურაბი დააკლდა საქართველოს, ოჯახს, მეგობრებს და ყველას ვინც ამ ღვთისნიერ კაცს იცნობდა. ახლა კი ყოველწლიურად ზურაბის დაბადების დღეს ქალბატონი თამარისა და ზურაბის სიყრმის საუკეთესო მეგობრის აკადემიკოს ლადო პაპავას ძალისხმევით ვიკრიბებით მის საფლავთან სანთლებით ხელში და მერე სახლში ჭიქა ღვინით ვეფერებით ძვირფას მეგობარს. ზურაბი უკვდავია, რადგან მას გადატანილი დიდი ტრაგედიის შემდეგ დარჩა არაჩვეულებრივი, უნიჭიერესი პირმშო დავით სოსელია, რომელიც ძალიან სწრაფად დაგაუკაცდა და რომელმაც ასახელა არა მხოლოდ მშობლები და ახლობლები, არამედ სრულიად საქართველო. მისი ახალი წარმატებების მოლოდინში ვართ ჩვენ ყველანი მიწიერ სამყაროში და ბატონი ზურაბი ზეციურში.

იაშა მესხია

პროფესორი

მოგონებები

მეგობარზე უფრო მეტი

ჩემთვის ძალიან ძნელია წარსულში ვილაპარაკო ბავშვობის მეგობარზე ზურაბ სოსელიაზე, რომელიც უკვე რვა წელია არ არის ჩვენ გვერდით.

ჩვენი მშობლები, მამაჩემი გიორგი პაპავა და მისი დედ-მამა, სერგო სოსელია და შუშანა მარგველაშვილი, არა უბრალოდ კოლეგები იყვნენ, არამედ მეგობრებიც. ამიტომ, ჩემი და ზურაბის გაცნობა შედგა პატარობაში. ერთ ზაფხულს კი ჩვენი ოჯახები ერთად ვისვენებდით, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბავშვებს შორის თავიდანვე ჩამოყალიბდა ახლო ურთიერთობა. იმის გამო, რომ თანატოლები ვიყავით, ამიტომ უნივერსიტეტშიც კურსელები გახლდით, თუმცა სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობდით (მე საინჟინრო ეკონომიკურზე, ხოლო ზურაბი – სახალხო მეურნეობის დაგეგმვაზე).

ისე მოხდა, რომ მუშაობაც ერთ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დავიწყეთ. მოგვიანებით საქართველოს მთავრობაშიც გარკვეულ პერიოდში ერთდროულად მოგვიწია მუშაობა.

ჩვენი მშობლებისა და მათი ოჯახების მეგობრობა ბუნებრივად გადაიზარდა ჩვენ და ჩვენი ოჯახების მეგობრობაში. ზურაბი იყო ჩემი უძეგროსი ვაჟის – გიორგის ნათლია.

ზურაბს ბევრი კარგი თვისება ახასიათებდა, მაგრამ ერთი მათგანი აუცილებლად ხაზგასასმელია. ის იყო შესანიშნავი მსმენელი, მას შეეძლო დიდხანს და ყურადღებით ესმინა თავისი მეგობრებისათვის და საქმიანი რჩევებიც მიეცა, თუმცა თავად არ უყვარდა საკუთარ პრობლემებზე საუბარი. მის მეგობრებს სულ იმის განცდა გექონდა, რომ ის მოგვიანებით მოგვიყვებოდა თავის სათქმელს. ეს მოლოდინი კი არ გამართლდა – ის, სამწუხაროდ, ძალზე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან...

ჩვენი ბოლო საუბრები იყო სატელეფონო, რადგან მე აშშ-ში ვიყავი წასული ოჯახით ცხრა თვით სამეცნიერო მივლინებაში, ზურაბი კი ამ დროს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო. მან დამირეკა 2005 წლის დეკემბრის ბოლოს, როცა თბილისში შუალამე იყო გადაცილებული, თითქმის გამთენიისას. მისი უძილო ხმა იყო ნაღვლიანი და მახსოვს, მითხრა თუ რაიმე შანსი მაინც მქონდა, უნდა დავრჩენილიყავი აშშ-ში და საქართველოში არ დაბრუნებულიყავი, რადგანაც ამ ქვეყანას მაინც არაფერი ეშველებო... მე ვთხოვე, რომ ამ თემაზე ტელეფონით საუბარი არ გაგვეგრძელებინა (დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი მაღალი თანამდებობის გამო უსმენდნენ), რომ მარტის ბოლოს ჩამოვიდოდი საქართველოში და აუცილებლად უშუალოდ დავილაპარაკებდით ამ თემაზე. 2006 წლის 7 იანვარს კი იყო ბოლო ზარი – მან ძალიან მოკლედ მომილოცა შობის დღესასწაული. თბილისში ჩემ ჩამოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე კი ის ავად გახდა, საწოლად ჩავარდა და საუბარი აღარ შეეძლო. ასე რომ, ჩემთვის დღემდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება ის, თუ რა აწუხებდა ჩემს მეგობარ ზურაბს 2005 წლის ბოლოს და რატომ მირჩია, რომ საქართველოში არ დაბრუნებულიყავი...

ზურაბს საკმაოდ რთული ცხოვრება ჰქონდა. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ავტოავარიაში დაეღუპა შვილი და სიმამრი. მისთვის და მისი ოჯახისათვის ეს უმძიმესი დარტყმა იყო...

მოგვიანებით ღმერთმა მას და მის მეუღლეს თამარ თაფლაძეს მეორე ვაჟი – დათი აჩუქა, რომელიც ჯერ კიდევ პატარა ბავშვი იყო, როცა მამა მძიმედ დაავადმყოფდა და საწოლს იყო მიჯაჭვული, ხოლო ზურაბის ერთწლიანი ავადმყოფობის შემდეგ პატარა დათი მამით დაობლდა.

დათო სოსელიამ წელს სკოლა წარჩინებით დაამთავრა, ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, და საქართველოში ყველაზე მაღალი შეფასებები დაიმსახურა – ის ქვეყანაში ნომერ პირველი აბიტურიენტი გახდა. დღეს ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საინჟინრო სკოლის სტუდენტია. ზურაბს რომ ეცოცხლა, ის უბედნიერესი მამა იქნებოდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მისი მხრიდან ზეციური მფარველობა დათის, მის დედას და ახლობლებს არასდროს მოაკლდება...

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა,

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეციერი თანამშრომელი

ზურაბ სოსელიას გახსენება

ძნელია მეგობარზე წარსულში საუბარი ... 13 ოქტომბერს ზურაბს, ხომ 60 წელი შეუსრულდებოდა. ბევრი რამ დარჩა განსახორციელებელი, მაგრამ მან თავისი ვალი ქვეყნის, საზოგადოების და ოჯახის წინაშე სრულად მოიხადა ... დაუტოვა ქვეყანას ბრწყინვალე ახალგაზრდა და მამულის შვილი, ეს არის დიდი ნუგეში მისი მეუღლისათვის და ყველა ჩვენთაგანისათვის.

სიტყვა „გახსენება“ ზურაბის მიმართ ალბათ არა სწორად არის გამოყენებული, იგი ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება.

თეიმურაზ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ზურაბ სოსელიას გახსენება

ძალიან რთულია ისეთ ადამიანზე, როგორც ბატონი ზურაბ სოსელია იყო, წარსულში საუბარი, თუმცა ის უკვე რვა წელზე მეტია ჩვენთან აღარ არის. ბატონი ზურაბი იყო, ინტელექტუალი, ამ სიტყვის ყველაზე სრული მნიშვნელობით, დახვეწილი, საქართველოზე შეყვარებული კარგი პროფესიონალი. მე მასთან სხვადასხვა რანგში მქონდა ურთიერთობა, მაშინ როდესაც ის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის მოადგილე იყო, მე კი ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობდი. შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა ფინანსთა სამინისტროში გაგრძელდა - ის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო მე - მინისტრის მოადგილე ვიყავი.

ყველას ახსოვს ბატონი ზურაბი, როგორ ზრუნავდა სამინისტროზე, ქვეყანაზე, ადამიანების კეთილდღეობაზე და სამინისტროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდაზე. შემდეგ ბატონი ზურაბი ძალიან საპასუხისმგებლო

თანამდებობაზე დაინიშნა, ის იყო კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თუმცა სამწუხაროა, რომ მას დიდხანს არ დასცალდა იქ მუშაობა - ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ ასრულებდა მოვალეობას და საბოლოოდ გარდაიცვალა. თუმცა მან კონტროლის პალატაშიც ძალიან კარგი კვალი დატოვა.

მე მისხარია, რომ ბატონ ზურაბს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, მეუღლე შვილი - ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ, რომ ზურაბ სოსელიას სახელი გაგრძელდეს და მუდმივად გვახსოვდეს ჩვენ ის ადამიანი, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში გვეცხოვრა.

მე ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა მქონდა ზურაბთან, მახსოვს მისი დამოკიდებულება, მისი სიყვარული და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მისხარია, რომ დღეს შემიძლია ბატონი ზურაბის ოჯახთან და მის მეგობრებთან ურთიერთობა მქონდეს. ზურაბი ყველასგან გამორჩეული ადამიანი იყო და ღმერთმა ნათელი დაუმიკვიდროს.

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრი, თსუ პროფესორი

მეგობრის გახსენება

რამდენიმე წელი გავიდა ზურაბ სოსელიას გარდაცვალებიდან. ამბობენ, რომ დრო ამსუბუქებს ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს, თუმცა მომხდარი ფაქტის ყოველი გახსენება თავიდან ხსნის, თითქოსდა მოშუშებულ იარას და აახლებს სევდას. სწორედ ამ განცდით ვწერ ჩემს პატარა მოგონებას.

ზურა და მე ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ და უნივერსიტეტშიც თითქმის ერთდროულად ვსწავლობდით. თუმცა, ერთმანეთი მოგვიანებით გავიცანით საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში დისერტაციებზე მუშაობის დროს. პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია, ზურას საოცარი კომუნიკაბელურობა და უაღრესად ფართო ერუდიცია იყო.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გონებაში ლაგდება მასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეპიზოდი. მახსენდება თელავში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, სადაც ზურამ და მისმა მომავალმა მეუღლემ - თამუნამ ერთმანეთი გაიცნეს. შემდეგ იყო ლამაზი და გრანდიოზული ქორწილი, სადაც ზურას მხრიდან, მის რამდენიმე მეგობართან ერთად, „მაყრიონში“ ყოფნის პატივი მეც მხვდა წილად.

განსაკუთრებით მინდა გავიხსენო 1991 წლის ოქტომბერი, როცა უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ვია ბაბუნაშვილმა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შესანიშნავი საჩუქარი მოგვიძღვნა მდინარე დუნაიზე ათდღიანი კრუიზის სახით. ზურა და მე ერთ კაიუტაში ვცხოვრობდით. მრავალ თემაზე სასაუბროდ დიდი დრო გვქონდა. ზურა მაშინ ძალიან ბედნიერი იყო და მეც გამომხილა ბედნიერების მიზეზი: ის და თამუნა რამდენიმე თვეში ასე ნანატრი შვილის დაბადებას ელოდნენ.

მოგზაურობისას აღმოჩნდა, რომ ჩვენს საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფში მხოლოდ ზურა და მერაბ კაკულია ფლობდნენ ინგლისურ ენას და ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდი მოთხოვნა იყო მის „სათარჯიმნო მომსახურებაზე“ და ზურაც დაუზარებლად ასრულებდა ამ ფუნქციას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ზურას გვერდით თითქმის ათი წელი ვიმუშავე. იმ დროს ინსტიტუტში

თავმოყრილი იყო შესანიშნავი, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელშიაც ზურა ერთ-ერთი ლიდერი იყო. პარალელურად (შეთავსებით) იგი მუშაობდა ჟურნალ „ეკონომისტი“ განყოფილების გამგედ და შესანიშნავად ფლობდა წერის კულტურას. ჩემი რამდენიმე სტატია წინასწარ წავაკითხე. მან გრამატიკულად და სტილისტურად ისე დახვეწა, რომ ეს სტატიები ჟურნალში თითქმის უცვლელად გამოქვეყნდა, რაც იმ დროს არცთუ ისე ხშირად ხდებოდა.

ზურა ღრმა მკვლევარი და უნარიანი პედაგოგი იყო, თუმცა იგი არ იყო მხოლოდ „წიგნის კაცი“ და „ნებისმიერი ადამიანური მისთვის არ ყოფილა უცხო“. ძალიან უყვარდა მეგობრებთან ქეიფი და გართობა, მოგზაურობის დიდი ტრფიალიც იყო, ფეხბურთსაც შესანიშნავად თამაშობდა, რა თქმა უნდა, მოყვარულის რანგში. ზურას ჰქონდა იუმორის გასაოცარი გრძნობა და გადასარევეად ყვებოდა ანეკდოტებს.

მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის მაღალ უნარ-ჩვევებთან ერთად, ზურა გამოირჩეოდა მენეჯერის დიდი ტალანტით, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის და კონტროლის პალატის თავმჯდომარის რთულ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყოფნის დროს.

სამწუხაროდ, ზურა ტრაგიკული ბედისა და უდიდესი ტკივილის მატარებელი კაცი აღმოჩნდა. მისი პირადი ტრაგედიის გახსენება ამდენი ხნის შემდეგაც ძალიან გვიძიმს მის ნაცნობ-მეგობრებს. საოცარია, რომ ყველაფრის მიუხედავად ზურა არ „გამტყდარა“, არ დაცემულა და არ გაბოროტებულა „ყველასა და ყველაფერზე“. პირიქით, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა მხნეობას, მეგობრების, ახლობლების მიმართ მზრუნველობის და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთების სურვილს. თუმცა ვინ იცის... იქნებ არაადამიანური ძალისხმევა სჭირდებოდა მას ყოველივე ამისათვის, იქნებ ამ ტრაგედიის პირდაპირი და უშუალო შედეგი იყო მისი უდროო გარდაცვალება...

ზურაბ სოსელიამ ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება განვლო, წავიდა ამქვეყნიდან და დატოვა შესანიშნავი მეუღლე, უნიჭიერესი ვაჟი - დავით სოსელია, რომელმაც მართლაც ფურორი მოახდინა ეროვნულ გამოცდებზე, დაიკავა რა პირველი პოზიცია რამდენიმე ათას ნიჭიერ და მომზადებულ ახალგაზრდას შორის. სასიხარულოა, რომ ზურას ნიჭი მის მემკვიდრეში გრძელდება, რომელიც ბრწყინვალე მამის ღირსეული შვილია.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ზურაბ სოსელიას სული და სიკეთე არ მოაკლოს მის დანატოვარს.

პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის გამგე

კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

ძნელია წარსულ დროში ილაპარაკო ადამიანზე, რომელთანაც ორი ათეული წლის მანძილზე ახლო მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა გაკავშირებდა. ზურაბ სოსელია 1986 წელს გავიცანი, როდესაც იგი უკვე ჩამოყალიბებული მკვლევარი ეკონომისტი იყო, მე კი მხოლოდ ვიწყებდი აკადემიურ კარიერას. ზურა ანდამატივით იზიდავდა ადამიანებს თავისი უშუალოებით,

დელიკატურობით და არაჩვეულებრივი იუმორით. ჩვენ ძალიან მალე დაგმეგობრდით, რაშიც დიდი როლი ითამაშა სამეცნიერო კონფერენციებმა და სიმპოზიუმებმა, რომლებიც მაშინ ხშირად იმართებოდა როგორც თბილისში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზურას გამოსვლები ყოველთვის საინტერესო და ნოვატორული იყო, მით უმეტეს, რომ „პერესტროიკის“ ეპოქა საშუალებას გვაძლევდა უფრო თამამად და კრიტიკულად განგვეხილა საბჭოთა სინამდვილე და დაუფარავადგვემსჯელა საქართველოს ეკონომიკურ სუვერენიტეტზე. ოფიციალურ ფორმატში დაწვებული კამათი, როგორც წესი, ტრადიციულ სუფრაზე გრძელდებოდა, რომლის უცვლელი თამადა ზურაბ სოსელია იყო. ამ „დატვირთვასაც“ ზურა შესანიშნავად ართმევდა თავს: ერთ ძველქართულლიტერატურულ ძეგლს თუ მოვიშველიებთ – “სიტყვაი მისი შეხავებულ იყო მარილითა და მადლითა”.

ჩვენს დაახლოებას ზურას დაოჯახებამაც შეუწყო ხელი: იგი ჩემი სტუდენტობის მეგობარზე – თამუნა თაფლაძეზე დაქორწინდა, რომლის სახითაც ზურამ ცხოვრების ერთგული თანამგზავრი შეიძინა. მათ ერთად დიდ განსაცდელს გაუძლეს.

80-იანი წლების ბოლოს ჩვენი მეგობრობა საქმიანი ურთიერთობითაც განმტკიცდა: როგორც კი კანონმდებლობამ ამის შესაძლებლობა მოგვცა, საქართველოში ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი საკონსულტაციო ჯგუფი შევქმენით, რომელიც ჩაბმული იყო სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისაციასა (მათ შორის აქციონირებაში) და კერძო კომერციული ფირმების შექმნაში. სამკაცრიანმა ჯგუფმა, რომელშიც ზურას და ჩემს გარდა კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა – ზაზა ავალიშვილი შედიოდა, არაერთი პროექტი განვახორციელეთ. მათ ბაზაზე დღეს რამდენიმე ცნობილი სამეწარმეო სტრუქტურა ფუნქციონირებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ზურა პირველი იყო ჩვენს სამეგობროში, ვინც მაღალ თანამდებობაზე – საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნეს. აქედან დაიწყო მისი სახელმწიფო კარიერა. ამ დროს მე ეროვნულ ბანკში ვმუშაობდი და ჩვენი პროფესიული ურთიერთობა ახლა უკვე საჯარო სექტორში გაგრძელდა. ზურა აქაც მოწოდების სიმადლეზე აღმოჩნდა: პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, საქმისადმი ფუნდამენტური მიდგომა, თანამშრომლების მიმართ ფაქიზი, მაგრამ მომთხოვნი დამოკიდებულება - აი ის თვისებები, რომლებმაც განაპირობა ზურაბ სოსელიას, როგორც სახელმწიფო მოღვაწის წარმატება.

მოგვიანებით ზურა ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ დააწინაურეს. ამ უწყებასთან ეროვნული ბანკის ურთიერთობა არ იყო ყოველთვის „მშვიდობიანი“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად გაცილებით მეტ ემისიურ კრედიტს მოითხოვდა, ვიდრე ამაზე ეროვნული ბანკი იყო თანახმა. ზურას როლი ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: იგი ყოველთვის პოულობდა კომპრომისის ფორმულას. როგორც დიდ პროფესიონალს, მას ყოველთვის შეეძლო დამდგარიყო უწყებრივ ინტერესებზე მაღლა და ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივად ეაზროვნა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ზურაბ სოსელია კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა. მას იმ დროს მოუწია ამ უწყებაში მუშაობა, როდესაც ყალიბდებოდა ავტორიტარული რეჟიმი მისთვის დამახასიათებელი ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა პოლიტიკური ანგარიშსწორება, კანონის უხეინაესობის ხელყოფა, ფავორიტიზმი და ელიტური კორუფცია. მიუხედავად ამისა, ზურამ შეძლო ამ თანამდებობისათვისაც ღირსეულად გაერთმია თავი, არ გარეულიყო პოლიტიკურ ინსინუაციებში და არ მიეღო მონაწილეობა ადამიანების უკანონო დევნაში. და მაინც, დაძაბულ მუშაობას, მუდმივ ზეწოლას და ემოციურ დატვირთვას უკვალოდ არ ჩაუვლია. მართალია, ზურა ამას არ იმჩნევდა, მაგრამ ჩვენ, მისი მეგობრები, კარგად ვხედავდით თუ რა ძვირად უჯდებოდა მას

იმდროინდელ პოლიტიკურ ბომონდთან ურთიერთობა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორედ ეს იყო მისი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლის მთავარი მიზეზი.

არასოდეს დამავიწყდება ზურას ბოლო რამდენიმე თვე, როდესაც იგი ლოგინს იყო მიჯაჭვული და მხოლოდ თვალებით ახერხებდა ემოციების გამოხატვას. ლაღო პაპავასთან ერთად ხშირად მივიდიოდი მის სანახავად და ყოველ მისვლაზე ორივე ვცდილობდით მდგომარეობის გამოსწორების მცირედი ნიშნები მაინც დაგვეჩვენა. თითქოს იყო კიდევ რაღაც პროგრესი: ერთხელ რამდენიმე სიტყვაც კი გაგვაგონა, მაგრამ სულ მალე ყველაფერი დამთვარდა... დარჩა მხოლოდ გაუნელებელი სინანული, მას ხომ კიდევ მრავალი წელი უნდა ეცხოვრა თავის ყვეენისათვის, ოჯახისთვის, მეგობრებისთვის.

და, ბოლოს, განგებამ არაერთი დიდი განსაცდელი მოუვლინა ზურაბ სოსელიას. მარტო საყვარელი შვილის - გუგას ტრაგიკულად დაღუპვის გახსენებაც საკმარისია. მიუხედავად ამისა, ზურა არ გატყდა, შექლო ბოლომდე შეენარჩუნებინა სულის სიმსხვე და ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა. მისთვის, მისი თამუნასთვის და ყველა მისი ახლობლისთვის დიდი საჩუქარი იყო ამ ქვეყნად დავით (დათი, როგორც თვითონ ეძახდა) სოსელიას მოვლინება. დათი მართლაც სასახელო ბიჭი გაიზარდა, თუნდაც ის რად ღირს, რომ წლეულს ეროვნულ გამოცდებში 40 000 აბიტურიენტიდანმან ყველაზე მაღალი ქულები მოაგროვა და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სპეციალობაზე ჩაირიცხა. მე ასე მგონია, რომ დათის ამჟამინდელი და მომავალი წარმატებები ზურაბ სოსელიას სულის უკვდავების ყველაზე ნათელი დადასტურება იქნება.

მერაბ კაკულია

პროფესორი

ექვანება ზურაბ სოსელიას ნათელ ხსოვნას

ორი თვის წინ, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში მისადები გამოცდები დასრულდა, მედიაში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ყველაზე მაღალქულებიანმა სტუდენტმა უნარებში აიღო 80-დან 80 ქულა, ხოლო სხვა ტესტებში შედეგი 95%-ზე მაღალი უჩვენა. ლოგიკური იყო და არც არავის უნდა გააკვირვებოდა, რომ უნივერსიტეტებს შორის გაიმართა კონკურენცია თუ 2015 წლის ყველაზე მაღალქულიანი აბიტურიენტი სად ისწავლიდა. გასაკვირი კი უფრო ის იყო, რომ სტუდენტის სახელი და გვარი არ იყო მოხსენიებული. თუმცა ყველა, ალბათ ჩემსავით გაიფიქრებდა, რომ როგორი ამაყი და გახარებული უნდა ყოფილიყვნენ მისი მშობლები, რომ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა გაზარდეს.

მოვიანებით კი საზოგადოებისათვის ცნობილი, გახდა რომ ეს სტუდენტი დავით სოსელია იყო, ანუ დათი, რომელსაც მისი ოჯახის მეგობრები კარგად ვიცნობდით ბავშვობიდან. ზურაბ სოსელიას და თამუნა თაფლაძის ვაჟის ნიჭიერება ჩვენთვის ხომ კარგად იყო ცნობილი.

ზურას დღეს სამოცი წელი შეუსრულდებოდა. ალბათ არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მისი ვაჟის წარმატება ყველაზე დიდი საჩუქარი იქნებოდა მისთვის, და დედისთვის - თამუნასათვის, რომელსაც ბოლო წლებში ზურას გარეშე არაფერი მოუკლია შვილისთვის, რომ ქვეყნისათვის სასახელო ვაჟი გაეზარდა.

ზურა შესანიშნავი პიროვნება, იყო გამორჩეული თავისი პატიოსნებითა და ინტელექტით. მე ორი ათწლეულის განმავლობაში არაერთხელ მქონდა მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა სხვადასხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო საკით-

ხეზე, სადაც ის ყოველთვის ამჟღავნებდა თავის პროფესიონალიზმს, პრინციპულობას და საქმისათვის ერთგულებას.

მას არაერთხელ დაუცვია საქართველოს ინტერესები და პრესტიჟი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, რადგან სამშობლოს სამსახური მისთვის უმნიშვნელოვანესი მისიაგახლდათ

ზურა გამორჩეული იყო მეგობრობაშიც. ამის დასტურია მეგობრების ის დიდი წრე, რომელიც მან სტუდენტობის, სამეცნიერო თუ სახელმწიფო სამსახურის პერიოდში შემოიკრიბა.

დღეს დათი საქართველოში არსებული სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტია, მისი ნიჭიერება მას ბევრ წარმატებას მოუტანს, რისთვისაც წინ ბეჯითი სწავლა, შრომა და გარჯა ელოდება. მისი პროფესიული მომავალი დარწმუნებული ვარ თავდაუზოგავი შრომის შედეგად ქვეყნის წინსვლის საქმეში წვლილის შეტანა იქნება, როგორც ამას ზურა აკეთებდა.

ვფიქრობ რომ ჩვენ ყველას, ზურა სოსელიას ოჯახის მეგობრებსა და ახლობლებს, დათი კვლავ არაერთხელ გაგვახარებს და კიდევ ერთხელ გაათქმევინებს, რომ ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა, რაც უპირველეს ყოვლისა ზურას მარადიული ხსოვნის გვირგვინი იქნება.

დავით ონოფრიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გამორჩეული ბედის კაცი

სტუდენტობიდან მოყოლებული, გარდაცვალებამდე ზურა სოსელიას და ჩემი ცხოვრება ერთ სივრცეში და ერთ წრეში მიმდინარეობდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ზურა ჩემი „სიძე“ გახდა, როდესაც ჩემს უჭკვიანეს (და ულამაზეს) სტუდენტ თამუნა (თამარ) თაფლაძეზე დაქორწინდა. ამიტომ ჩვენ ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდით. ზურა ნაფერებად გაზრდილი თბილისელი ბიჭი იყო, მაგრამ გამორჩეულად თავმდაბალი, კეთილი, კომუნიკაბელური. ახალგაზრდობაში კარგი განათლება მიიღო და დიდი ცოდნა დააგროვა. წარმატებული იყო კარიერაში. კარიერულ ზრდაში მან მიაღწია შესაშურ მწვერვალებს. ამ სტილში გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე – წინა პლანზე სულ ზურას ბედი მოდიოდა. ზურას არ ჰქონდა დაბედებული ჩვეულებრივი, სწორხაზოვანი ცხოვრება. მისი ცხოვრება მოძრაობდა ზესკნელამდე ბედნიერებასა და ქვესკნელამდე გამწარებულობას შორის. დიდმა ტკივილმა ზურა არ გააბოროტა, არამედ დააბრძენა (საერთოდ, ალბათ დიდი ტკივილისა და განსაცდელის გარეშე სიბრძნისკენ გზა ცოდნასა და გამოცდილებას ვერ გაშორდება). ამისთვისაც მას განგებით კვლავ ებოძა ზესკნელამდე ბედნიერება. მისტიური იყო მისი ამ სოფლიდან ნელი გასვლა, რომელშიც მოცემული იყო მისი ცოლ-შვილის ცხოვრებაში დიდ ბედნიერებათა, მათი გამრავლებისა და გაძლიერების გარდაუვალობის ნიშანი. საქმე ასე რომ მიდის სწორედ იმის გამოხატულებაა ეს მოგონებაც - ხსოვნას ხომ ოჯახის სიძლიერე და პატივისცემა დარაჯობს.

მიხეილ ჯიბუტი

პროფესორი

ზურა სოსელიას გახელება

ზურა სოსელია - ეს სახელი და გვარი ჩემთვის მაღალ პროფესიონალიზმთან, დიდ სიკეთესთან, პატრიოტიზმთან და გულითად მეგობრობასთან არის დაკავშირებული. ზურასთან ჩვენი ქვეყნისთვის და ყველა ჩვენგანისთვის ძალზე მნიშვნელოვანი წლები მაკავშირებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, მრავალ თანამოაზრესთან ერთად, სხვადასხვა პოზიციებიდან ვცდილობდით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა საქართველოს საგარეო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ზურასთან ურთიერთობა ძალზე კომფორტული იყო საქმეშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მას ნებისმიერ სიტუაციაში ენდობოდი, ზურასთვის დალატი უცხო ხილი იყო. ძალიან ხშირად ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირობოროტო თემებზე, მის მომავალზე. ზურას პრობლემების გადაჭრის ძალზე ორიგინალური გზების მოძებნის დიდი უნარი ჰქონდა. ერთობლივად ბევრი სასარგებლო საქმე გვაქვს გაკეთებული.

ზურაში საოცრად იყო შერწყმული სიდინჯე, სიმშვიდე, საქმის დრმა ცოდნა და შეუპოვრება. სწორედ ეს თვისებები იყო ზურას წარმატების საწინდარი. როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იქნებოდა ეს ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი თუ შეერთებული შტატები, არაერთხელ ვარ მომსწრე მის მიერ გამართული წარმატებული მოლაპარაკებების, თუ დამაჯერებელი საჯარო გამოსვლების. ზურას ჰქონდა უზადო უნარი, მისდამი პატივისცემით განეწყო როგორც თანამოაზრე, ასევე ოპონენტი, აუღელვებლად და ლოგიკურად დაესაბუთებინა მათთვის თავისი პოზიცია.

ზურა სოსელიაზე წარსულ დროში საუბარი შეუძლებელია. ის მუდმივად ჩვენთან, მის მეგობრებთან არის. ზურას ჰყავს მისი საქმეების ღირსეული გამგრძელებელი – მისი ვაჟი დაეით სოსელია. არაჩვეულებრივად მახსოვს, თუ როგორ მოუთმენლად ელოდნენ ზურა და მისი მშვენიერი მეუღლე თამარი დავითის ამქვეყანაზე მოვლენას. დღესაც თვალწინ მიდგას ზურას სიხარულით გაბრწყინებული სახე, როდესაც მას დათუწას (ასე ეძახდა ზურა თავის ვაჟს) დაბადებას ვულოცავდით. დარწმუნებული ვარ, რომ ზურა დღესაც ბედნიერი და ამაყია თავისი ვაჟით, რომელიც წელს, უმაღლესი მანქანებლებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სან-დიეგოს უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობით და ზურას ამგვარად მიულოცა 60 წლის იუბილე. როგორც ზურას მეგობარმა, დათოს ცხოვრებაში დიდი ბედნიერება და წარმატებები მიინდა ვუსურვო და შევახსენო, რომ ზურა სოსელიას სახელი ცხოვრებაში მას ბევრ კარს გაუხსნის. ეს იყო ზურას ოცნება და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მან ეს ოცნება აიხდინა.

კოტე ზალდასტანიშვილი

დაუვიწყარი მეგობარი

რა სწრაფად გადის დრო. ვერ აღვიქვავ, რომ ზურა ჩვენს გვერდით არ არის. ბედნიერება მქონდა, 20 წლის მანძილზე, სამსახურებრივი ურთიერთობის გარდა მეგობრები ვყოფილვით. ჩვენი გაცნობა ჯერ კიდევ 1975 წელს მოხდა ბორჯომში, სადაც ზურას მშობლები მასთან ერთად ისვენებდნენ. ბატონი სერგო სოსელია და ქარბატონი შურა მარგველაშვილი უნივერსიტეტში ჩემი ლექტორები იყვნენ. მათთან შეხვედრამ ძალზე გამახარა. ერთად ერთი კვირის განმავლობაში

სასიამოვნოდ გავატარეთ დრო და იგი ტკბილ მოგონებათ შემომრჩა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ მე და ზურა შემდგომში, მაშინდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ერთად მუშაობის პერიოდში დავმეგობრდებოდით.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ადამიანებთან ურთიერთობის უნარი მის მიმართ მტერსაც კეთილად განაწყობდა და მით უფრო ჩვენ გასაყოფი არაფერი გვქონდა გარდა მეგობრული სიყვარულისა.

ზურა ნამდვილი ლიდერის თვისებების მატარებელი იყო. მან თითქმის ყველაფერი იცოდა მის მეგობრებზე, და თანამშრომლებზე. იცოდა ვინ რისი მაქნისი იყო, ვის უჭირდა და ვის უღხინდა. მასთან ყოველთვის შეიძლებოდა თავისუფლად ურთიერთობა, საუბარი, მსჯელობა, ის მეცნიერული იყო, სამსახურებრივი თუ პირადული ხასიათის.

მთელი მისი მოღვაწეობა და საქმიანობა, მეცნიერულ თუ სახელმწიფო სამოხელეო მისი ცხოვრების მთავარი აზრიდან დ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობდა. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც თავის ქვეყანას სჭირდებოდა. ეროვნული მოძრაობის და შემდგომ წლებშიც იმ საჭირო საქმეს აკეთებდა, რაც მოცემულ მომენტისთვის ქვეყნისთვის იყო აუცილებელი.

არც გაჭირვება და წინააღმდეგობა დაკლებია ცხოვრებაში. მთელი მისი მეცნიერული და სახელმწიფო მოღვაწეობა ბრძოლა იყო. ამბიციურ უცოდინარს ვერ იტანდა და მეგობრული განწყობით იცილებდა მათ თავიდან. ეს მისი სამაგალითო უნარი იყო.

უყვარდა ადამიანი, სიცოცხლე, მაგრამ არც სიკვდილის შეშინებია, როცა ყველასგან მოულოდნელად, უეცრად ძალზე ახალგაზრდა ...

არაჩვეულებრივი მეუღლე დ თამუნა თაფლაძე და ნიჭიერი შვილი დ დათო დაუტოვა სამშობლოს ზურამ. მისმა შვილმა, დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, მისაღებ გამოცდაზე ყველა გააოცა, როცა შეფასების მაქსიმუმი მიიღო. სხვაგვარად როგორ? ის ხომ ზურა სოსელიას ჯიშის და ჯილაგის გამგრძელებელია. ღმერთმა ხელი მოუშართოს მას და მის საყვარელ დედიკოს. ვიცი, რომ ზურა მუდამ იცოცხლებს მათ გულში, ვიცი, რომ არც მეგობრები დავივიწყებთ მას.

ავთანდილ სულაბერიძე

პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი

გენის მშენება

არიან ადამიანები, რომლებიც, საბედნიეროდ, უფლისა თუ ბედის წაყლობით, მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახისთვის არ იბადებიან. მათი მისია მოვლინებისთანავე სხვაა, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავონ უძველესი ქართული სულის თავგადასავალში, მამულის ღირსებისათვის უნდა იღვაწონ, მისი კულტურის, ისტორიის, სიბრძნის, სიკეთის მსახურნი უნდა იყვნენ, თავისი ბილიკი დაამჩნიონ ერის ცხოვრებას. წუთისოფლიდან ამანძილების შემდეგ კი სააქაოდან დიდი სიყვარული და წრფელი ცრემლი წაიყოლიონ, ნათელი სულით წარდგნენ მარადიულ სინათლეში.

სწორედ ასეთი კაცნი ასაზრდოებენ ჩვენს ყოფას. ისინი ყველა დროის თანამედროვენი არიან, რადგან ხშირად მათი სახელის სხენებაც კი წვრთნის სულსაც და გონებასაც.

ეს სიტყვები ზურაბ სოსელიასთვის დაიწერა. არ შეიძლება, სიამაყე არ გაგვიჩინდეს მისი გახსენებისას. ალბათ, ბედმა გამოგვარჩია, რომ ზურას ვიცნობდით, ვმეგობრობდით, ვთანამშრომლობდით, ტკივილსა და სიხარულს ერთად ვიზიარებდით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ჩვენი მეგობრობა 1972 წელს. ეს, მართლაც, დიდი ტაძარი მხოლოდ ცოდნის მსახური არ იყო. ის ურთიერთობას, მეგობრობას, ერის სიყვარულს, ტრადიციების პატივისცემას და ყველა ადამიანურ მადლს გეგასწავლიდა. ამიტომ ამ თეთრ ტაძარდამთავრებულებს თითქოს მოვალეობაც გექონდა, რომ ერთმანეთი გვეყვარებოდა, არ დაგვეკარგა, რადგან ერთი ღამეზე იჯახის გამოზრდილები ვიყავით.

ზურაბ სოსელიას გამორჩეული ადამიანური თვისებები მშობლებისგან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანოზის დეკანი იყო, რომელთა მადლითაც იყო სავსე. მისი მშობლები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ უნივერსიტეტში, ეკონომიკური ფაკულტეტის ცნობილი მეცნიერები იყვნენ.

ზურაბმა 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „მრეწველობის ეკონომიკის“ სპეციალობით. 1977-1980 წლებში კი სწავლა გააგრძელა მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამის შემდეგ ზურა მღვანელობას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლისა და განყოფილების გამგის თანამდებობებზე. თითქოს ბედის წყალობა იყო, რომ აქაც ერთად ვიყავით. ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით პროფესორ არჩილ თეთრაულთან. აქ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

როგორი იყო ზურაბ სოსელია? – უკეთილშობილესი, უბოროტო, უაღრესად განათლებული, მორიდებული, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, მკაცრი და მომთხოვნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ, ძალიან ყურადღებიანი. ყოველთვის წარმატებული იყო. თავისი მუშაობით გამოირჩეოდა როგორც მეცნიერებაში, ასევე სხვადასხვა სამინისტროებში მალა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყოფნისას. ქვეყნის უმაღლეს ემულონებში შეუმჩნეველი არ დარჩენილა ზურაბ სოსელიას დიდი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა, მისი მრავალმხრივი განსწავლულობა, ნიჭი, უნარი, ინტელექტი და იგი 2004 წლის ივლისიდან ხდება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

ბუნებრივია, ყოველთვის სიამაყე დაგეუფლება ასეთ ადამიანთან ურთიერთობისას. ზურაბმა ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი აირჩია. ქალბატონი თამარ თაფლაძე დღესაც პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელია.

პირველი ვაჟიშვილის – გუგას დაბადება ზურასთვის დიდი სიხარული იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი წელი იყო ბედნიერი მამა... ყველა განვიცდიდით ზურას და თამარის უსაზღვრო ტკივილს. შემდეგ ახალი სიცოცხლე გაჩნდა სოსელიების ოჯახში, დავით სოსელია. ეს დიდი სიხარული იყო. ზურა შვილს მოფერებით დათის ეძახდა, მისით ნუგეშობდა. პატარა დათი გახდა მამისთვის სიცოცხლისა და ბედნიერების სხივი. ჩვენც გვიხაროდა, რადგან ზურაბ სოსელია იყო კაცი, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა ბედნიერებას,

ის ყოველთვის გამორჩეული პირადული თვისებებისა და ღირსების ადამიანი იყო.

სამწუხაროდ, ხშირად ბედისაგან გამორჩეული ადამიანების სიცოცხლის გზაზე ცრემლიც მოულოდნელად გუბდება. ასე მოხდა ახლაც. ზურას თბილ ოჯახში კვლავ განსაცდელმა შეაბიჯა. სრულიად ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე კაცი ავად გახდა. ბევრი ეცადნენ, მაგრამ მედიცინა დამარცხდა. ვერ ვიჯერებდით, რომ ზურას შეიძლება ასე ნაადრევად დავეტოვებინეთ. პატარა დაობლდა დათი. მამას თან მიჰქონდა შვილთან დაკავშირებული აუხდენელი ოცნებები. მეუღლეს უტოვებდა გასაზრდელად პატარა პირმშოს. მამის ხელი მას უნდა შეეცვალა.

ყველა ადამიანს თავისი ხვედრი აქვს, „განგების გარდაღვინა“ არავის ძალუძს. ზურაბ სოსელიას ბედისწერაც ეს იყო. ნაადრევად აიძინა ისეთმა კაცმა, რომელიც დააკლდა ქვეყანას, ოჯახს, მეგობრობას, მეცნიერებას და ყველაზე მეტად თავის უძვირფასეს დათის და თამარს. თამარ თავფლადემ ღირსეული ცალობა მხოლოდ სიცოცხლეში არ გაუწია ზურას, მის გარეშე დარჩენილ ოჯახს სინათლე და მადლი არ მოაკლო. თამარის დამსახურებაა ის, რომ საქართველოს არაჩვეულებრივი შვილი გაუზარდა. წელს ყველა ვგულშემატკივრობდით დათის ეროვნულ გამოცდებზე. ის ხომ ყველა ჩვენგანის, ზურას მეგობრების, შვილიც არის.

ოქროს მედალოსანი დავით სოსელია ნამდვილად კაი ყმა აღმოჩნდა. ის ყველაზე წარმატებული სტუდენტია დღეს. უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა სანდიეგოს უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობაზე. მისი მომავალი სამეცნიერო მუშაობის ინტერესის სფეროა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული კვლევა.

სული უკვდავია. წუთისოფლის საცხოვრის მხოლოდ სხეული მიეფარება ხოლმე. ამიტომ ზურა აუცილებლად იგრძნობდა შვილის გამარჯვებას და მარადიული ნათელიდან დალოცავდა თავის ერთადერთ და ღირსეულ მემკვიდრეს.

ზურა მოგილოცავ დაბადების დღეს და იუბილეს. ექვსი ათეული წელი შეგისრულდა. სამწუხაროდ შენს გარეშე აღვნიშნავთ ამ თარიღს. მადლობა იმისთვის, რომ არსებობდი, რომ გვათბობდა შენი მადალი მეცნიერული ინტელექტი, მისაბაძი მრავალენოვანი მეტყველების არაჩვეულებრივი კულტურა. შენი მოღვაწეობის მრავალი წლების მანძილზე იცვლებოდნენ მინისტრები, მაგრამ შენ რჩებოდი ყოველთვის საქმის სადარაჯოზე, იმიტომ რომ შენ სჭირდებოდი ქვეყანას, მის მომავალს, რამეთუ ბევრად წინ უსწრებდი დროს. ეტყობა, ეს შენი ღვთიური მისია იყო. ზურა შენ მეგობრობის სილამაზესაც გვაზიარე და დააბიჯებდი „სავსე ქართული პატიოსნებით“. ყველაზე დიდი მადლობა კი იმისთვის, რომ დაგვიტოვე სამშობლოს და ჩვენც მართლაც რჩეული ყმა, დათი. მასში შენი გენის მშვენება ამზიანდა. ჩვენ ვამაყოფთ მისით, შენი მეგობრები ყოველთვის გვერდში დაგუდგებით. გვჯერა, რომ დავით სოსელია ასახელებს ერის ღირსებასა და ინტელექტს. ასეთ შვილებს ნებისმიერი ერი ინატრებდა.

ზურა, „იმ შემოქმედის მადლის ღვთის“ ნათელში ყოფილიყავი.

მურმან კვარაცხელია

პროფესორი

ზურაბ სოსელიას გახსენება

52 წლის ასაკში, ადრინად წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი, არაჩვეულებრივი პიროვნება, კარგი ოჯახის შვილი და საუკეთესო მოქალაქე ბატ. ზურაბ სოსელია, რომელსაც წელს 60 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონი ზურაბი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში 1980-1993 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და განყოფილების გამგედ მუშაობდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ინსტიტუტში გამოცდილი და უკვე აღიარებული მკვლევარების გვერდით ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერი ნაყოფიერად მოღვაწეობდა, მათ შორის იყო ბატონი ზურაბი, რომელიც გამოირჩეოდა სიახლისადმი სწრაფით, საქმიანადმი სიყვარულითა და თავდადებით. ეს პიროვნული თვისებები თან გაჰყვა მას ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

იგი იყო გაწონასწორებული პიროვნება, მეგობრებისა და თანამშრომლების მიმართ გულისხმიერი და ზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც, ჩვენთან შეხვედრისას ყოველთვის ემჩნეოდა კეთილი განწყობა და სითბო. ბატონი ზურაბი ადევნებული ან გაცხარებული არასოდეს მინახავს, პირიქით, სულ ღიმილი დასთამაშებდა ჭკვიან და ნათელ სახეზე. საინტერესო იყო მისი გამოსვლები ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მის მიერ დასმული საკითხები ყოველთვის საყურადღებო, აქტუალური და მეცნიერულად დასაბუთებული იყო.

ინსტიტუტის მრავალი ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელი, მათ შორის ბატონი ზურაბი, წლების განმავლობაში წარმატებით აგრძელებდა საქმიანობას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე როგორც სამეურნეო, ისე სამეცნიერო სფეროში და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქვეყნის ცნობილ უმაღლეს სასწავლებელში. ამის დასტურია ის, რომ ბატონი ზურაბი სხვადასხვა წლებში იყო ჟურნალ „ეკონომისტის“ განყოფილების გამგე, საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პირველი მოადგილე და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თსუ-ს კათედრის გამგე, სადაც წარმატებით ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

ბატონ ზურაბს სიყრმის შვილის დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი შინაგანად ღრღნიდა და ანადგურებდა. 8 წელი გავიდა, რაც იგი ჩვენთან აღარ არის. ამ წლებმა დიდი დადი დაასვა მის ლამაზ ოჯახს: მეუღლეს, ენერგიულ და საქმიან პიროვნებას – თამუნა თაფლაძეს და ვაჟიშვილს, ნიჭიერსა და გამორჩეულ ახალგაზრდას – დათო სოსელიას, რომელმაც წელს გაამართლა ზურას, თამუნას, მზიას და ყველა ჩვენგანის იმედი, უმაღლესი შეფასებით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლად შექმნილ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. დათოს დღევანდელი წარმატებები და მომავლის მისეული მიზანდასახული ჭვრეტა საფუძველს მაძლევს ვიფიქრო, რომ იგი კარგი მამის ღირსეული შვილი დადგება.

ბატონი ზურაბი ამქვეყნიდან თავისი უდროოდ წასვლით დააკლდა როგორც თავის ოჯახს, ისე ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო საზოგადოებას, რომელთან ერთადაც მას ბევრი კარგი საქმის გაკეთება ჰქონდა ჩაფიქრებული.

სიცოცხლეში მაღალი ადამიანური ღირსეუბებით შემკული ბატონო ზურაბ, ნათელში იყოს თქვენი სული.

ლინა დათუნაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ზურაბ სოსელიას მონატრება

ვერასდროს ვიფიქრებდი, ზურაბ სოსელიაზე საუბარი წარსულ დროში რომ მომიწევდა, მე ხომ მასზე ბევრად უფროსი ვიყავი და მას პატარაობიდანვე ვიცნობდი. როდესაც დასრულების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში (ამჟამად თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი) 1960 წელს მუშაობა დავიწყე, იქ დამხვდნენ ზურაბის მშობლები, შესანიშნავი ქალბატონი შურა მარგველაშვილი და ბატონი სერგო სოსელია. ისინი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები იყვნენ, იქვე ახლო ქუჩაზე ცხოვრობდნენ და ჰყავდათ ერთი შვილი. ბავშვი ზოგჯერ მოჰყავდათ ინსტიტუტში და ჩვენ ვხედავდით როგორ ანცობდა თმასუჭუჭა, პატარა, ლამაზი ბიჭის ინსტიტუტის ეზოში, როგორ დასდევდა პეპლებს, ახალისებდა ინსტიტუტსა და გარემოს. ეს ბავშვი ზურიკო იყო. შემდეგ ქალბატონი შურა და ბატონი სერგო სამუშაოდ უნივერსიტეტში გადავიდნენ და ჩვენი გზებიც დროებით გაიყარა, თუმცა ინსტიტუტის კოლექტივთან ურთიერთობა არასდროს გაუწყვეტიათ და მე შორიდან ვიგებდი, როგორი წარმატებული შვილი ჰყავდათ. დრომ ისე სწრაფად გაირბინა, რომ მე გაოცებული დავრჩი, როცა ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ზურაბმა მუშაობა ინსტიტუტში დაიწყო და თანაც ჩვენს განყოფილებაში. პირველად ვერც კი ვიცანი, მან თვითონ შემახსენა თავი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა პატარა ბიჭის ნაცვლად ჩემს წინ იდგა უკვე ჩამოყალიბებული, ზრდილი და განათლებული მშვენიერი ახალგაზრდა. ამის შემდეგ ზურაბი ჩემი თვალთახედვიდან აღარასოდეს გამქრალა და მე მისი შემდგომი წარმატებების უშუალო მხილველი გახდი. კარგად მახსოვს ინსტიტუტში მის მიერ შესრულებული პირველი სამეცნიერო ნაშრომი. წარმატებები ასპირანტურაში სწავლისა თუ საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, დისერტაციის დაცვა, ოპონენტების შეფასებები. განსაკუთრებით მოსკოველი ოპონენტის გამოსვლა დამამახსოვრდა, რომელმაც ზურაბს წარმატებები უწინასწარმეტყველა. ის მართლაც გამორჩეული იყო თავისი ინტელექტითა და ერუდიციით, ზრდილობიანი დამოკიდებულებით ადა-მიანებისადმი, იგრძნობოდა, რომ ინტელიგენტი ეკონომისტების ოჯახში იყო აღზრდილი. ეს გასული საუკუნის 80-იანი წლები იყო, როცა ქვეყანაში გარდაქმნების სუნი ტრიალებდა, როცა ცალკეულ რეგიონებსა და საწარმოებს დამოუკიდებელი განვითარების უკეთესი შესაძლებლობები გაუჩნდათ და როცა ამ საქმეში ცალკეული ინსტიტუტებიც ჩაებნენ, მ.შ. ჩვენიც. მაშინ ჩვენ ურთიერთობებს ვამყარებდით ცალკეულ საწარმოებთან, რაიონებთან, ვადგენდით მათი განვითარების კონკრეტულ, პერსპექტიულ გეგმებს და ამ საქმეში ბატონი ზურაბის მონაწილეობა მართლაც რომ ღირსშესანიშნავი იყო, სწორედ იქ გამოჩნდა ზურაბის ინტელექტუალური შესაძლებლობები, მისი უნარი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა, მისი, როგორც მეცნიერის და ორატორის დიდი შესაძლებლობები, სწორედ ამიტომ მას არასდროს მოკლებია საკუთარი ნააზრების არც მსმენელი და არც წამკითხველი. ამავე დროს ის ლექციებს უკითხავდა ახალგაზრდებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდეგ იყო მისი გატაცება მომავალი მეუღლით, ჩვენი საყვარელი თამუნათი, რომელთანაც ქორწინებით მან ეკონომისტთა უკვე ტრადიციული ოჯახი კიდევ ერთი ნიჭიერი წევრით გაამდიდრა. ზურაბის, როგორც მეცნიერის, პედაგოგის და პიროვნების დიდი ნიჭიერება, განათლებულობა და უნარ-ჩვევები შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ის ჯერ ინსტიტუტის მიკროეკონომიკის განყოფილების გამგედ დაინიშნა, შემდეგ კი არაერთ სამთავრობო თანამდებობაზე დაწინაურდა ჯერ სხვადასხვა სა-

მინისტროში მინისტრის პირველი მოადგილის რანგში, შემდეგ კი კონტროლის პალატის თავმჯდომარედ. სწორედ იქ გამოიჩინა ზურაბმა თავი, როგორც თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტმა, უბადლო პატიოსნებისა და უმწიკვლო მორალის მქონე პიროვნებამ და მიუხედავად გარკვეული ზეწოლისა, არასდროს წასულა კომპრომისზე საკუთარ სინდისთან, არასდროს უღალატნია საკუთარი მრწამსისა და შინაგანი ბუნებისათვის. ბევრისაგან განსხვავებით არც გადიდკაცებულა, ის ისეთივე სადა, სუფთა და უმწიკვლო დარჩა, როგორც მანამდე იყო. თუმცა ზედმეტად დაძაბულმა შრომამ, ცალკეულმა ცხოვრებისეულმა სტრესულმა შემთხვევებმა ჯანმრთელობა საგრძნობლად შეურყია და ოჯახის ხანგრძლივი თავგანწირული მზრუნველობის, ყურადღებისა და მკურნალობის მიუხედავად ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ქვეყნის, ოჯახისა და ყველა ჩვენგანისათვის სამწუხაროდ, ძალზე ახალგაზრდამ მეტად ადრე დაგვტოვა, არადა მას კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო ოჯახისა და ყველა ჩვენგანისათვის და მთელი ქვეყნისათვის. თუმცა ბევრი რამ მოასწრო, შექმნა საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები, დატოვა შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე და შვილი – დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა, დავით სოსელია, რომელიც, უმწიკვლოდ შეინახავს მამის წმინდა სახელს, ასახელებს მშობლებს და ქვეყანას.

ზურაბ სოსელიას ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას პირადად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა.

ნანული არევაძე

განყოფილების გამგე, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

როგორი გვახსოვს ზურაბ სოსელია

ზურაბ სოსელიას შეუსრულდა 60 წელი დაბადებიდან და 13 წელი გარდაცვალებიდან. თავისი ასაკისთვის მან სიცოცხლეში ბევრი რამ მოასწრო, როგორც მეცნიერმა და როგორც საზოგადო მოღვაწემ. 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენ თანაკურსელები ვიყავით და კარგად მახსოვს თუ როგორი წარმატებული იყო სწავლაში და როგორი აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორი წარმატებით ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას თავის ფაკულტეტზე. შემდეგ კი ინსტიტუტში, 1980-1993 წლებში, წარმატებით განვლო გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე. დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბატონი ზურაბისთვის, როგორც ყველა მეცნიერისთვის, განსაკუთრებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი, როცა იგი სათავეში ჩაუდგა მაიროეკონომიკის განყოფილებას. ამ თანამდებობაზე მუშაობისას საინტერესო იყო მისი, დროის მოთხოვნებს მორგებული მოსაზრებები ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე. აზროვნების ლოგიკა, პრობლემატური საკითხების სწორი ხედვა და მათი შესანიშნავად ფორმულირება გამოარჩევდა ზურაბ სოსელიას სწავლულ ეკონომისტთა წრეში. იგი იყო 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ბატონი ზურაბი ასევე ეწეოდა წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1993-2007 წლებში, სიცოცხლის ბოლომდე, 14 წელი, ბატონმა ზურაბმა იღვაწა დიდ ხელმძღვანელ თანამდებობებზე: იყო საგარეო ეკონომიკურ ურთიერ-

თობათა მინისტრის პირველი მოადგილე, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე და კონტროლის პალატის თავმჯდომარე სიცოცხლის ბოლომდე.

მაღალ თანამდებობებს ზურაბ სოსელია არ შეუცვლია. იგი იყო და დარჩა გულისხმიერ, სიკეთით სავსე, უბოროტო, კეთილგონიერ და კეთილსინდისიერ ადამიანად. არასდროს არ დამავეწყდებოდა, ერთხელ ძალიან ახლობელმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, შენ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილეს ზურაბ სოსელიას იცნობ და გთხოვ, მასთან მიმეყო, ესა და ეს საკითხები უნდა გავარკვიო და მის მეტი ვერავინ დამეხმარებაო. დავთანხმდი და მივედი. კაბინეტში ზურამ მიგვიღო, სამგლოვიარო სამოსში იყო, კაბინეტის შემოსასვლელში სურათიდან, მოზრდილი ფორმატის სურათიდან, მისი შვილი გვიღიმოდა, ისეთი ლამაზი, წამიერად რეალობას მოგწყვდი, დამავეწყდა..... მოფერება მომინდა...

ბატონმა ზურაბმა გულისხმიერად მოუსმინა ჩემს მეგობარს და მითხრა, მაგ საკითხებზე პასუხის გაცემა შეუძლია ამა და ამ პიროვნებას ამა და ამ განყოფილებაშიო. მე მადლობა გადავუხადე და ვუთხარი თქვენი სახელით მივალთ მეთქი. მაშინ, როცა მას შეეძლო უბრალოდ გავეგზავნეთ, ან, ყველაზე მეტი, დაერეკა, ჩვენ ამაზეც დიდი მადლობლები დავრჩებოდით, თვითონ წამოგვეყვა, წარგვადგინა და პასუხიც მოისმინა. იქიდან გამოსულეები კვლავ თავის კაბინეტში დაგვაბრუნა, ჩემი მეგობრის აზრიც მოისმინა და თავისი საქმიანი რჩევებიც მისცა. საუკეთესო მანერები ზურაბ სოსელიას მახასიათებელი იყო. მასავეთ გულისხმიერად ცოტა ვინმე თუ მოიქცეოდა. სასიკეთო საქმისთვის, იმისთვის, რომ დახმარებოდა თუნდაც მისთვის უცხო ადამიანს, არ დაენანა არც დრო და არც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა.

კაბინეტიდან გამოსვლისას ჩემს მეგობარს ვუთხარი ზურას „ტკივილის“ შესახებ. ორივე ავტირდით. წამოვედით სევდიანები და მადლიერების გრძნობით სავსენი.

ყურადღება დიდი სიკეთეა, რაც ერთმა ადამიანმა მეორესთვის შეიძლება გაიღოს. მისგან გამომჩენილი ყურადღება დიდხანს მიქმნიდა ავტორიტეტს.

მეც ჩემ მხრივ მინდა გითხრაო,

აი, ასეთი იყო ზურაბ სოსელია!

ზურაბ სოსელიას ღმერთმა არგუნა წარმატებები, დიდი ტკივილი, მაღალი თანამდებობები და საზოგადოებრივი მდგომარეობა, შესანიშნავი მეუღლე და საუკეთესო მეორე ვაჟიშვილი, ამ წლის ყველაზე წარმატებული პირველკურსელი. მომავალში მის ოჯახს ღირსეული გაგრძელება ჰქონოდეს და უფლის წყალობა არ მოკლებოდეს.

იზა ნათელაური

განყოფილების გამგე, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

შესანიშნავი მეცნიერ-მკვლევარი და ღირსეული პიროვნება

იმ თაობის ახალგაზრდა სპეციალისტებს შორის, რომლებიც გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში მოვიდნენ ეკონომიკის ინსტიტუტში სამუშაოდ, ბატონი ზურაბ სოსელია ერთ-ერთი გამორჩეულთაგანი იყო, რომელმაც იმთავითვე მიიქცია ყურადღება თავისი ნიჭიერებითა და შრომის-მოყვარეობით. მან უმოკლეს ვადაში მოახერხა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლება და აქტიურად ჩაება ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ბატონ ზურაბს არ გასჭირვებია ინსტიტუტის კოლექტივთან ადაპტირება, რამეთუ, ის ინსტიტუტში სამუშაოდ მისვლამდეც კარგად იცნობდა მის კოლექტივს. საქმე ისაა, რომ მისი მშობლები – ბატონი სერგო სოსელია და ქალბატონი შუშანა მარგველაშვილი დიდი ხნით ადრე მუშაობდნენ ინსტიტუტში, აქვე შექმნეს ოჯახი და დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ იქ აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. ჯერ კიდევ პატარა ზურა ხშირად სტუმრობდა ინსტიტუტს, სადაც პირადად მე არაერთჯერ მინახავს ეზოში შადრევნის გარშემო მოთამაშე, რასაც შემდეგ მასთან ერთად ხშირად ვიგონებდით ინსტიტუტში გატარებული მისი ბავშვობის წლებს.

ინსტიტუტის ცხოვრებაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი. არა მხოლოდ მისმა მშობლებმა, არამედ მანაც, ქალბატონ თამუნა თაფლაძესთან ერთად, ჩვენსავე ინსტიტუტში შექმნა ოჯახი და ღირსეულად გააგრძელა ინსტიტუტში დაოჯახებისა და მეუღლეების ერთობლივი მეცნიერული მუშაობის დიდებული ტრადიცია. საყურადღებოა ისიც, რომ მისი მეუღლე ქალბატონი თამუნა ახლაც წარმატებით აგრძელებს მეცნიერულ მუშაობას და აქტიურადაა ჩაბმული ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონი ზურაბი, მაღალნიჭიერებასთან ერთად, ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული ისეთი ადამიანური თვისებებით, როგორცაა მაღალი ზნეობრივი სისპეტაკე, პრინციპულობა, ობიექტურობა, საქმისადმი ერთგულება და დიდი პასუხისმგებლობა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგული დარჩა ამ თვისებებისა და ერთი წუთითაც არ უღალატია მათთვის. სწორედ ამ თვისებებით მოიპოვა მან დიდი სიყვარული და პატივისცემა ადამიანებისა, რომლებთან ერთადაც მას მოუხდა მუშაობა სამეცნიერო-პედაგოგიურ და პრაქტიკულ სამოღვაწეო ასპარეზზე.

ბატონი ზურაბი იყო უადრესად დინჯი, მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნება. იმავდროულად იგი შინაგანად იყო უადრესად ემოციური, ყოველგვარ უპასუხისმგებლო და უმსგავს საქციელზე მკვეთრი რეაქციის მქონე ადამიანი. სწორედ მინდობილი საქმისადმი დიდმა პასუხისმგებლობამ, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანამ და ბოლო წლებში უადრესად დაძაბულმა სამუშაო რეჟიმმა, დიდ ოჯახურ ტრაგედიასთან ერთად, განაპირობა ყველასათვის მოულოდნელი მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან ნაადრევი წასვლა. დიახ, იგი ამ ქვეყნიდან წავიდა თავისი ენერჯისა და შემოქმედებითი ცხოვრების გაფურჩქვნის პერიოდში, როცა მას ხელეწიფებოდა, ეკეთებინა ბევრი სასარგებლო საქმე როგორც სამეცნიერო-პედაგოგიურ, ისე საზოგადოებრივ სამოღვაწეო ასპარეზზე.

ბატონი ზურაბი იყო ოჯახის მოყვარული კაცი. რაოდენ გაიხარებდა ის, რომ მოსწრებოდა მისი შვილის დავაუკაცებას, დათუნას მიერ ეროვნული გამოცდების წარმატებულად ჩაბარებას და სტუდენტად გახდომას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დათუნა – სახელოვანი წინაპრების შტამომავალი, არ უღალატებს ტრადიციას და, მისთვის მისაღები რაიმე ფორმით, გააგრძელებს ეკონომიკის ინსტიტუტში საქმიანობას, რითაც კიდევ უფრო უკვდაყოფს თავისი დიდი წინაპრის სახელს. რა იცით, იქნებ კვლავ მოხდეს სასწაული და მან სწორედ ეკონომიკის ინსტიტუტში შექმნას თავისი ოჯახი და ამით ღირსეულად დაამკვიდროს მშობლების, ბაბუისა და ბებუის მიერ შექმნილი დიდებული ტრადიცია. ღმერთმა ინებოს. ამინ!

და, ბოლოს, ამ მცირე მოგონებისასა გამიჩნდა აზრი, ხომარ იქნება უპრიანი, თუკი ამას ჩვენი სამეცნიერო კოლექტივი და მისი ხელმძღვანელი დაუჭერს მხარს, რომ ინსტიტუტში გაკეთდეს ხსოვნის პატარა კუთხე, სადაც გამოეფინება ყოფილი და აწ გარდაცვლილი თანამშრომლების სურათები. ეს საჭიროა როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრების ისტორიის, ისე

გარდაცვლილ მეცნიერთანამშრომელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. დარწმუნებული ვარყველა მოსული სტუმარი დიდი ინტერესით დაათვალიერებს მას, მოწიწებით მოიხრის ქედს ჩვენი სახელოვანი მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდება ჩვენგან ნაადრევად წასული ბატონი ზურაბ სოსელიას სურათთან და სათანადო პატივს მიაგებს ადამიანის ხსოვნას, რომელიც დიდად დააკლდა არამარტო მისი მშობლიური ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, არამედ სრულიად საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებას.

რევაზ ჯავახიშვილი

ეკონომიკის დოქტორი

ძვირფასი სტუდენტის გახსენების ორი შტრიხი

„სოსელიას ჯგუფი“

1970-იან წლებში თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ახალგაზრდა ლექტორები: ივერი შალამბერიძე, თეიმურაზ ძეგლიჯაშვილი და მე მრეწველობის ეკონომიკის კათედრაზე მუშაობისას დიდი გულმოდგინებით ვცდილობდით სტუდენტთა „გაწურვას“ და მკაცრი ლექტორის სახელის დამკვიდრებას. უმეტესად ერთი და იმავე ჯგუფში სხვადასხვა საგანს ვასწავლიდით და ჩვევად გვქონდა ერთმანეთში სწავლის შედეგების პერმანენტული განხილვა. გამოვყოფდით ხოლმე საუკეთესო სტუდენტებს, ჯგუფის ლიდერებს, თუმცა ხშირად ვერ ვთანხმდებოდით და მჯობნის თაობაზე ვკამათობდით. ერთადერთი, რაზეც ერთი აზრი გვქონდა, ზურაბ სოსელიას მრეწველობის „ბ“ ჯგუფი იყო, სადაც იგი ლიდერის ჭაპანს ეწეოდა. ამ ჯგუფში მასთან ერთად თავგამოდებით სწავლობდნენ შემდგომში ცნობილი ეკონომისტები: ნუგზარ ჩოხელი, ოთარ ხუფენია, ვახტანგ მუჯირიშვილი, ჯიმშერ სხირტლაძე და სხვები. ზურაბი არა მარტო თვითონ სწავლობდა ჩინებულად, არამედ ლექტორებმა პასუხისმგებლობა დავაკისრეთ, ეზრუნა მთელი ჯგუფის წარმატებაზე, რასაც ის შესანიშნავად ახერხებდა. მშვენივრად იყენებდა მისი ოჯახის აკადემიურ შესაძლებლობებს და მთელ ჯგუფს ამარაგებდა დეფიციტური თანამედროვე ლიტერატურით, განსაკუთრებით, საკურსო ნაშრომების შესრულებისას. ჩვენ მას პასუხს ვთხოვდით ჯგუფის ყველა წევრის აკადემიურ მოსწრებაზე. იგი ამ პასუხისმგებლობას არასდროს გაქცევია. მისი მაშინდელი ლექტორები დღესაც სიამაყით ვმსჯელობთ „სოსელიას ჯგუფზე“ და მათ წარმატებებზე, რომლის საფუძვლის ჩაყრაში, ჩვენთან ერთად, ზურაბ სოსელიას დამსახურება არანაკლებია.

დაუვიწყარი შეხვედრა კარპატებში

1976 წლის ივნისი მთავრდებოდა. შემთხვევით შევიტყვე, რომ ჩემი სტუდენტები ზურაბ სოსელია და ნუგზარ ჩოხელი დასავლეთ უკრაინაში, კარპატებში, საერთაშორისო ახალგაზრდულ ბანაკში – „ნევიცკოეში“ აპირებდნენ დასვენებას. ნუგზარი მამით ობოლი იყო და ზურაბის მშობლებს ზურაბის ძმად მიაჩნდათ და მის დასვენებაზეც ყოველთვის ისინი ზრუნავდნენ.

მე იმ წელიწადს კარპატებში ვაპირებდი მოგზაურობას და ჩემს მარშრუტში ნევიცკოეს ცნობილი ციხესიმაგრის მონახულებაც შევიტანე. უჟგოროდიდან რამდენიმე ტურისტთან ერთად ჩავედი ახალგაზრდულ ბანაკში და ბიჭები ვიკითხე. მიმანიშნეს აგერ ფიჭვებში ჩვენკენ ზურგით სხედანო. ფეხაკრეფით „მივეპარე“... წინა საღამოს „ტანცებს“ არჩევდნენ... უეცრად გამოვეცხადე... ენა ჩაუვარდათ... შემდეგ ხვევნა-კოცნით დამახრჩეს. მთელი ბანაკი შეიყარა, ჩვენს ქართველებს ლექტორმა ჩამოაკითხაო. აღმოჩნდა, რომ ბიჭები იქაც ლიდერები იყვნენ. ნევიცკოეს ციხესიმაგრე უნდა ვნახოთ და შუა ღლით უჟგოროდში დაებრუნდეთ-მეთქი. ზურამ თქვა: პირველი ადვილია, მეორე – ძნელიო.

ბიჭებს რამდენჯერმე ჰქონდათ ეს ციხე მონახულებული. მახსოვს ზურას განმარტება: 1241 წელს მონღოლები პირველად აქა და მეზობელ ხუსტის სიმაგრეში ხანგრძლივად შეაჩერესო. ჩამაყენეს „მწკრივში“. წინ ზურა, უკან ნუგზარი... ათეული მეტრის სიმაღლის შიშველი კედლების თავზე კანკალით მატარეს... მაფორთხეს...დამდალეს. ბოლოს ზურამ გააკეთა განცხადება: ნევიცკოეს რესტორანში აღვნიშნავთ შესვენებასო. მე ვიუარე, მოგზაურები რესტორნებში არ დადიან, თანაც იქ ძვირი ყოფილა ეს სიამოვნება, ფულის გადაყრა იქნება-მეთქი. ზურა მტკიცე აღმოჩნდა: სერგომ საკმაო ფული გამომატანა, დამატებითაც მომცა „ვინიცობისათვის“. ამაზე დიდი „ვინიცობა“ რა იქნებაო.

სუფრა ინტერნაციონალური იყო. ჩვენ შორის ზურამ ყველაზე კარგად იცოდა რუსული და ის თამადაობდა. სადღეგრძელოებს დიდი ენთუზიაზმით სმამალლა ამბობდა. მახსოვს, რესტორნის თითქმის ყველა მაგიდიდან უცნობი მოქიფენი ღვინით სავსე ჭიქებს გვიქნევდნენ და ზურას წარმოთქმულ სადღეგრძელოებს იმეორებდნენ...

მაშინ ვინ წარმიდგენდა, რომ ამ სიხარულისაგან გადარეული ახალგაზრდის ბედი შემდგომში ასეთი ტრაგიკული იქნებოდა.

მირიან ტუხაშვილი

პროფესორი

როცა მეგობარს კარგავ...

ზურაბ სოსელიას (გახსენება)

ვფიქრობ როგორ დავიწყო წერა, რადგან დღეს განსაკუთრებულ წერილს ვწერ. წერილს რომელიც ჩემს საყვარელ მეგობარს ეხება და მეგობარს რომელზეც წარსულში ვლაპარაკობ. წერისადმი განწყობილი მაინც ავფორიაქდი, რადგან ჩემ თავს დიდი პასუხისმგებლობა დავაკისრე, ამ ადამიანს ხომ ჩემს ცხოვრებაში უზარმაზარი ადგილი ეკავა. თითქმის შეუძლებელია სიტყვებით გადმოვცე ის რაც ამდენი ხანი მასთან მაკავშირებდა.

არ ვიცი რას ნიშნავს თქვენთვის მეგობარი, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ამ ადამიანებს ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ. როცა მეგობარს კარგავ დიდ გაურკვევლობაში ვარდები.....როცა მეგობარს კარგავ წარსულის გახსენება დიდ ტკივილს გაყენებს.....იხსენებ მასთან გატარებულ დღეებს და წუხარ.....იმიტომ რომ ეს აღარასოდეს განმეორდება.

ზურა (მე ასე მივმართავდი, მხოლოდ დედამისი ეძახდა ზურიკოს) გამორჩეული მეგობარი იყო ჩემთვის, გარდა მეგობრობისა მასთან ნათელმდრონობაც მაკავშირებდა. ის ცხოვრობდა პრინციპით „საუკეთესო რამ რაც შენი მეგობრისთვის შეგიძლია გააკეთო, ეს არის იყო მისი ნამდვილი მეგობარი“.

ჩვენი ნაცნობობა ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო, როდესაც ერთ-ერთ სამეცნიერო კომფერენციაზე, ჩემი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი მისი მამა ბატონი სერგო სოსელია გახლდათ, სწორედ მან გამაცნო ზურა და მას შემდეგ, როდესაც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში შევხვდით მეგობრობამდეც ბევრიც აღარაფერი გვაკლდა. ზურა იყო ის პირველი მეგობართაგანი, რომელიც ამ ინსტიტუტში შევიძინე. ის იყო გარკვეული ხიდი-მეგობრობის. არ უყვარდა ხმაალადი კამათი, პირიქით ცდილობდა ყველაფერი სიყვარულით ყოფილიყო დარეგულირებული.

მახსოვს ინსტიტუტში, როცა ქალბატონმა თამარ თაფლაძემ დაიწყო მუშაობა ზურა გარკვეული პერიოდი შეიცვალა, ბოლოს აღბათ პირველი მეგამანდო, რომ თამარზე სერიოზულად იყო შეყვარებული, რაც ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რადგანაც ანალოგიურ თემებზე ჩვენს შორის საუბარი არ ყოფილა.

ზურა გამორჩეული იყო როგორც სამეცნიერო ასპარეზზე, ასევე საჯარო სამსახურშიც, სხვა-დასხვა დროს მუშაობდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე-მინისტრის პირველ მოადგილედ და ბოლოს კონტროლის პალატაში თავმჯდომარედ.

ზურა მეგობრებში კარგი თამადაც იყო და დალევაც შეეძლო, თუ შეატყობდა რომ სუფრა ხმაურობდა დაიძახებდა „აბა ლაპარაკი სტოლში“ ეს იყო მისი ყველაზე დიდი გაფრთხილება, ყველაფერ ამას დიდი სიყვარულით აკეთებდა და სუფრაც ემორჩილებოდა. მინდა აღნიშნო ისიც რომ, მისი ერთადერთი შვილი დათი სოსელია სერიოზული თამადაცაა, სერიოზული სტუდენტიც და სერიოზული ლექტორიც (ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას თანატოლებს ამეცადინებდა).

დათიმ მისაღებ გამოცდებზე დაამტკიცა, რომ ის წარმატებით აგრძელებს თავისი ოჯახის საუკეთესო ტრადიციებს.

დიდი პატივისცემით,

ილია ზაქარიაძე

ბატონ ზურაბ სოსელიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით

ბატონ ზურაბ სოსელიას სახელთან, მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, მეუფლება ტკივილის გრძნობა და მახსენდება მისი სტუდენტობის წლები. მე, იმჟამად ახალგაზრდა დამწყები პედაგოგი იმ ჯგუფის კურატორი (მეურვე) გახლდით, რომელშიც ზურა სწავლობდა. ამის გამო, ცხადია, ახლო ურთიერთობა მქონდა თითოეულ სტუდენტთან და კარგად ვიცნობდი მათ. მთლიანობაში, აღნიშნული ჯგუფი თავისი მახასიათებლებით ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათ შორის, რომლებთანაც მქონია ურთიერთობა ჩემი დაახლოებით 25 წლიანი პედაგოგიური საქმიანობის განმავლობაში. თავად ზურა კი უდავოდ უპირველესთაგანი იყო როგორც აკადემიური, პროფესიული თვალსაზრისით, ასევე თავისი აშკარად გამოსატყულები პუბლიკური და ზნეობრივი თვისებებით.

ზურა, როგორც განსაკუთრებული ნიჭის, მაღალი შრომისუნარიანობისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნება, არასოდეს კმაყოფილდებოდა ოფიციალური (რეგლამენტით დადგენილი) სასწავლო პროგრამებით და იმჟამინდელი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის ფარგლებში ეცნობოდა დამატებით, მათ შორის იმჟამად არალეგალურად შეფასებულ ლიტერატურას. ყოველივე ამან,

ცხადია, სათანადო ასახვა ჰპოვა მის ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოყალიბებასა და მომავალ სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაზე.

იმ დროს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სერიოზული ყურადღება ექცეოდა სტუდენტებში მეცნიერული კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებისა და შესაბამისი ჩვევების თანდათანობით ფორმირების საკითხებს. ზურა სოსელია აქაც მოწინავეთა რიგებში იყო. იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით სტუდენტთა სამეცნიერო წრეებსა და კონფერენციებზე, ამასთან, აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმიანობის ადმინისტრირების პროცესშიც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი ზურას სტუდენტური ბიოგრაფიიდან. იგი იყო თავმდაბალი, მოკრძალებული და სამართლიანი პიროვნება; არ ახასიათებდა გამოკვეთილი სწრაფვა კარიერისადმი, განსაკუთრებით კი – პოლიტიკური მიმართულებით. ამასთან, იგი იყო შეუვალი და უაღრესად პრინციპული ყოველთვის, როდესაც საქმე უნივერსიტეტის პრესტიჟს, მის განვითარებას, მთლიანად საზოგადოებისათვის მეტად მგრძობიარე და საჭირობოროტო საკითხებს ეხებოდა. მან ეს თვისებები ჩვენს ქვეყანაში არსებული მეტად რთული ვითარების პირობებშიც კი ბოლომდე უმწიკვლოდ შეინარჩუნა. მას არაერთი მაღალი სახელმწიფოებრივი, დიდად საპასუხისმგებლო პოსტი ეკევა და ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა, თავისი კეთილი კვალი დატოვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ზურა ნამდვილად ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია სტუდენტებისა და ახალგაზრდობის დღევანდელი თაობისათვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი ადამიანი, ვინც ფიქრობს და წერს მოგონებებს ზურასთან დაკავშირებით, გვერდს ვერ აუვლის მის მშობლიურ ოჯახს. ეს, განსაკუთრებით მეხება მე, რადგანაც ზურას მშობლები, ბატონი სერგო სოსელია და ქალბატონი შურა მარგველაშვილი უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებლები იყვნენ და ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაწყებული, მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი. ამდენად, ახლოს ვიცნობდი იმ ოჯახურ გარემოს, რომელშიც ზურა იზრდებოდა. ეს იყო წიგნიერების, ცოდნის წყურვილისა და შრომისმოყვარეობის, სამშობლოს სიყვარულის გარემო, რომელიც კეთილისყოფელ გავლენას ახდენდა ყველაზე, ვისაც კი მასთან შეხება ჰქონდა.

ივერი შალამბერიძე

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკონსულტაციო
საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს ენერჯეტიკული აკადემიის წევრი

ზურაბ სოსელია

ზურაბ სოსელია ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის დაგვიწყება, რა დროც არ უნდა გავიდეს, შეუძლებელია. თავისი ხასიათით, ყურადღებით, განათლებითა თუ უბრალოებით, იგი ძალიან სასიამოვნოს ხდიდა მასთან ურთიერთობას. სწორედ ამიტომ ჰყავდა მას ძალიან ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი და სწორედ ამიტომ დასცა თავზარი მისმა გარდაცვალებამ უამრავ ადამიანს.

პასუხისმგებლობის მაღალი დონითა და უმაღლესი პროფესიონალიზმით გამორჩეული, იგი უძლიერესი სპეციალისტი იყო თავის სფეროში და ყოველთვის ახალ-ახალი და თანამედროვე იდეებით ამდიდრებდა თავის ცოდნას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან ასევე

წარჩინებით დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა, წარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ურთულეს ეკონომიკურ პრობლემაზე და სრულიად ახალგაზრდა სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის ერთ-ერთ დიდ განყოფილებას, რაც იმდროისთვის იშვიათი რამ გახლდათ. მის კალამს ეკუთვნის უამრავი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. 90-იანი წლების დასაწყისში ზურა, ლადო პაპავასთან და თავის რამდენიმე კოლეგასთან ერთად, იყო საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის ერთ-ერთი თანაავტორი. იმ პერიოდში ეს საკითხი აბსოლუტურად გამოუკვლეველი იყო.

მიუხედავად უზარმაზარი ტრაგედიისა, რაც მას გადახდა თავს, იგი მაინც სულით არ გატყდა და სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობით, თანამედროვე საქართველოს მშენებლობაში თავისი განუზომელი წვლილი შეიტანა. ძალიან წარმატებული იყო მისი საქმიანობა როგორც საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის, ისე ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ. შემდგომ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ. ამ მაღალ პოსტებზე საქმიანობამ იგი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

ყოველთვის მათვალა ზურას საოცარი ერუდიცია, იგი ღრმად ერკვეოდა არა მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებაში, არამედ კვალიფიციურად საუბრობდა ლიტერატურის, ხელოვნებისა თუ სპორტის სხვადასხვა სფეროების კონკრეტულ საკითხებზე.

მე მქონდა ბედნიერება, ზურას უშუალო ხელმძღვანელობით მემუშავა საქართველოს კონტროლის პალატაში, სადაც მან, დროის სულ მოკლე მონაკვეთში, საფუძველი ჩაუყარა თითქმის ევროპული სტანდარტების შესაბამის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. უდიდესი სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა, როდესაც ზურას ერუდიციასა და განსწავლულობას განცვიფრებაში მოჰყავდა უცხოელი ავტორიტეტული სტუმრები. იგი სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ და რუსულ ენებს (იმ დროს ეს ძალიან იშვიათი რამ იყო). ზურაბ სოსელიამ სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა საქართველოს კონტროლის პალატის საერთაშორისო კავშირები და ურთიერთობები. მან დანერგა სახელმწიფო აუდიტის სრულიად ახალი, თანამედროვე, ევროპული სტანდარტები.

ზურას მეგობრები დამემოწმებიან იმაში, რომ იგი ძალიან ყურადღებიანი იყო მეგობრების მიმართ, შეუდარებელი იყო ქართულ სუფრასა თუ სხვადასხვაგვარ წვეულებებზე. ამავე დროს, ხშირად რაღაცნაირად გულჩათხრობილიც მეჩვენებოდა ხოლმე. რომელიც, ჩემი აზრით, მისი პირადი, თავს გადახდენილი ოჯახური ტრაგედიით იყო გამოწვეული, მაგრამ თავის პირად ტკივილებს არასდროს მოგახვევდა თავს...

ბევრი შეიძლება ვილაპარაკო ზურაბ სოსელიაზე, როგორც მეგობარსა თუ კოლეგაზე, მაგრამ ერთი ფაქტი აუცილებლად მინდა აღვნიშნო: ამ ზაფხულს, როდესაც სოციალურ ქსელებში წავიკითხე ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალრეიტინგული (100 პროცენტისანი!!!) შედეგის მქონე ახალგაზრდაზე და გავიგე, რომ ეს ახალგაზრდადღავეთ სოსელია, ზურას უსაყვარლესი შვილი იყო, ტანში ჟრუანტელმა გამიარა და სიხარულით ცას ვეწიე, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან დამწყდა გული, ძალიან, რომ ზურა ამას ვერ მოესწრო...

რომან ხარბედია

ეკონომიკის დოქტორი

სამაგალითო და გულითადი მეგობარი

ბატონ ზურაბთან მაკავშირებს საკმაოდ დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობები და მეგობრობა. იგი გავიცანი ოთხმოციანი წლების დასაწყისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებაში თანამშრომლობისას, რომელსაც იმხანად ხელმძღვანელობდა ბ-ი თამაზ ჩიკვაიძე. იმთავითვე ჩვენს შორის ძალიან ახლო, თბილი და გულითადი მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. სიცოცხლის ბოლომდე ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით ჭირშიცა და ღვინშიც.

ურთობლივად გვიხდებოდა განყოფილებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე მუშაობა, სხვადასხვა დონის აუდიტორიის წინაშე ლექციებითა და სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებებით გამოსვლა. ყველა ამ ამბულაში ბ-ი ზურაბი თავს ჩინებულად გრძნობდა და ყოველთვის მის გამოსვლას მსმენელთა აუდიტორია დიდი ყურადღებითა და ოვაციებით ხვდებოდა. მას ჰქონდა ძალიან კარგი უნარი უაღესად რთული პრობლემების მარტივი, გასაგები და დამაჯერებელი ენით გადმოცემისა. სამაგალითოდ ფლობდა მეცნიერული კამათის აკადემიურ სტილში, ეთიკის ნორმების დაცვითა და ხალასი იუმორით წარმართვას. ყოველივე ამას ბ-ი ზურაბი ახერხებდა მაღალი შინაგანი კულტურის, პროფესიული და ორატორული ოსტატობის წყალობით, რაც მასში გენეტიკურად იყო ჩასაიდუმლოებული.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, ბ-მა ზურაბმა დაგვიტოვა საკმაოდ მდიდარი მეცნიერული შემოქმედება. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, ბროშურა და სახელმძღვანელო. ეს გამოკვლევები, თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, ასრულებენ როგორც დიდაქტიკურ, შემეცნებით, ისე პრაქტიკულ ფუნქციას. მათგან შეიძლება გამოიყოს 1985 წელს გამოცემული მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება წარმოების ეფექტიანობას საქართველოს კვების მრეწველობაში და რომელსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ბ-ი ზურაბი უღრესად დანახული და მადლიერი პიროვნება გახლდათ. 80-იანი წლების მიწურულს აქტუალური გახდა ხარისხის ამადლებასთან დაკავშირებით პროდუქციის სახელმწიფო მიღება. გადავწყვიტე ამ თემაზე საგაზეთო სტატია გამომექვეყნებინა, რის შესახებაც მას გავუზიარე საკუთარი მოსაზრებები. მან ყურადღებით მომიხსინა და რამდენიმე ფასეული რჩევა მომცა. მისი შეხედულებები გავითვალისწინე გამოსაქვეყნებელ სტატიაში და შეუთანხმებლად თანავტორადაც მიუთითე. ერთ კვირაში სტატია გამოქვეყნდა, როდესაც ამოიკითხა საკუთარი გვარი თანავტორად, დიდად გაიხარა, უდიდესი მადლობა მომიხადა და ყველაფერი ამის შესახებ, თურმე, საკუთარ მამას, ბ-ს სერგოს უამბო. ბ-ნ სერგოს უთქვამს: შენი მეგობარი მეცნიერულად კეთილსინდისიერი ყოფილა, სხვა ცოტა სხვანაირად მოიქცეოდაო.

90-იანი წლების დასაწყისში ბ-ი ზურაბი ახალ ამბულაში მოგვევლინა. იგი სათავეში ჩაუდგა მიკროეკონომიკის განყოფილებას, რომელსაც 1993 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობაზე ზურაბმა თავი წარმოაჩინა, როგორც ჭეშმარიტმა ლიდერმა, ჩინებულმა ორგანიზატორმა, კომუნიკაბელურმა და გუნდური პრინციპით მუშაობის უნარის მქონე ხელმძღვანელმა. იგი თანამშრომლებში საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

ბ-ი ზურაბი იყო ბრწყინვალე თამადა. 1986 წლის 12 აპრილს ჩემი უფროსი ვაჟის, გივის დაბადების დღე იყო და მესტუმნენ თანამშრომლები და მეგობრები: რომან ხარბედია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ჯანგულაშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი და სხვანი. სუფრის თამადად ზურიკო ავირჩიე. მან, რომ იტყვიან, გაამართლა ნდობა და ბრწყინვალედ გაუძღვა საქმეს. მის ყველა სადღეგრძელოში

გამოსჭვივოდა ღრმა განსწავლულობა, დიდი გამოცდილება, ქართული პოეზიის ჩინებული ფლობა, დიდი ადამიანური სითბო, სიკეთე და სიყვარული. ჩემი ოჯახის წევრები დღესაც სიხარულით იგონებენ იმ ლამაზ დღეს...

ჩემთვის, როგორც ზურიკოს მეგობრისთვის, ძალიან მტკივნეულია მასზე წარსულ დროში საუბარი. ახლობლებს თავზარი დაგვცა ზურაბის პატარა ვაჟკაცის უდროოდ წასვლამ, ისიც მახსოვს, მან მაინც როგორ მოიძია საიმისო ძალა, რომ ცხოვრების დინებას გაჰყოლოდა. ზურაბი ხომ საუკეთესო მამა, შვილი და მეუღლე იყო.

ეს გახსენება ერთიან ჯაჭვში კრავს ზურაბ სოსელიას, როგორც გამორჩეული მეცნიერისა და დიდებული ქართველის სახეს.

ბედნიერებაა, რომ ღირსეული მამა-პაპის გზას დღეს ზურაბის ვაჟი, დავითი, წარმატებულად აგრძელებს.

უშანგი სამადაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უნიტიერესი და მაღალზნეობრივი პიროვნება

ბატონ ზურაბ სოსელიას მისი ბავშვობის წლებიდანვე ვიცნობდი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, მუშაობდნენ ბატონი ზურაბის მშობლები – ბატონი სერგო სოსელია და ქალბატონი შურა მარგველაშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მეცნიერმუშაკები. ისინი სამუშაოდ მალე გადავიდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც წარმატებული მეცნიერ-პედაგოგები. განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერად ითვლებოდა ბატონი სერგო. მე ამ ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა და შემდეგ მის ასპირანტურაში გავაგრძელე სწავლა 1960 წლიდან. ინსტიტუტში მშობლებს ხშირად მოჰყავდათ პატარა ზურიკო, რომელიც თავისი ქცევით, თავაზიანობით და მორიდებულობით, ამასთან, ბავშვისთვის თითქოსდა ზედმეტი სერიოზულობით გამოირჩეოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაბ სოსელიამ საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი გამოავლინა, როგორც უნიტიერესმა ახალგაზრდამ. ორივე სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. 1977-1980 წლებში სწავლობდა მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ეკონომიკის ასპირანტურაში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა.

1981 წლიდან, სრულიად ახალგაზრდა ასაკიდან, იწყება და ათეული წლების მანძილზე გრძელდება ბატონი ზურაბის ინტენსიური და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, სამეურნეო-პრაქტიკული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. 1981-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის და მაკროეკონომიკის განყოფილების გამგის თანამდებობებზე. იმავე წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1987-1989 წლებში შეთავსებით (0.5 განაკვეთზე) მუშაობდა ჟურნალ „ეკონომისტი“ მართვისა და ფინანსების განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი და პედაგოგი ზურაბ სოსელია შეუმჩნეველი არ დარჩა მაშინდელ ხელისუფლებას. 1993 წელს ის დააწინაურეს

საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, 1996 წელს – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრიუს პირველ მოადგილედ, 2000 წლის ივნისში – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის აგვისტოში დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო პალატის თავმჯდომარედ.

ზურაბ სოსელიას, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერ, უადრესად პერსპექტიულ სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაკს, ცოდნის გასაღრმავებლად და გამოცდილების შესაძენად შესაბამისი ორგანიზაციები ხშირად მიაველდნენ აღიარებულ საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. კერძოდ, მან 1994-2002 წლებში პროფესიული სტაჟირება და პროფესიული სასწავლო კურსები გაიარა კემბრიჯის უნივერსიტეტის ევროცენტრში (1994 წ.), საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვაშინგტონის ინსტიტუტში (1996 წ.), ვაშინგტონის საზოგადოებრივი ურთიერთობების ინსტიტუტში (1997 წ.), ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა და საერთაშორისო ურთიერთობების ევროპულ ცენტრში (2002 წ.), ჰქონდა ეკონომიკის დოქტორის ხარისხი. გამოქვეყნებული ჰქონდა 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ორი მონოგრაფია. კარგად ფლობდა ინგლისურ და რუსულ ენებს.

ყოველივე აღნიშნული ნათლად მიუთითებს ბატონ ზურაბ სოსელიას მიერ წარჩინებული სწავლითა და შრომით, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეურნეო-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით განვლილ სახელოვან გზაზე. ასე მოკლე დროში ასეთი სწრაფი და წარმატებული სამსახურებრივი დაწინაურება შეუძლებელი იქნებოდა, მაღალი ნიჭიერებისა და თავდაუზოგავი შრომის გარეშე.

ბატონი ზურაბი, როგორც ყველა დადებითი თვისებით განსაკუთრებით გამორჩეული ახალგაზრდა, თავიდანვე იქცეოდა ახალგაზრდობის საქმიანობით დაინტერესებული უფროსი თაობის ფართო წარმომადგენელთა ყურადღებას და, ცხადია, შეუძლებელი იყო, მას ჩემი ყურადღება არ მიექცია.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ზურაბის თაობაში საკმაოდ ბევრი იყო ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული ახალგაზრდა, მაგრამ ყველასგან მაინც გამოირჩეოდნენ ბატონები ლადო პაპავა და ზურაბ სოსელია. ბატონმა ლადომ თავისი ნიჭიერებითა და ბეჯითი სისტემატური შრომით საერთაშორისო აღიარებას მიაღწია და დღესაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, წარმატებით აგრძელებს ამ გზაზე სვლას. ბატონი ზურაბიც ამ რანგისა და რიგის წარმომადგენელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაადრევმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მისი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოვლინებას.

ბატონი ზურაბის განსაკუთრებული თავმდაბლობის დადასტურებად მინდა ერთი ფაქტი მოვიტანო: ერთ-ერთი შეხვედრისას კარგა ხნის საუბრის შემდეგ ვუთხარი: ზურაბ ჩემო, მე ლადო პაპავა და შენ მიმაჩნისხართ, და ამაში ბევრი კეთილსინდისიერი მეცნიერი მეთანხმება, თქვენი თაობის ყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებად. ძნელი წარმოსადგენია ის უხერხულობა, რომელშიც, თურმე, მე ის ჩავაგდე. ზურაბი უცებ გაწითლდა და მიპასუხა: „ეს არ არის სწორი“-ო. პირდაპირ არ მითხრა, რომ მე მართალი არა ვარ და შემდეგ გააგრძელა: „ლადოსთან არც ჩემი და არც ჩვენი თაობის რომელიმე წარმომადგენლის შედარება სრულიად არასწორი იქნებოდა“-ო. მისმა ასეთმა გულწრფელმა ნათქვამმა ის ჩემს თვალში კიდევ უფრო აამაღლა, რადგან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ჭეშმარიტი მოაზროვნე და საერთოდ ადამიანი,

ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავმდაბლობითა და უბრალოებით. ამ მხრივ, საკმარისია ბრძენი სოკრატესა და გენიოსი პლატონიც მაგალითები.

აი, ასეთი ფიქრები აღმიძრა ბატონი ზურაბის ნათქვამმა იმ ერთმა წინადადებაში.

დასანანი, ძალზე დასანანი, რომ ასეთი ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეცნიერებაში და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. თუმცა, რაც მან მოასწრო, სავსებით საკმარისია ნებისმიერი წარმატებული მოღვაწისათვის.

გურამ ყუფუნია

პროფესორი

დიდი პიროვნების დიდი ტკივილით გავლილი ხანმოკლე გზა

უზომოდ ძნელია მოსაგონარი იმ ადამიანზე, რომელიც უძროოდ წავიდა ამქვეყნიდან, რომელსაც აფასებდი, გიყვარდა, იმედად, ძმად და მეგობრად გეგულებოდა.

ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პირნათლად, ახასიათებდა საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება. იგი იყო ქართულ ეკონომიკურ მეცნიერთა საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ახასიათებდა ეკონომიკური პრობლემების ღრმა მეცნიერული თუ სახელმწიფოებრივი ხედვა. ეწეოდა მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ზურა სადაც კი მოღვაწეობდა, ყველგან თავის კვალს ტოვებდა. მეგობრობაში, გამტანობასა და თანადგომაში, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში გამორჩეული პიროვნება, ადამიანი, რომელსაც უზომო კეთილშობილება ახასიათებდა. იგი იყო საოცარი შინაგანი სიბღის მატარებელი, ჰარმონიული პიროვნება, რომელსაც თანდაყოლილი შინაგანი ტაქტი და ინტელიგენტური სისადავე ამშვენებდა.

წარმოუდგენელი იყო ზურა სხვანაირი. იგი ისეთი დედ-მამის – სერგო სოსელიას და შუშანა მარგველაშვილის გაზრდილი იყო, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთელი თავისი ცხოვრება ეკონომიკური კადრების აღზრდას ემსახურებოდნენ და ცნობილნი იყვნენ, როგორც უსპეტაკესი და უგანათლებულესი ადამიანები.

შენ შენი ოჯახის ღირსეული სახე იყავი ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ კი ქართველი ერის და სრულიად საქართველოსი.

...მუხანათია წუთისოფელი, რადაცა ძალა ვერ არჩევს კარგს და ცუდს... შენი უდიდესი ბედნიერება და ყველას სიხარული, სამი წლის ლოდინის შემდგომ მოვლენილი სოსელიების ოჯახის გვარის გამგრძელებელი, სულ რაღაც სამი წლის სიცოცხლის შემდეგ ტრაგიკულ შემთხვევას შეეწირა, რამაც შეძრა მთლიანად საქართველო, ნაცნობ-მეგობრობა და გაუსაძლისი ტკივილის ანაბარა დატოვა სოსელიების ოჯახი.

ამ შემთხვევის მერე არ გასულა ბევრი წლები... მახსოვს, 1996 წელს ქავთარაძის ქუჩაზე შევხვდით სრულიად შემთხვევით, ზურა უკვე სახელმწიფო მოღვაწე იყო და ისე ხშირად ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს. შეხვედრისთანავე ისეთი ბედნიერი თვალებით შემომხედა და მითხრა „ვიცი, რომ ძალიან გაგიხარდება, მე და თამუნა ბავშვს ველოდებითო“. მართლა უსაზღვრო იყო სიხარული, უკვე გამართულად შევხვდე, მივხვდი, რომ სიკეთემ აჯობა ბოროტებას და სულ მალე ამ

ოჯახისთვის ნათელი დღეები დაიწყება. ასეც მოხდა, ქვეყანას მოვევლინა დავით სოსელია, იმედი ნათელი მომავლის.

...გავიდა წლები. 2005 წელს, გვიან ღამით „ღამის კურიერი აცხადებს, „დღეს მძიმე ავადმყოფი, საქართველოს კონტროლის პალატის უფროსი ზურაბ სოსელია სასწრაფოდ რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეიყვანეს და რენიშმაციის განყოფილებაში მოათავსეს“. მაინც ვერ გაუძლო გუგას დაკარგვით მიყენებულ ტკივილს, ღმერთო, უშველე, გადაარჩინე, ეს აღმომხდა და რესპუბლიკურ საავადმყოფოსკენ გავიქეცი... ამ ავადმყოფობასთან წლების განმავლობაში ბრძოლა მისთვის უშედეგოდ დამრთავრდა.

ჩვენმა უახლოესმა მეგობარმა, თამუნა თაფლაძემ, ზურას მეუღლემ, უდიდესი სიმტკიცე და მამაცობა გამოიჩინა - თავისი დედის, მზია თოდუას და ზურას უახლოესი საძმოს თანადგომით ერთდროულად დედობას და მამობას უწევს შვილს. დღეს შენი სახელი და გვარის გამგრძელებელი სიამაყეა მთელი თქვენი საგვარეულოსი, თითოეული ჩვენგანის, საქართველოსი და იმ თაობის, რომლის წევრი დღეს შენი შვილია მან გვასახელა. ეროვნულ გამოცდებზე 40 ათას აბიტურიენტს შორის ის ერთადერთია ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლით. იგი დღეს სტუდენტია, რომელსაც შენგან მემკვიდრეობით ერგო ნიჭიერება, თავმდაბლობა, მეგობრების, ყველასადმი მოწიწება და სიყვარული.

მართალია ჩვენს რიგებში არ ხარ, წელს მხოლოდ 60 წლის გახდებოდი. წახვედი ჩვენგან ნიჭიერი ორგანიზატორი, მეცნიერი და უზადო ინტელიგენტი, კაცი გამოუღებვი გულის სითბოთი.

ზურა, შენი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე, ამგვარ ჭიდილში, თამუნას თანადგომით, შენ გაიმარჯვე. დღეს შენ შვილში აგრძელებ სიცოცხლეს.

მეგობრების, ამხანაგების ხსოვნაში დავიწყებას არასოდეს მიეცემა. წარუშლელი კვალი და დიდი ტკივილი დაუტოვე ყველას, ვინც შენ გიცნობდა.

ეთერ კაკულია

ეკონომიკის დოქტორი

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი

ზურაბ (ზურა) სოსელია მეცნიერთა ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები ქალბატონი შუშანა მარგველაშვილი და ბატონი სერგო სოსელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები, ჩემი ლექტორები იყვნენ. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მესმოდა, რომ მათი შვილი ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და წარჩინებული სტუდენტი იყო. ალბათ გასაკვირიც არაა, რომ ზურამ მომავალ პროფესიად მეცნიერ-ეკონომისტობა აირჩია.

ზურა პირადად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში გავიცანი, როცა თავად გავხდი ამ ინსტიტუტის ასპირანტი, შემდგომ თანამშრომელიც. მასსოვს, ჩვენი განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხებზე მისი კომპეტენტური მოსაზრებები, იუმორნარევი, ხალისიანი საუბრები.

პირველი საქმიანი, პროფესიული შეხება ზურასთან მქონდა, როცა ის ჟურნალ „ეკონომისტში“ მუშაობდა და ჩემი სტატია სარეცენზიოდ გადაეცა. რამდენიმე დღის შემდეგ დამიბრუნა კომენტარებით აჭრელებული, მეგონა იგი არაფრადვარგოდა, მაგრამ ღიმილით მითხრა, სტატია მომეწონა, ოღონდ შენიშვნები ჩაასწორეო. ზურა გახლდათ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის პირველი

ოფიციალური შემფასებელი, აპრობატორი, რომელმაც თავისი პროფესიული შინაშენებით შესაძლებლობა მომცა, დამეხვეწა და ბევრი რამ შემემატებინა დისერტაციისათვის.

ზურას ოჯახს განსაკუთრებით მას შემდეგ დაეუახლოვედი, როცა მისი მეუღლე, თამარ თაფლაძე ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ჩვენს განყოფილებაში (კვლავწარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილება, ხელმძღვანელი პროფ. არჩილ თეთრაული) გაანაწილეს სამუშაოდ. ხშირად ერთად დავდიოდით სხვადასხვა პროფესიულ შეკრებებსა თუ კულტურულ ღონისძიებებზე. მახსოვს, ერთხელ სამსახურებრივი მივიღებოდა ვიშროვებოდა „ბორჯომის“ მინერალური წყლის ქარხანაში. ზურამ ქარხნის მუშაობის სფეროში ისეთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოამჟღავნა, რომ ქარხნის ხელმძღვანელობა განცვიფრებული დარჩა, ასეთმა ახალგაზრდამ ამდენი საიდან იცისო. ზურამ ჩვენც გაგვაკვირვა, როცა ბორჯომში თუ მის გარშემო არსებული ყველა ეკლესია-მონასტრის დაარსებისა და საქმიანობის ისტორია შესანიშნავად მოგვიყვა.

ზურაბ სოსელია გახლდათ უაღრესად ერუდირებული, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, კომუნიკაბელური ადამიანი, შესანიშნავი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე (წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროში მინისტრის მოადგილედ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ, კონტროლის პალატის თავმჯდომარედ), რომელმაც როგორც თავისი პროფესიონალიზმით, ისე ადამიანური თვისებებით დაგვამახსოვრა თავი. მას კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო, რომ არა მისი მოულოდნელი ავადმყოფობა და გარდაცვალება.

ზურაბის მემკვიდრეობას აგრძელებს მისი შვილი, დავით სოსელია, რომელმაც მიმდინარე წელს ეროვნულ გამოცდებზე 40 ათას აბიტურიენტს შორის თავისი ქულებით პირველი ადგილი დაიკავა მთელ საქართველოში და სან-დიეგოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით. მასზე გაკეთდა სატელევიზიო სიუჟეტი, რომელიც უამრავმა ადამიანმა ნახა და მე სიამაყით მევსება გული, რომ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩემი მეგობრების შვილი, ღირსეული მშობლების ღირსეული შთამომავალია. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ახალგაზრდები!!!

გულნაზ ერქომაიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

საქართველო ელოდება ...

ვუძღვნი ზურაბ სოსელიას ხსოვნას

ჩვენ ერთი თაობა ვართ. ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით. როცა ის ჩვენთან მოვიდა სამეცნიერო ხარისხი უკვე მიღებული ჰქონდა.

ხშირად მიფიქრია რა განაპირობებდა მის წარმატებას. სრულყოფილი ცოდნა, მაღალი პროფესიონალიზმი, გამორჩეული ადამიანური თვისებები? ალბათ ყველაფერი ერთად აღებული მის განსაკუთრებულობასა და სტაბილურობას განაპირობებდა.

მრეწველობის ეკონომიკის პრობლემებზე მუშაობდა, მაგრამ ეკონომიკის თეორიის დრმა და საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა ერთნაირი წარმატებით ემუშავა საგარეო ვაჭრობის, სახელმწიფო ფინანსების, კონტროლისა და აუდიტის სფეროებში. ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა ერთ-ერთი გამორჩეული და დასამახსოვრებელი ლექტორი ყოფილიყო.

გამორჩეული თავმდაბლობა და ჰუმანურობა მისი პიროვნული შტრიხის დამახასიათებელი თვისება იყო, რაც მის პიროვნულ სიძლიერეს განაპირობებდა. ამიტომ შეეძლო ემუშავა ყველა მთავრობაში მისი პოლიტიკური შეხედულებებისაგან განურჩევლად. მისი პიროვნება მისაღები და ხელშეუხებელი იყო ყველა-სათვის. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სიახლის შეგრძნების უნარი მისი წარმატების ერთ-ერთი გარანტი იყო. სწორედ ეს თვისება განაპირობებდა მსოფლიოს გარშემო მის დაუსრულებელ მოგზაურობას. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის აეროპორტებში შეხვდებოდი ევროპის, აზიის, ამერიკისა თუ აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსულსა და დადლილს. ჩვეული ღიმილით შეგხვდებოდა, შეგეკითხებოდა რაიმე ხომ არ გინდაო და გაგრძნობინებდა, რომ მარტო არ იყავი. იმედით ავსებული დადლას ვერ იგრძნობდი, თუმცა თვითონაც იღლებოდა. აკი ერთ-ერთ ასეთ მგზაურობას შეეწირა კიდევც.

სიახლის შეგრძნება და მისი მხარდაჭერა მისი პიროვნული მახასიათებელი თვისება იყო. მახსოვს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის დაარსებას ვაპირებდით. მისი დაფინანსება მთლიანად ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტით იყო გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს ბიუჯეტის მეშვეობით უნდა გასულიყო. ადგილობრივი ბიუროკრატის უსულგულობის გამო ტრანშის გახსნა გვიანდებოდა. საფრთხის ქვეშ დადგანაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. ყველა ვნერვიულობდით. მისი დახმარებით შეეძლო ბიუროკრატული ბარიერების დაძლევა და საფუძვლის ჩაყრა თანამედროვე ქართული სტატისტიკის სრულიად ახალი მიმართულებისათვის, რასაც სასურსათო უსაფრთხოებისა და ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემები ჰქვია.

პიროვნული თავმდაბლობა ხელს არ უშლიდა ობიექტური და პრინციპული ყოფილიყო. მახსოვს, საქართველოში პურის ფასების ზრდისა და ფარული ინფლაციის პროცესების აქსელერაციას ჰქონდა ადგილი. საქართველოს პრეზიდენტი პასუხისმგებელი უწყებებიდან განმარტებას მოითხოვდა. თანამდებობის პირებმა ხელი სტატისტიკის სამსახურისაკენ გაიშვირეს. ქვეყანაში არაფერი საგანგაშო არ ხდება სტატისტიკა იტყუებაო. მთავრობამ საქმის არსში გარკვევა კონტროლის პალატას დაავალა. პირადად მისი და მისი უწყების პრინციპულობამ საშუალება მისცა სტატისტიკის სამსახურს თავისი სიმართლე და ობიექტურობა დაემტკიცებინა. არც მისი ცხოვრება ყოფილა ადვილი. უბედურმა შემთხვევამ პირველი სიხარული ხელიდან გამოსტაცა. ერთი შეხვედრის დროს გვითხრა: „წუხელ გუგა მესიზმრა საფლაგზე დარბოდა და იცინოდაო. მე ვეუბნებოდი რა გიხარია შე ჩურჩუტო ეს ხომ შენი საფლაგი არისო“. გვთხოვდა თამუნა მარტო არ დატოვოთო. სიყვარულიც გამორჩეული იცოდა. ოჯახი და მეგობრები გამორჩეულად უყვარდა ამაშიც პირველი იყო. ზურაბის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის სიმძიმე მისმა მეუღლემ თამარ თაფლაძემ იტვირთა და ქვეყანას ღირსეული შვილი გაუზარდა, რისთვისაც იგი ზურაბის მეგობრებისაგან და ახლობლებისაგან მადლობასა და პატივისცემას იმსახურებს.

ახლახან გავიგე, რომ მისი ერთადერთი შვილი ქვეყნის 40 ათას აბიტურიენტს შორის პირველ ადგილზე გავიდა და ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სიხარულისაგან ცრემლები დაპა-ღუპით ჩამომდიოდა. სულ ცოტა დრო დარჩა, ოჯახის ტრადიციებს დაიცავს, მამის დაწყებულ

გზას გააგრძელებს და თავის სათქმელს უკეთესად იტყვის. საქართველო მის და მისი თაობის მოსვლას ელოდება.

ელენე ჩიქოვანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

„ ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“

„ ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ - ეგზიუპერის ეს ცნობილი ფრაზა მიტრიალებდა, როცა ზურაბზე მოგონების დაწერა მთხოვეს. ფიქრებმა იმ შორეულ დროში გადაამისროლა, როცა ყველანი, უდარდელი და სამყაროზე ფართოდ გახელილი, სუფთა თვალებით მომზირალნი ვიყავით. თვალწინ დამიდგა ჩვენი მთაწმინდა, ჩვენი 47-ე სკოლის ეზო, პირველი სექტემბერი და ჩვენ – დედებს ხელჩაკიდებული პატარა გოგო-ბიჭები, რაღაც ახლის მოლოდინში მდღეღვარენი. სწორედ ასე შევხვდით პირველად მე და ზურაბი. სკოლაში ის განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, საოცრად მორიდებული და თავმდაბალი ყმაწვილი იყო, ეს თვისებები მას ბოლომდე გაჰყვა, ყველა, ვინც კი მას იცნობდა ან თუნდაც ერთხელ შეხვედრია, აუცილებლად აღნიშნავდნენ მის სათნო, ღმობიერ და ადამიანებისადმი საოცარ ყურადღებას, თუმცა, ამავედროულად, ის გამორჩეულად მოწესრიგებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და გამორჩეული პროფესიონალი იყო.

ზურაბი მე-7-ე კლასიდან გადავიდა ჩვენთან და 55-ე საშ.სკოლაში გააგრძელა სწავლა. შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტში ჩაირიცხა და ისიც წარჩინებით დაამთავრა. ამ პერიოდში ისე ხშირად ვეღარ ვხვდებოდით, მაგრამ ერთმანეთის ამბებს მუდამ ვგებულობდით.

საოცარი და მოულოდნელობით აღსავსეა ცხოვრება. 1990 წელს ჩავაბარე სახ. უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე და სწორედ იქ ლექციაზე შემოვიდა ზურაბი – ჩემი კლასელი, ჩემი ლექტორი აღმოჩნდა. ორივემ დიდად გავიხარეთ, თითქოს ისევ იმ წლებში დაგვრუნდით. მთაწმინდას და 47-ე სკოლას ერთი ანდამატი თვისება აქვს – სადაც არ უნდა წახვიდე, გადახვიდე ან გადასახლდე, ბოლომდე მაინც მთაწმინდელად და ორმოცდამეშვიდე სკოლელად რჩები.

ზურაბი არაჩვეულებრივი ლექტორი იყო. თავისი უზადო წესიერებით, დრმა და საინტერესო ლექციებით, სტუდენტებთან მზრუნველი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით, გამორჩეული ინტელიგენტობით, ის ახალგაზრდების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, სწორედ ეს იყო მისი ჯილდო და სწორედ ეს ზღვა სიყვარული და პატივისცემა წაიღო თან სასუფეველში.

უნივერსიტეტში ზურაბის ყოფნა ჩემს პასუხისმგებლობას ასევეცად ზრდიდა, რათა ჩემი სკოლის მეგობრის ავტორიტეტი არ შემეხლავა უნებურად, ისევ სტუდენტობის დროინდელი მეცადინეობა დავიწყე ჭარმაგმა კაცმა.

სამსახურებრივადაც არაერთხელ მიგვიმართაეს მისთვის რჩევისთვის და ის ყოველთვის პროფესიონალურად სწორ უალტერნატივო გზას გვირჩევედა, რითაც მეც და სხვებსაც დიდად გვეხმარებოდა ჩვენი საქმიანობის სწორად წარმართვაში.

არასოდეს დამავიწყდება და დიდი მადლიერებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, როცა მან საქართველოს კონტროლის პალატაში შემომთავაზა დასაქმება.

ზურაბი ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო ყველა თანაკლასელის მიმართ. მახსოვს ჩვენს ერთ კლასელს, რომელიც სხვა სისტემაში მუშაობდა, უსამართლოდ

პრობლემები შეუქმნეს და როგორც კი ზურაბმა შეიტყო ამის შესახებ, მაქსიმალური გააკეთა და მოაგვარა კიდევ ეს გაუგებრობა.

მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, რომელიც მას და მის ოჯახს დაატყდა, ის მაინც არ შეცვლილა და ძველებურად სათნო და მოსიყვარულე იყო ყველას მიმართ.

სწორედ ზურაბის ინიციატივა იყო წლების შემდეგ კლასკელების შეკრება, არაჩვეულებრივი საღამო იყო, ყველანი ბედნიერები ვიყავით, განსაკუთრებით კი ზურაბს უხაროდა, მეორე დღეს მითხრა: „ ათი წლის სიცოცხლე მომემატა რეზო“. მას განსაკუთრებით ესათუებოდა ბავშვობის წლები...

არიან ადამიანები, რომლებიც კვდებიან, არიან ადამიანები, რომლებიც გარდაიცვლებიან და სასუფეველში დამკვიდრებულნი აქ მაინც განაგრძობენ ცხოვრებას, ეს უნდა შეძლო და დაიმსახურო, ზურამ ეს შეძლო, ის აქაა, ის გრძელდება თავის სტუდენტებში, იმ პროფესიონალ კადრებში ვინც კი გამოზარდა, თავის მეგობრებში, კოლეგებში, და რაც მთავარია, თავის ვაჟში, რომელიც მამის ღირსეული გაგრძელებაა, რომელიც ზურაბისათვის ღვთიური საჩუქარი იყო მიწიერ ცხოვრებაში ტკივილის სანაცვლოდ.

რეზო გუგუშვილი

ზურას სულის დაღადისი!

ზურაბ სოსელია 13 ოქტომბერს 60 წლის გახდებოდა.

ამ დღეს მის გარეშე ავღნიშნავთ და ვზეიმობთ მისი ნაცნობები, მეგობრები, ოჯახის წევრები. ვზეიმობთ, რადგან „სიკვდილი მოყვარულ სულებს ვერ განაშორებს“. უსაზღვროა მოყვასის სიყვარული და მას კაცის გარდაცვალება ვერ დაუღებს მიჯნას. მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც. ქართველი ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია-II ბრძანებს, თუ კაცს გარდაცვალების შემდეგ დარჩა შვილი და ნაშვირი, იგი კვლავ ცოცხალია! რამეთუ მისი ხორცი ხარობს და სისხლი ჩქეფს და იგი მხოლოდ სულიერად გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებებს, ეკლესიის სწავლებით, საუკუნო სახსენებელის სასუფეველი გარანტირებული აქვს. ჩემი აზრით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი ადამიანური ღირსება დიდ გზაჯვარედინზე დგება: სხეული დედამიწის შინაგანი ბინადარი ხდება - მოდგმათა ფესვსაკმეველად, სული - ზეცაში მიემგზავრება მოდგმათა გზის სანათებლად, ამ ქვეყანაზე კი რჩება მისი სახელი. და, თუ ეს სახელი სუფთაა და სირცხვილის ქუდი არ მოსავეს, სახელიც უკვდავია მის შთამომავლობაში! მასსოვს 1973 წელში (მაშინ სტუდენტები ვიყავით) ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობისას ზურამ მოიტანა ამონარიდი დიდი ბრძენი ფილოსოფოსის სოკრატეს მცნებიდან, როცა იგი თავის მოწაფეს ეუბნება: „პლატონ შენ გგონია, რომ ადამიანისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიკვდილია? არა! ადამიანისათვის ყველაზე დიდი სასჯელი სირცხვილია!“ ზურაბ მიანდა, რომ ადამიანის ამ ქვეყნიური დანიშნულება კულტურული ყოფიერება გახლდათ. გაკვირვებული გახლდით, როცა მომავალი ეკონომისტი ფილოსოფიურ მცნებებისადმი ასეთ დიდ მიდრეკილებას იჩენდა. დავასკვნენ, რომ იგი ეკონომისტობას ფართო პროფილით განიხილაგდა და მომავალი შემოქმედება ზუსტად ჰქონდა მორგებული თავისავე სპეციალობაზე. იგი ხომ „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის“ ეკონომისტი უნდა გამხდარიყო.

ზურაბმა 1977წელს წარმატებით დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩაება ქართველი ერის ეკონომიკური ცხოვრების ჭაპანწყვეტაში...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად დაიწყო მუშაობა, იყო განყოფილების ხელმძღვანელი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფრიად აქტუალურ თემაზე. შემდგომში საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, ბოლოს კი საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე გახლდათ.

რამდენი უძილო დამე, ფიქრი, ანალიზი, პრობლემათა მთელი სპექტრი, მიდგომის თვალთახედვები, პერსპექტივები.... ზურაბმა თავისი სიტყვა და შრომითი წვლილი გაიღო საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნაში. იყო საკითხები, რომელზედაც თავის უარყოფით დამოკიდებულებებს თამამად გამოსთქვამდა მთავრობის სხდომებზეც. ზურაბს უკეთესად წარმოედგინა და სურდა ეროვნული მეურნეობის განვითარება და მისი თანდათანობითი ეფექტური პრივატიზაცია. მან პირველმა შეიმუშავა ფოთი პორტის ეტაპობრივი პრივატიზაცია და არა ისე, შემდგომში იგი სპეკულაციისა და კერძო ინტერესთა მსხვერპლი რომ გახდა...

ზურაბმა ფინანსთა სამინისტროში მუშაობისას ფინანსების მობილიზების ახალი ეფექტური ფორმები დანერგა. მან უფრო გაამარტივა და სახალისო გახადა მეწარმეთა და გადამხდელთა ბიზნეს-საქმიანობა. კონტროლის პალატაში კი აღმოფხვრა შემოწმებისას რევიზორთა თვითდაჯერებულება და შემოწმების მავნე ძველი დასჯითი მეთოდები. სათავე დაუდო კონტროლის სისტემის აუდიტის სისტემად გარდაქმნას. გადმოიღო ამ მხრივ მოწინავე ქვეყნების: შვედეთისა და ჩინეთის პროგრესული მეთოდები და პრინციპები, რომლებიც დღესაც მუშავდება და იხვეწება.

ეროვნულ საქმეებთან ერთად ზურაბმა პირადი ცხოვრებაც ააწყო. მოძებნა საუკეთესო მეგობარი, კოლეგა, ღირსეული ქართველი ქალი - თამარ თაფლაძე. მათ თაფლივით ტკბილი ოჯახი შექმნეს. მაგრამ განგებამ შვილის ტრაგიკულად დაღუპვის ტრაგედია მიაყენა. ზურას ძალზე გაუჭირდა ამ მძიმე ტკივილის გადატანა...

უფაღმა ოჯახს კვლავ ვაჟი უწყალობა. ზურა თავს ეველებოდა თავის პირმშოს -დათუნას. მისით ცხოვრობდა, მასზე ლოცულობდა დილა-სადამოს. როცა დავითი წამოიზარდა, მამამ შვილი დალოცა! და პირველი შვილის სასუფეველის კარები კაცურად შეაღო. მან ასე მიიჩნია, რომ მასთან უნდა ყოფილიყო... ბევრ მის ახლობელს ჰგონია, რომ ზურაბი რაღაც სხვა მიზეზით გარდაიცვალა, არა! დარწმუნებული ვარ საამისოდ ზურა დიდი ხნით ადრე ემზადებოდა. ერთხელ ფინანსთა სამინისტროში მისსავე კაბინეტში მითხრა: „გაორებული ვარ, აქაც ვარ დ იქაც“. დათოსთან აღერსის შემდეგ იქ მიინდაო...

და, ზურამ ეს ნაბიჯი გადადგა! ეს მხოლოდ გმირ მამას შეუძლია გააკეთოს. პირველ შვილს ააკითხა ანგელოზთა სამყაროში. დათუნა და თამუნა კი ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში დატოვა, გვარისა და ერის იმედად, სახელოვანი ვაჟკაცისა და ღირსეული დედის სიმბოლოდ! ლოცვისა და სანთლების ასანთებად, ოჯახის სადიდებლად.

ზურაბი იყო ნამდვილი ღირსეული ქართველი კაცი, კოლხური ფესვებით, ეროვნული და ბიბლიური ფასეულებებით აღსავსე, მათი მატარებელი და მადიდებელი. იგი იყო იდეური, რეალური, კომუნიკაბელური, გაწონასწორებული, არაამბიციური, ინტელექტუალური და სიკეთის მთესველი.

ზურა სიმბოლოა -მეგობრობის, განსწავლულობის, დახმარების მიზნით ხელგაწვდის, სახელმწიფო მოხელის, რიგითი მოქალაქის, მამობისა და მეოჯახე კაცისა.

საქართველოს ხილვით აღფრთოვანებულმა დიდმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ ქართველ ერზე თქვა: „ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ კოლხეთის ხალხის სილამაზეზე. განსაკუთრებით ღამაში ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მსახურსაც კი თავადიშვილის იერი აქვს“-ო. მიმაჩნია, რომ ეს შეფასება ზუსტად მიესადაგება ზურაბ სოსელიას, მის სამეგობრობს, მის ერს!

ზურა, ჩემი გაგებით, კოლხი-ზღვის ფრიდონი და ხმელეთის აეთანდილია, რომელსაც ოქროს საწმისის ღირსება მოსავს! ამას თუ მკითხველი გადაჭარბებულ ჩამითვლის, პასუხი დავითისთვის მიმინდვია, მან მომავალში გასცეს პასუხი, თუ ვისი შვილია იგი?

და, ჩვენო ზურა, დღეს 13 ოქტომბერია, სადამოს ისევ ცამეტ მეგობარს, ცამეტი სადღეგრძელო და 13 ათასი ღიმილი გველის...საამისოდ თავად დავითოვანი უდიდესი მადლი, ანუ მზე შენი ოჯახისათვის, რაც ყველას გაგვანათებს, გვათბობს და გვაცოცხლებს!

უპირველესმა ფილოსოფოსმა და გენიალურმა პოეტმა - დიდმა შოთამ ბრძანა: “ყოლა ღხინთა ვერ იამებს, კაცი ჭირთა გარდაუხდელი“.

და, ქართულ აკადემიურ სუფრაზე შენი სადიდებელი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ, ყველას გვესმის შენი სულის დაღადისი:

“უფალო ღმერთო, დიდო განგებავ, შენ დაიფარე ჩემი სამშობლო, ქართველი ერი, ადაღინე და გააერთიანე მრავალგზის ფიზიკურად და სულიერად დაშლილი საქართველო. აღუდგინე სრული ღირსება, მიეცე შემწეობა და განსწავლულობისადმი სწრაფვა, მადლი, შრომისა და სწავლის უნარი, რწმენის სიყვარული, გამრავლების უნარი, ცხოვრებისა და ყოფიერების სილამაზე, წინაპართა დიდებისა და მომავლისადმი ზრუნვა, რათა მსოფლიოს სახელოვან ქვეყანათა დიდ ყვაფილნარში, კვლავ აღმოცენდეს პატარა მომხიბვლელი იად, რომელსაც ეკლიანი ღამაში დიდი ვარდი, კოკორს გამოიდებს, რომ თავი მოიხაროს და სათუთად გადაეხვიოს“ დვთისმშობელოწმ.მარიამ, ჩვენო დიდო დედავ, აღუკვეთე ცივილიზებულ ქართველ ერს დედის გინება და დალოცე ყველა ოჯახი, მათ შორის ჩემი ოჯახიც, ჩემი თამარი და დავითი!“

ჩვენ ყველა: დავითი, თამარი, ლადო, მერაბი, ზურაბი, ნუკრი, რამაზი, მზია, რეზო, ნინო, სოფო, ბექა, ვაჟა და სხვა მრავალნი, ხმამაღლა ვიტყვი:

- დიდება შენს მარადიულ ხსოვნას! ამინ!

ვაჟა ბერიძე

ეკონომიკის დოქტორი

ზურაბ სოსელიას მოგონება

ბევრი თბილი სიტყვის თქმა შეიძლება ზურაზე, ადამიანზე, რომელიც ჩემში ყოველთვის იწვევდა დიდ მეგობრულ სიმპათიას, ინტერესს და კეთილგანწყობას. მასზე ბევრი რამ შეიძლება გაიხსენო, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი პიროვნული ღირსებები და ხასიათი ყველაზე ნათლად ჩანს იმ სამ პატარა მოგონებაში, რომლებიც ჩვენი ურთიერთობის წარსულ დღეებს მახსენებს.

ჩვენი გაცნობა უნივერსიტეტში ჩემი სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში მოხდა, თუმცა პირველი ახლო კონტაქტი მაშინ შედგა, როდესაც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ზურა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის რეცენზენტად დანიშნეს. ძალიან კარგად მახსოვს ის განწყობა, რომლითაც მივდიოდი მასთან შესახვედრად და ისიც, თუ რაოდენ სწრაფად გამიქრა მთელი მღელვარება მასთან საუბრის დაწყებიდან პირველივე წუთებში. ზურას დამსახურებით ჩვენი შეხვედრა თავიდანვე ორი თანასწორი ადამიანის საუბრად იქცა. ამავე დროს ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემს წინაშე იყო ადამიანი, რომელიც ახალგაზრდა დამწყები მეცნიერის ნაშრომის რეცენზენტობას თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით და პრინციპულობით მოეკიდა. მისი რეცენზიის გაცნობის შემდეგ კი ცხადი გახდა, თუ რაოდენ დეტალურად ჰქონდა მას წაკითხული ნაშრომი და რაოდენ ზუსტად ჰქონდა გამოკვეთილი საკვანძო საკითხები. ძნელი იყო ვინმე შედაგებოდა მის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსაც. მათში ნათლად იკვეთებოდა მისი ღრმა თეორიული ცოდნა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

მეორე ეპიზოდი უკვე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენს ერთობლივ საქმიანობას შეეხება ერთ-ერთ საკონსულტაციო კომპანიაში. იმ პერიოდში ჩვენში ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდა საბაზრო ურთიერთობები და უამრავი სიახლე გაჩნდა. წარმატების მიღწევა ეკონომიკის სფეროსი პირდაპირპროპორციულად იყო დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ აუღებდა ადლოს ადამიანი მოზღვავებულ ახალ ინფორმაციას და რამდენად სწრაფად შეძლებდა მის გამოყენებას რეალურ საქმიანობაში. ამ კუთხითაც ზურა ყველასათვის სამაგალითო იყო. პრივატიზაცია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, საწარმოთა ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის ანალიზი და მათი მომავალი საქმიანობის დაგეგმვა – აი ის საკითხები, რომლებზეც მიწვევა მუშაობა ზურასთან ერთად იმ წლებში. აქ უკვე ნათლად გამოჩნდა ის, რომ ზურა მხოლოდ თეორეტიკოსი მეცნიერი არ იყო და მისი ყველა რჩევა თუ რეალურ შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული რეკომენდაცია დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც ეყრდნობოდა. იმ წლებში ზურასთან ერთად მიღებული გამოცდილება ბევრჯერ გამომდგომია ჩემს შემდგომ საქმიანობაში.

ბოლო მოგონება კი მის ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუს უკავშირდება, როდესაც ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში ზურას კანდიდატურა განიხილებოდა კონტროლის პალატის ხელმძღვანელის პოსტზე. ისე მოხდა, რომ ამ გადაცემას მეგობართან ერთად ვუყურებდი, რომელიც ზურას საერთოდ არ იცნობდა. მისთვის არც გამომხელია ჩვენი მეგობრობის ამბავი. არ დამავიწყდება წამყვანის საკმაოდ მწვავე კითხვებზე ზურას კვალიფიციური და ამავე დროს გულწრფელი პასუხების მოსმენის შემდეგ ჩემი მეგობრის რეპლიკა: „არ მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ თანამდებობაზე ასეთი წესიერი კაცი ინიშნებოდესო“...

სიკეთე, ცოდნა, გატაცება სამეცნიერო თუ პრაქტიკული კვლევებით, კეთილგანწყობილ ემოციებზე დამყარებული ინტერესი და ღრმა პატივისცემა ნებისმიერი ადამიანისადმი - აი ის თვისებები, რომლებიც მახსენდება ყოველთვის, როცა ზურას ვიგონებ.

ზაზა ავალიშვილი

მეგობრის ხსოვნას

არიან ადამიანებ, რომლებიც ისე ცოცხლობენ და ცხოვრობენ, რომ შეუძლებელი ხდება მათი დავიწყება. შეუძლებელი ხდება მათი ნაკეთები საქმეების, დათესილი სიკეთისა და ცხოვრების წესის დავიწყება.

სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა ჩვენი მეგობარი ბატონი ზურაბ სოსელია.

მიუხედავად ახალგაზრდულ ასაკში ასეთი დრამატული აღსასრულისა, მან შეძლო ჩვენთვის, უახლოესი მეგობრებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის თავი დაემსახოვრებინა, უადრესად კეთილშობილ და რბილ ადამიანად. ადამიანად, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ქვეყნის აღმშენებლობას და გულწრფელად სჯერა სამშობლოს უკეთესი მომავლის.

როგორც ამბობენ წასულ ადამიანებზე ან კარგს ამბობენ ან არაფერს. ბატონი ზურაბი მიეკუთვნება იმ მცირე გამონაკლისს ადამიანებისა, რომელთა გარდაცვალებიდან გასული დრო ვერ აფერმკთალებს მისდამი კეთილ დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, განვლილი დრო ნათლად წარმოაჩენს ამ კეთილშობილი ადამიანის დანაკლისით გამოწვეული განცდების სიმძაფრეს.

არ არსებობს დიდი თუ მცირე საზოგადოებრივი თავყრილობა, რომელზეც გაიჟღერებს ბატონი ზურაბის სახელი, რომ მაშინვე არ გაჩნდეს მოსახრება მის მაღალ პროფესიულ და სამოქალაქოებრივ სტანდარტზე და არ გაჩნდეს გულწრფელი გულისტკივილი მისი უდროოდ გარდაცვალების გამო.

კეთილშობილი ადამიანები უკვალოდ არ იკარგებიან. ბატონმა ზურაბმა, როგორც კარგმა შვილმა, ყველაფერი გააკეთა რომ ღირსეული მშობლების, ღირსეული შვილი რომ ყოფილიყო. ამავე დროს, დრამატიზმით აღსავსე ცხოვრების მიუხედავად დატოვა ულამაზესი ოჯახი, როგორც სიმბოლო მარიდიული პატივისცემისა და ლამაზი ტრადიციების გაგრძელებისა.

უდიდესი ტკივილია ჩვენთვის ბატონი ზურაბის 60 წლისთავის, ბატონი ზურაბის გარეშე აღნიშვნა, მაგრამ უდიდესი ბედნიერებაა იმის შეგრძნება, რომ ისარა და იძლიერა მისმა გენმა.

ბატონი ზურაბი, განვლილი ცხოვრებითა და დანატოვარი სახელით, ამაყი და ვალმოხდილია საკუთარი შვილის წინაშე. მისი სახელი, მისი ნაკეთები საქმეები კეთილ კელაპტრად წარუდგება მის ვაჟკაცს მომავალი ცხოვრების გზაზე.

ასევე ბატონი ზურაბის საკადრისი და შესაფერისია მისი შვილის, მისი დავითის წარმატებები. დედის თავდაუზოგავი შრომისა და დათოს კაცური ნაბიჯების შედეგად, კიდევ ერთხელ ამაყად გაიჟღერა ბატონი ზურაბის სახელმა და გვარმა, კიდევ ერთხელ მოგვადგა თვალზე სიამაყისა და სინანულის ცრემლი, კიდევ ერთხელ აგვეესო გული რწმენით, რომ ღირსეულ ადამიანებს ღირსეული შვილები ჰყავთ.

მშვიდად განისვენე ჩემო მეგობარო. შენ ძალზე ცოტა ხანი იცხოვრე ჩვენს გვერდით, მაგრამ სამუდამოდ დარჩი ჩვენში.

გელა ხანიშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|-----|
| რედაქტორისაბან | 5 |
| პროფესორი არჩილ თეთრაული | |
| მურმან კვარაცხელია – პროფესორ არჩილ თეთრაულის ცხოვრება და მოღვაწეობა | 11 |
| რევაზ კაკულია – ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი | 13 |
| მოგონებები | |
| ვლადიმერ პაპავა – მე მისი დიდი მადლობელი ვარ | 23 |
| თეიმურაზ ბერიძე – არჩილ თეთრაულის გახსენება! | 24 |
| ელგუჯა მექვაბიშვილი – თვალსაჩინო მეცნიერი და მოღვაწე | 24 |
| იაშა მესხია – გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი | 25 |
| მიხეილ ჯიბუტი – არჩილ თეთრაულის დღესაც მისაბაძი მაგალითი | 27 |
| ავთანდილ სულაბერიძე – არჩილ თეთრაულის ხსოვნას | 28 |
| რევაზ გველეხიანი – მეცნიერული კვლევის, სიკეთის ქმნისა და სხვებზე მზრუნველობის პროფესიონალი | 29 |
| რევაზ გოგოხია – მეცნიერად დაბადებული | 30 |
| ალფრედ კურატაშვილი – პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან მე-80 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით | 31 |
| გაიოზ ნადირაშვილი – სახელგანთქანი მეცნიერი, ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ცნობილი მოღვაწე | 32 |
| ილია ზაქარიაძე – ჩვენ მეგობრები ვიყავით... | 33 |
| გურამ ყუფუნია – გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი | 34 |
| პარმენ ლემონჯავა – ყველასათვის საყვარელი პიროვნება და ბრწყინვალე მეცნიერი | 36 |
| გიორგი მაღალაშხია – კარგი კაცი, კარგი მეცნიერი | 37 |
| თეიმურაზ ბაბუნაშვილი – მეცნიერი, პიროვნება, აღმზრდელი | 38 |
| სოლომონ პავლიაშვილი – არჩილ თეთრაული – ღვაწლმოსილი მეცნიერი და ადამიანობის ეტალონი | 39 |
| ომარ ქეშელაშვილი – არჩილ თეთრაული – კარგი მეგობარი | 41 |
| იზა ნათელაური – პროფესორ არჩილ თეთრაულის გახსენება | 41 |
| ლინა დათუნაშვილი – ბატონი არჩილ თეთრაული – გამორჩეული მეცნიერი და ღირსეული პიროვნება | 43 |
| ნანული არევაძე – ბატონ არჩილ თეთრაულის გახსენება | 44 |
| რამინ მითაიშვილი – მოგონებები პროფესორ არჩილ თეთრაულთან დაკავშირებით | 45 |
| ბონდო ზარნაძე – კაცი რომელმაც თავისი სათქმელი ღირსეულად თქვა! | 46 |
| კაცი რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა! | 46 |
| როლანდ სარჩიმელია – გამორჩეული მკვლევარი | 48 |
| რომან ხარბელია – არჩილ თეთრაულის ხსოვნას | 49 |
| | 121 |

| | |
|---|----|
| უშანგი სამადაშვილი – კაცი – ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილის მსხნელი | 50 |
| ჯემალ ხარიტონაშვილი – არჩილ თეთრაული – კვალიფიციური ეკონომისტი | 51 |
| იგორ კვესელავა – ღირსეული პიროვნება | 52 |
| თენგიზ ქავთარაძე – მცირე მოგონება დიდ მეცნიერზე | 53 |
| ალექსანდრე სიჭინავა – სიახლეების მამკვიდრებელი ადამიანი | 54 |
| ილია (აზიკო) სისვაძე – არჩილ თეთრაული – დიდი მეცნიერი და ახალგაზრდობის მოძღვარი | 55 |
| ჯამლეტ ჯანჯღავა – არჩილ თეთრაული | 58 |
| ნარიმან ტერაშვილი – არჩილ თეთრაული – კაცი – „გადამრჩენელი“ | 58 |
| გულნაზ ერქომაიშვილი – თვალსაჩინო მეცნიერი, ღირსეული პიროვნება | 59 |
| გონერ ურიდია – პროფესორ არჩილ თეთრაულის ხსოვნას | 61 |
| ა.სხირტლაძე, გ. გვენეტაძე – ღირსეული მეგობრის, ბ-ნ არჩილ თეთრაულის ტკივილიანი გახსენება | 61 |
| ცისნამი საბაძე – ბატონ არჩილ თეთრაულის გახსენება | 63 |
| მანანა დარჩაშვილი – ბ-ნი არჩილ თეთრაული – დიდი მეცნიერი და უანგარო პიროვნება | 64 |
| ეთერ კაკულია – ბატონ არჩილ თეთრაულის ხსოვნას | 65 |
| ია გუგუნავა, ელენე სამხარაძე, მარინა ხიდუშელი, ლეილა ბიბილაშვილი – ბატონ არჩილის მოგონება | 66 |
| მარინე ცუცქერიძე – პროფესორ არჩილ თეთრაულის იუბილესათვის | 67 |
| ციცინო თეთრაული – ჩემი ძვირფასი მამა და უნიკალური პიროვნება | 68 |

ზურაბ სოსელია

| | |
|---|----|
| იაშა მესხია – ზურაბ სოსელიას ცხოვრება და მოღვაწეობა | 79 |
|---|----|

მოგონებები

| | |
|---|-----|
| ვლადიმერ პაპავა – მეგობარზე უფრო მეტი | 87 |
| თეიმურაზ ბერიძე – ზურაბ სოსელიას გახსენება | 88 |
| ნოდარ ხადური – ზურაბ სოსელიას გახსენება | 88 |
| ელგუჯა მექვაბიშვილი – მეგობრის გახსენება | 89 |
| მერაბ კაკულია – კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას | 90 |
| დავით ონოფრიშვილი – ეძღვნება ზურაბ სოსელიას ნათელ ხსოვნას | 92 |
| მიხეილ ჯიბუტი – გამორჩეული ბედის კაცი | 93 |
| კოტე ზაღდასტანიშვილი - ზურა სოსელიას გახსენება | 94 |
| ავთანდილ სულაბერიძე – დაუვიწყარი მეგობარი | 94 |
| მურმან კვარაცხელია – გენის მშვენება | 95 |
| ლინა დათუნაშვილი – ზურაბ სოსელიას გახსენება | 98 |
| ნანული არევაძე – ზურაბ სოსელიას მონატრება | 99 |
| იზა ნათელაური – როგორი გვახსოვს ზურაბ სოსელია | 100 |
| რევაზ ჯავახიშვილი – შესანიშნავი მეცნიერ-მკვლევარი და ღირსეული პიროვნება | 101 |
| მირიან ტუხაშვილი – ძვირფასი სტუდენტის გახსენების ორი შტრიხი | |

| | |
|--|------------|
| „სოსელიას ჯგუფი“ | 103 |
| ილია ზაქარიაძე – როცა მეგობარს კარგავ..... | 104 |
| ივერი შალამბერიძე – ბატონ ზურაბ სოსელიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით | 105 |
| რომან ხარბედია – ზურაბ სოსელია | 106 |
| უშანგი სამადაშვილი – სამაგალითო და გულითადი მეგობარი | 107 |
| გურამ ყუფუნია – უნიჭიერესი და მაღალზნეობრივი პიროვნება | 109 |
| ეთერ კაკულია – დიდი პიროვნების დიდი ტკივილით გავლილი ხანმოკლე გზა | 111 |
| გულნაზ ერქომაიშვილი – მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი | 112 |
| ელენე ჩიქოვანი – საქართველო ელოდება ... | 113 |
| რეზო გუგუშვილი – „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ | 115 |
| ვაჟა ბერიძე – ზურას სულის დადასის! | 116 |
| ზაზა ავალიშვილი – ზურაბ სოსელიას მოგონება | 118 |
| გელა ხანიშვილი – მეგობრის ხსოვნას | 120 |

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**